ლიტერატურული ალმანახი

ხოჩნაბუჯი

სექტემბერი, 2021

№ 11

ზემო მაჩხაანის
წმიდა გიორგის
სახელობის ტაძარი
XVI ს.

რამ შეექმნა ადამიანად

ვაჟა-ფშაველა

160

რამ შეექმნა ადამიანად?
რატომ არ მოვედ წვიმადა,
რომ ვყოფილიყავი მუდამ
ღრუბელთ გულ-მკერდის მძივადა,
მიწაზე გადმოსაგდებად
ცვარად ან თოვლად ცივადა?
არ გამწირავდა პატრონი
ასე ოხრად და ტივლადა!

ცაშივე ამიტაცებდა,
თან მატარებდა შვილადა.
ასე არ დამჭირდებოდა
სულ მუდამ ყოფნა ფრთხილადა.
მზის მოტრფიალე ვივლიდი
სიკვდილის გამაწბილადა;
მაღლა ცა, დაბლა ხმელეთი
მე მექნებოდა წილადა.

გავიხარებდი, მთა-ბარსა
ოდეს ვნახავდი მწვანედა,
მორწყულსა ჩემის ოფლითა,
ყვავილებს შიგნით, გარეთა.
გადავუშლიდი გულ-მკერდსა
დღისით მზეს, ღამით მთვარესა.
სიცოცხლეს ვაგრძნობინებდი
მომაკვდავ არე-მარესა.

თოვლად ქცეულსა გულშია
ცეცხლად იმედი მრჩებოდა,
რომ ისევ ჩემი სიკვდილი
სიცოცხლედ გადიქცეოდა
და განახლებულ ბუნებას
ყელ-ყურზე მოეხვეოდა.

ლიტერატურული ალმანახი №11

„ხორნაბუჯი“

სექტემბერი | დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა | 2021 წელი

სარჩევი

იუბილე

თემურ ჩალაბაშვილი - 70 2
ლევან ალავერდაშვილი - 50 3

პოეზია

თამაზ წიკლაური 6
გიორგი ხორბალაძე 8
ზიზო ბურდული 10
მანანა დანგაძე 12

პროზა

ცირა ყურაშვილი
მამას მარჯვენით ქაფჩა უჭირავს 12
ბოთლით წყალი, სალესი ქვა, საკარცხელი... 13

ახალი სახელები

სალომეა ლომინაძე 15

პოეზია

ჯუმბერ უთრუთაშვილი 19
დავით დარბაიძე 20
ნატო ყატაშვილი-აფაქიძე 23
სოფიკო მექვაბიშვილი 25

პუბლიცისტიკა

გიგი ხორნაული
ილო ფხოველი - „ვინც გულს უკლავდა ანასა“ 26

პოეზია

აკაკი სამუკაშვილი 32
ნინო მოდრეკილაძე 34
ნინო ალადაშვილი 36
ზაირა ფრუიძე 38
მამუკა ოჩიაური 40

იუბილე

აკაკი დაუშვილი - 60 41

თარგმანი

ელენა დოლგოპიატი 41
არზუ ქარადაღი 42
ნიზარ კაბანი 43
ემინ არ - რეიჰანი 44
ამარჯი 45
აბულ ფარაჯი 46

იუბილე

ნანი-85 49

ნანა ჭიჭინაძე
ვაჟა აზარაშვილი - 85 50
ნოდარ მამისაშვილი - 90 53

ხელოვნება

მარიკა პოპიაშვილი
გაზაფხული 55

გახსენება

მაია წელაური. 58

ფსიქოლოგია

ნათია ჯიყაშვილი
ფსიქოლოგიური შეხვედრები. 59

დედოფლისწყაროს ისტორიიდან

ლალი ბასილაშვილი
დედოფლისწყაროს ისტორიული
წარსულის ნაკვალევზე 61

ალმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვახსენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ბატონ ილია მარტყოფლიშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი:
გიორგი ნატროშვილი

ალმანახის ქუდის ავტორი:
სერგო ქართველიშვილი

გარეკანი გაფორმებულია:
დავით ჯინაშვილის ფოტოთი
და ხათუნა ბაბუხაძის ნამუშევრებით

მობ: 591 04 66 96, 557 64 85 95 **Email: gionatro0@gmail.com**

ISSN 2346-922X

თემურ ჩალაბაშვილი - 70

ჩვენს სასიქადულო თანამემამულეს, სახელოვან პოეტს და ძვირფას მეგობარს დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ და ასევე მთელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სახელით, ვულოცავთ საიუბილეო წელს. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას პოეზიისა და ქართული ტრადიციების მოყვარული საზოგადოების სასიხარულოდ.

აქვე გთავაზობთ თავად ავტორის შერჩეულ ლექსებს:

ჩემო საქართველოვ, მართლმადიდებელო!

ილია II-ს

მუდამ სიყვარულის
განმადიდებელო,
ჩემო საქართველოვ,
მართლმადიდებელო,
ოშკო და ხახულო,
ცრემლით ნაფერებო,
ძუძუს მოწყვეტილო,
ძმებო, ქართველებო,
ზეცად აზიდულო
ჯვარო და სამებავ,
გვეყო ჩვენთა შვილთა
უღმერთო წამება...
მუდამ სათნოების
განმადიდებელო,
აღსდექ, საქართველოვ,
მართლმადიდებელო!
ო, წმინდა გიორგის
ხატებავ ნათელო,
სანთლად დანთებულო
მომავლის ქართველო!..
...ესე, სიყვარულის
განმადიდებელო –
ჩემო საქართველოვ,
მართლმადიდებელო!..

ავტობიოგრაფია

ჰა, საცაა ვბერდები, გამითეთრდა თმა-წვერი,
მტერი ბევრი ვიპოვე, ცოტა – გულის დამწველი.
ვიღას უნდა ლექსები, მახლას, შენი ნაწერი,
მუზაც არ მეკარება, ხდება თითქმის ცხრა წელი.
ყველა გადასხვაფერდა – ლენჩი მხვდება სხვა ტონით,
აღარც პრეზიდენტის მწამს, აღარც გუბერნატორის.
ველარავის ვჩემულობ, გავცვდი, როგორც დედანი,
ვკვდები, როცა საუბრობს პარლამენტში ცვედანი
და მე ვხედავ, დღითი-დღე აღარავის ვჭირდები,
არაფერი მაოცებს, არც არაფრით ვკვირდები.
სულ სხვა ხალხი მომრავლდა, სხვა ყაიდის, სხვა რჯულის,
სახეები მაგიჟებს – ათასობით ტანჯულის.
აღარა ღირს სიცოცხლე, ვაგლახ, მივხვდი რა ხანი,
ეს სასმელიც მომბეზრდა – სულთან ჭიქის ჭახანი.
ვეევედრები ღვთისმშობელს, შემიწყალოს ცოდვილი,
მღლის ამ ჯოჯოხეთიდან ჯოჯოხეთის ლოდინი.
ჰა, საცაა ვბერდები, სულს მიწამებს ფიქრები,
როგორც სულ არ ვყოფილვარ, ისე, სულ არ ვიქნები.
შემოაცვდი ცხოვრებას, თემურ, ნათელს აწ ელი?
ხელთ გეცლება სამშობლო, მახლას, შენი ნაწერი...

ლევან ალავერდაშვილი - 50

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის და დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ წევრს, ჩვენს მეგობარ პოეტს, ლევან ალავერდაშვილს საიუბილეო წელი აქვს. 2021 წლის 2 ივლისს მას 50 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ მეგობარ პოეტს იუბილეს და მისი ლექსების მოყვარულთ კი ამ ნომერში გთავაზობთ თავად ავტორის მიერ შერჩეულ სხვადასხვა პერიოდის ლექსებს. ბოლო ორი კი ახალია და პირველად იბეჭდება. იკითხეთ და ისიამოვნეთ:

ან აქ რად მოხველ

მე კარგად ვიცი შენი წარსული
და მომავალი რადაც გაშინებს,
რომ ვნებათხარჯვა წრეგადასული
უმანკობას ვერ მიგაშვილებს.
შენთვის უცხოა გედის ოცნება,
არ გელის ზეცა ცოდვიან სტუმარს,
შენდობის დრო და პატიოსნება
როცა შენს სახელს ეტყვიან უარს;
ფეხქვეშ დალპება იმედის ხიდი,
რას უზამ მერე სულს ასე სნეულს,
როცა ერთ ღამეს მეც მომაყიდი
შენს უკვე ბევრჯერ გაყიდულ სხეულს.
დამენანები, რა გზით მიდიხარ,
დანაცრებული ღადარით თვალში,
დღეს ველურ ჟინით რატომ მინდიხარ,
როცა სათუთად მიყვარდი მაშინ;
როცა გიწოდე მუზის ასული,
ეხლა ის გრძნობა რად გაიყინა
სად გაიყიდა შენი წარსული,
ან მომავალი სად გაიყიდა.
ან აქ რად მოხველ....
რად გინდა ღმერთი?!
ხატებს აჩვენო ცოდვები ქმნილი,
რომ ხარ ლამაზი მარიონეტი
სხვისი ვნებისთვის გამოგონილი...
და გული ეხლა, ოჰ, არა იებს,
სულ სხვა საჩუქრებს შემოგთავაზებს
მკერდში მძივებად ჩაგადნობ ტყვიებს
და სისხლით მოვრწყავ ბოროტ დარბაზებს.
მერე კი მაინც შევუნდობ ცოდვებს,
თვალებს დახუჭულს და ბაგეს მდუმარს,
რომელნიც უკვე ჩემს მაღალ გრძნობებს
ველარასოდეს ეტყვიან უარს.

დეკემბერები

დეკემბერების ლურჯი ფოთლები
შემყვარებია სიცოცხლის ფასად,
როს იკარგება ბოროტი წლები
მიზანს აცდენილ ტყვიების მსგავსად.
როგორც ყვითელი, საჭურჭლე თიხა,
აზელილია სისხლში დარდები
და რომ მკითხავენ – შენ პოეტი ხარ?
დემონიურად ავხარხარდები.
ზოგნი ვერ გრძნობენ, სანანურია,
რაა მგოსანი. დაე იცოდნენ,
ის მდუმარეა, როგორც მუმია,
მაგრამ მეტყველი როგორც სიცოცხლე...
დეკემბერების ლურჯი ფოთლები
აი, რად მიყვარს სიცოცხლის ფასად,
როს ეცემიან მიწაზე წლები
მიზანსდაცდენილ ტყვიების მსგავსად.

ვარდები

ვარდი მომეცით, ნამის ქარვებით,
დაე, შემერგოს თუნდაც არამად...
ისე მაჩუქეთ, ნუ დამზარდებით,
პოეტი ვარ და ფული არა მაქ!
ლექსზე გაგიცვლით, არ შემრჩა გროში,
ვარდი ხომ ტრფობის გზა და ხიდია!
ნუ დამაჯერებთ, ჩემს სამშობლოში
რომ სიყვარულიც გასაყიდია!

მე, შენა და ქარი

შენს ფეხებთან აბეზარი ქარი გაიშრიალებს,
ურცხვად მოგეპარება და კაბას აგიფრიალებს,
აუჰ! თვალებს აგარიდებ, მაინც გამთქვეს თვალებმა,
რადგან მზერა უნებურად შენკენ გამეპარება.
უი, დედა! დაიმორცხვებ, კაბას იჭერ ხელებით

მარწყვის ბაგეს დაიშაქრავ დათაფლული წყევლებით.
მიხაროდენ; წყევლით მლოცავ,
ტოკავს გულის გალია,
ეგე ქარი, ეგ დაწყევლე, ჩემი რაღა ბრალია?!
მე რაც მსურდა აქამომდე, შენს თვალებშიც ვხედავდი,
ქარს კაბა არ აეწია, რა, არ შემოგხედავდი?!
ნეტავ ქარი კვლავ მოვიდეს, კვლავაც გაიშრიალოს,
ურცხვად შემოგეპაროს და კაბა აგიფრიალოს,
ნეტავ იმ წუთს, საფიცარო,
თუ სხვა კიდევ მერჩიოს,
უკვე დედა ყოფილიყავ, ხელში პირმშო გეჭიროს;
უი, დედა! წამოწითლდე,
ხელს რომ ვეღარ ახმარებ,
თვალხუჭელა მოგაგნებ და კაბას ჩამოგაფარებ;
შენ კი ისევ „დამწყევლი“ და ისევ დაიქუფრები;
კარგი, ფეხებს თუ მიმალავ,
თვალებს რაღას უშვები?!

ობლები ყინვაში

ჩემში დემონი ვინ ჩაასახლა?!
რამ შეიწირა წარსული სახე?!
ღმერთო! ბუხრისწინ რა მინდა ახლა,
როცა ყინვაში ობლები ვნახე...
ეს რა ასპიტი მეფობს ქუჩებში,
ამდენი გესლი საიდან გერგოთ,
რომ წინგამოწვდილ, დამზრალ მუჭებში
ბინდგარეული გულები გედოთ.
მინდა თქვენს ფერხთით გავთავდე დღესავ,
ვინემ ამ ცოდვის ბურუსი ვზილო;
ვინ გიანდერძათ ამდენი კვნესა!
ამდენი ცრემლი საიდან, შვილო!..
მაგრამ თავს რადღა დავწამო ცილი,
გავიავთვალო ძალისძალ დარი,
როცა თქვენს ქუჩას ვერ გამოვცილდი,
და ეხლაც იქავ ვაგდივარ მკვდარი.

ოცდაათი თეთრი

დღეს კაფეში ვკითხულობდი ლექსებს,
გმადლობ, ღმერთო, მომეც წერის ნიჭი,
პოეზიით რა სიმდიდრეს ეძებ?!
დამცინოდა ვიღაც „მამას ბიჭი“.
თუმცა იგრძნო, შურითა და ჯიბრით
ვერ დაცხრება მგოსნეული ჩანგი,
მასაც მიხვდა, ცარიელი ჯიბით
მასზე დიდი და მდიდარი ვჩანდი.
სიხარულმა დამიცრემლა თვალი,
მხრებთან მედგა ანგელოსთა გუნდი.
ის თუ ამღამ, სულ გაძარცვეს მთვრალი,
მე ერთ ლექსსაც ვერ მომპარავს ქურდი.
ხიდზე შევდექ, ავიხედე მაღლა,
მთვარის სახე დამეამა გულზე,
პოეზიით შეიძლება დაღლა,
პოეზიას ვერ იყიდი ფულზე.
რაა ფული?! ზიზღმა გამკრა თავში
თუ არ, სულის უკურნელი კეთრი,
და ხიდიდან გადავყარე მტკვარში
შერჩენილი ოცდაათი თეთრი.

ქალბატონო

რატომ გგონიათ, ქალბატონო, თითქოს წუხელის
თქვენით შეშლილი მივეძალე ასე კონიაკს,
არა, ეს მხოლოდ ახირება იყო წუხილის,
თქვენ კი გგონიათ,
ქალბატონო, თქვენ კი გგონიათ,
რომ მარტოოდენ თრობისათვის უაზროდ ვსვამდე,
ან სასიკვდილოდ შევიტოვე მეშვიდე ტყვია;
მე შემიძლია გიერთგულოთ იმ სადგურამდე,
რომელსაც ბოლო, ან უბრალოდ, სიკვდილი ჰქვია.
მიეძინება ამ ვნებასაც დროის მირაჟში,
მიეძინება როგორც მზისგან ნაგმობ ფოლიანტს,
თქვენ მომღიმარი დაბრუნდებით მყუდრო ბინაში,
მე კი სად წავალ, ქალბატონო, როგორ გგონიათ?!
ეს არც ფიცია, არც ღაღადი, არც აღსარება,
თუ თქვენი კდემა გავიხადე სიგიჟის ძეგლად...
და ყველა მზერა, თუ უსიტყვო ამკვნესარება
იკმარეთ ჩემი თავხედობის მოსატევებლად...
და ნუ გგონიათ, მარტოოდენ თრობისთვის ვსვამდე,
ან საფეთქლისთვის ჩავარჩინე ლულაში ტყვია;
არა! უბრალოდ ერთგულება მწამს სადგურამდე,
რომელსაც ბოლო, ან უბრალოდ, სიკვდილი ჰქვია.

ღოლოიანში თათრის ასული

ყარა ცხენები ჯირითობდნენ ტყის განაპირას,
ღოლოიანში თათრის გოგო ძროხას მწყემსავდა,
ნაგუთნი მიწა სათოვარი ღრუბლის ნატირალს
შავი ტუჩებით ჟინმოსული სვამდა და სვამდა.
ბელტზე ჩამოვჯექ, გულს მოაწვა მომწარო შური,
აღსდგა წარსული წინაპართა მითის მთხრობელი;
ნეტავ ამ ფურებს მომწყემსავდეს ქალი ხევსური,
უფრო ამაყი, მშობლიური და მახლობელი.
თათრის ასულო, მომაჩერდი ასე რისათვის,
ფიქრობ მაგ თვალთა სიმუქეში ჩავიქარგები,
ეჰ, შენ რა იცი, ერთი მუჭა ამ მიწისათვის,
სისხლისგან როგორ იცლებოდნენ გურჯთა ძარღვები.
თათრის ასულო, მოზამბახე ბაგე რომ გიკრთის,
თითქოსდა ჩემში დაეძებდე სუსტსა და უძლურს,
არა! ამ სისხლში არ დამშრალა გენი დავითის,
მე ქეთევანი მაწოვებდა დაშანთულ ძუძუს...
ვიჯექი დიდხანს, პანორამა სთვლემდა მეფური,
არე ველური, ლურჯი ნისლით შემოგარსული,
ლამაზი იყო, ღმერთო ჩემო, თექვსმეტი ფური,
ღოლოიანში ოცნება და თათრის ასული.

შენა და ღამე ბეთანიისა

გეტყვი მშვიდობით, მერე დაგტოვებ,
ოღონდ სურნელი შეგრჩეთ იისა,
ოღონდ ავსებდეთ ჩემს სიმარტოვეს –
შენა და ღამე ბეთანიისა.
გეტყვი, წუთები შენით ნაფერნი,
როცა აშვებულ რაშებად ჰქრიან,
რა გვიანაა სუყველაფერი
და არაფერი არაა გვიან.
გეტყვი საუფლოს ღრმა დარბაზებში
ხატად მოვძებნი შენს ძვირფას სახეს,
სისხლისფერ ვარდებს დავყრი ბაღებში
და ლექსებს – შენი თითებით ნახებს...
გეტყვი ნუ მოხვალ! მაგრამ რისათვის?!
უკვდავ მოლოდინს მაინც გპირდები
და იმ ლამაზი წყენებისათვის
ხელში ბავშვივით აგიტირდები.
გეტყვი, დემონურ წარსულს მათოვებს
ნამი – უშენოდ მორცხვი იისა...
ნუ მიმატოვებთ! ნუ მიმატოვებთ –
შენა და მწუხრი ბეთანიისა.
გეტყვი, შვებაა შენს ხელში კვდომა
და რომ შენს შხამსაც ტკბილი აქვს გემო,
ღმერთმა შეგინდოს ცოდვა – შეცდომა,
მოურჩენელო ტკივილო ჩემო.
გეტყვი, დამთავრდა! ეხლა მშვიდობით,
ოღონდ სურნელი შეგრჩეთ იისა,
ოღონდ ნუ მომკლავთ უამინდობით,
შენა და ღამე ბეთანიისა.

შუამთის შუაღამე

შუაღამისას შუამთას,
შუქი შეადნა შორით,
შემომეშენენ შინდები,
შრიალით, შარა-შურით.
შემოდგომისას შიშველი,
შამბში შეეხვა შარა,
შველს შიგ შავარდნა ვუშალე,
შველმა არ დაიშალა.
შორი-ახლობით შავყევი,
შეინავარდა მშვენად,
შევნიშნე შურმა შემიპყრო,
ვშობილიყავი შველად.
შვიდჯერ შავობამ სიშავის,
შემომაგება შიში,
მეშურნებოდა შუამთის
შველის შეშლილი ჯიში.

ლოთი მხატვარი

(ვინსენტს)

ბნელი სარდაფი, ღვინის ჭიქები,
მხოლოდ გოლგოთა, აღარსად მდელო,
და როცა შედგა იგი მწვერვალზე,
მაშინ იხილა ის საქართველომ.
თორემ, ვინ იყო, ვინ სცნობდა ნიკოს,
სარდაფში ობლად დუღდა მაჭარი
და მოგონებებს შემორჩა ცოცხლად
მირზაანელი „ლოთი“ მხატვარი.
ნიკო მოკვდაო, იქ, კიბის ძირში,
საღებავების ცრემლი სდიოდა,
რას ქვია მოკვდა! მან მიატოვა
ეს უსუსური კაცობრიობა.
გული დამთვრალი და დაფლეთილი
სიობლისაგან ჩუმად კვნესოდა,
შველას ითხოვდა თურმე ნიკალა,
მაგრამ მისი ხმა არვის ესმოდა.
ბოლო ფერები გაკრთა ტილოზე,
მიმქრალ თვალებში მწუხრმა იძალა,
ღვინის რუმბები ჩაიკრა გულში,
დაემხო პირქვე და მიიცვალა.
არსად არღანი, არსად დუდუკი,
არც განბანება ცრემლთა მორეგში,
ვიდოდა ქვეყნად კაცი ობოლი
და მიეძინა სიმარტოვეში...
მერმე უეცრად განათლდა ბნელი,
ფრთები აეშვათ დაბმულ არწივებს
და კიბისძირში მკვდარი ნიკალა
ანგელოსებმა გამოაცილეს...
ვინ სთქვა სიკვდილი უკვდავებისა,
ნეტა ვინ ეძებს ნიკალას საფლავს,
ის ეხლა ისევ მთვრალია ღვინით
და მარგარიტას წამწამებს ხატავს..

ყვავილების ერთავ, ნლების შემდეგ

(ჩემს შვილს იათასჯერ ალაპარაკებულს)

ისე მღვრიე, მაგრამ კანდელადანთებული,
როცა წამწამებზე ნამი მოგესია,
სიღრმით ჩაძინებულს,
ღვთივდანათლებული,
მოგეიავარდა მამის პოეზია...
თუკი მიცვალების ხელებს გაუქარდი,
ღიმილს ნუ მიუსჯი ურვას ნურავისას,
ლოცვით მარიამთან,
ნატვრა-ნაჩუქარი
პირშო ჩააშენე ციხეს სურამისას...
ზეცაც შენეულობს,
ნუღარ გეშინია,
ყორანს ფრთა მოეჭრა
მაცნეს დაბინდების...
უწინ „მზე გარეთა“
უკვე „მზე შინაა“,
მამაც უკეთაა,
ერთავ ყვავილების.

ასე თუ ისე

ასე უბრალოდ და გასაგებად
თავს გაიმართლებ წყევლისგან მყისვე,
თუ მოსახდენი დღეს არ მომხდარა –
ხვალე მოხდება ასე თუ ისე.
ალბათ რამდენჯერ, მუზამტკივანმა,
უძილო ღამით თვალი აივსე,
მერე კი მაინც, გინდა თუ არა,
ჩაგძინებია ასე თუ ისე.
ჩაგძინებია, მაგრამ უმალვე,
სიცხადის ეტლი, ცრუ და მერყევი,
შეგატორტმანებს და ბურანიდან
ასე თუ ისე გამოერკვევი.
გამოიღვიძებ, ზეცის ანთებას
იგრძნობ და გრძნობაც იყოს დღეგრძელი,
რომ სინანული და პატიება
ასე თუ ისე მაინც შესძელი.
არ გამიჯავრდე, არა ღმერთმანი
თუ ამ სიტყვებით გაგაგულისე,
არაფერია, ჩვენ ერთმანეთის
ბევრი რამ გვესმის ასე თუ ისე.
ასე თუ ისე შენ ხომ ქალი ხარ,
ამად ვჩუმდები ისევ და ისევ,
სულის სიღრმეში შენც მართალი ხარ
და არც მე ვტყუი ასე თუ ისე.
ღმერთმა გიშველოს! უღრუბლო სახით
სულ იზამბახე და იმაისე;
ასე თუ ისე ხომ მაინც მოველ,
ხომ მაინც შევხვდით ასე თუ ისე.

გულის ჭრილობა

გოგონას თვალში ცრემლები გალღვა,
მშობლის გულში კი შეიჭრა ელდა...
სათუთი თითი გაიჭრა ბალღმა,
მოვა და ფრთხილად შეუხვევს დედა.
მიეფერება თვალთა სილურჯეს,
რბილად ჩაუშლის კულულს აფრებად,
ამოუკოცნის გაბუტულ ტუჩებს
და თითის ტკენაც სადღაც გაქრება...
და როცა წლები გავიდა მკაცრი,
ეწვია რაღაც საოცრად ურჩი,
მას შეუყვარდა ყმაწვილი კაცი
და სულ სხვაგვარად დაიჭრა გულში.
თუმც აღარ იყო ის გულჩვილობა,
არც იმ გოგონას ნაცნობი ელდა,
ეს იყო ისე მძიმე ჭრილობა,
რასაც რომ ვეღარ შეუხვევს დედა.

სიზმარეული თოვა

(ქ.დ.-ს)

მაშინ მთელ ღამეს არ გადითოვა,
გულის ღვთაებად რომ გარდაგსახე
და სულ არ იყო შემთხვევითობა
სიზმრად ზაფხულის ბაღში რომ გნახე...
ცამ მოწყალების სხივით დამხედა,
მაშინ წუხილნიც ქარად ქრებიან...
მე შენ ზაფხულის ბაღში გნახე და
მას შემდეგ აღარც დამზამთრებია.

თამაზ წიკლაური

დიდი მოყვარის მონოლოგი

გემშვიდობები ნოსტეს ფუძეო,
გტოვებ უიღბლო ერთგული შვილი.
მე ყოვლისშემძლე დავრჩი უმწეო
ძმათა ღალატით გულდაკოდილი.
მომიძულეს და აღარ დამინდეს,
მტრად მომეკიდა ერი რჩეული.
წავიდე, მაგრამ საით წავიდე
შენს უნაპირო ცას შეჩვეული?!
ვიცი უჩემოდ გაგიჭირდება
ხორცშესხმად ვერ ვქმენ აზრი შიშველი.
მივდივარ... მიცდის უცხო დიდება,
მაგრამ ვაი, რომ ვეღარ გიშველი.

* * *

„რა ვქნისა ციხე“ ახსენე,
სიბრძნის შაირი მითხარი,
სუფრაზეც არ მომასვენე,

ამაბუბუნე, ვით ხარი.
მამ-პაპის სისხლი ამენთო
გულში მამულის მცველების,
მესროლე საალავერდო
მტრის ჯავრის არ შამჭმელების.
ვერც ლექსის ღვარი ვაგუბე,
ვერც წყალს ჩავყევი ტივითა,
ეხლა, თუ გინდა, დამბუგე
და დამწვი სანთელივითა.

ხედავს ჩემი თაობა

ᲩᲔᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ
ᲥᲐᲜᲚᲘᲐᲜᲐ ᲘᲡᲠᲐᲤᲘᲚᲡ

დღემდე რაც უნდა მეთქვა,
სიტყვებს ვარჩევ და ვეძებ,
ალბათ, მოვალ და თქვენთან
მადლობის მოხდას შევძლებ.
ქრებოდა დროის ზღურბლზე
სავალი სკოლის გზისა
და თქვენს ფიქრიან შუბლზე
ჩანდა ნათელი მზისა.
იმ წლებს ოცნებით ნაქსოვს
მართმევდა დრო ძვირფასი,
მე არც ღიმილი მახსოვს
თქვენი ღიმილის მსგავსი.
თქვენი თვალებით ვხედავ
იმ გზებს, რაც უნდა ვკვალოთ,
მასწავლებელო, დედავ,
ჩემო ქართველო ქალო.
ხედავს თაობა ჩემი
ამაგს, ღვაწლსა და შრომას,
კურთხეულია თქვენი
მერხთან, დაფასთან დგომა.

გზაში

საღამო გზაში წამომეწევა,
მოვდივარ... ირგვლივ ღამის ჩრდილია.
რა ვქნა, ყოველთვის შენსკენ მეწევა
ფიქრი, ოცნება და იდილია.
შენსკენ მოვდივარ მზისფერო ქალავ,
მზედ და იმედად ნუ ჩამიქრები.
ოცნებას მაინც ვერ ამიკრძალავ,
ოცნებით მუდამ ჩემთან იქნები.

პირისპირ

მზერას დავნებდი ვნებიანს,
ასი მზე გიზის წამწამზე,
რამდენი მიოცნებია
ამ წუთებზე და ამ წამზე.
რა ნატვრა აღარ მქონია,
შენზე და ცისფერ ღრუბელზე,
კვლავაც ვლოცულობ მგონია
ჩემს მკვლელზე და დამღუპველზე.

* * *

ხან ვფიქრობ, რისთვის გავწამდი,
ეს სული რისთვის აენთო,
სალოცავ ხატად რად მწამდი,
გზა თუ არ გვქონდა საერთო.
ვარდის ბუჩქს გავდი გაუშლელს,
ვერც დაგვიწყე, ვაი, რო,
ტკივილს რა ვუყო წაუშლელს
ჩემი სიზმრების ნაირო?!
სიზმრების ფრად რომ დასრულდა,
ეხ, რა დრო იყო იგი დრო,
სად განახო, რომელ წარსულთან,
ან სული სად დავიმკვიდრო?!
შენს მონატრებას არ ვიშლი,
გულსაც შენ გიძღვნი შენს წილსა,
ჩემს დარდებს ფეხქვეშ გავიშლი
ლექსებად გამოძერწილსა.

* * *

გზა-გზა სურვილთა მზე მწვავდა,
ფერთა სიუხვე, სიმწვანე,
ვიცოცხლე, როგორც მეწადა,
სიცოცხლის ნატვრაც ვიწამე.
აქ სულს ლექსებით ვიოკებ...
ბევრჯერ მწარედ რომ მტკიოდა,
სულეთს იქ ავაწიოკებ,
რომ მივალ საიქიოდა.
არა ვარ რწმენაჩამქრალი,
რა მონატრება დამღლიდა,
რომ არა ლექსი და ქალი
სიცოცხლე ჩალად არ ღირდა.

ბოლოთქმა

რაც მახსოვს, ლექსად ვღაღადებ
საკუთარ სათქმელს სულისას,
სიმღერით უნდა დავღამდე
სიცოცხლის დასასრულისას.
სიმღერით ცის შვიდ კარსა ვხსნი,
შვიდ ცას გიტოვებთ მზიანსა,
ღმერთო, საფლავშიც ნუ დამხსნი
ლექსსა და პოეზიასა.

გიორგი ხორბალაძე

ზამთრის სიუჟეტი

ალბათ ყინულებად იქცა ბაიკალი...
სპორტული ტერმინით – ზამთარი ფორმაშია,
გახსოვს? – ჩემი გული ხელში ჩაიკალი
და ეს უცაბედი ლექსი მომაშიე...

ახლა გვიანია მკერდზე ვაბრაგუნო,
მჯიღი, დათვისა და ლომის ტორის ტოლი,
რადგან პირთამდეა დარდის საბარგულიც,
დარდის ჩემოდანიც – ბრგე და ტურისტული.

მგონი აღარც მომწონს ზამთრის სიუჟეტი,
ქალაქს გამუდმებით ათოვს გარე ფლანგზე...
ჩემი სიყვარულის დიდი ბიუჯეტი
ერთი ხელის მოსმით ისე გამოფლანგე,

მარტო ლექსისხელა დარდსღა მივაგენი
უკვე ამოწურულ რეზერვუარებში,
იცი, ყველა ტანჯვა არის მონაგონი
(როცა არა მწამხარ) შენზე უარესი...

ალბათ ყინულებად იქცა ბაიკალი,
მე არა, თუმცაღა ზამთარი ფორმაშია,
გახსოვს? – ჩემი გული ხელში ჩაიკალი
და ეს უცაბედი ლექსი მომაშიე!

* * *

თავზე შემომადნა შუქთა ილუზია,
ღამე სადაცაა თვალწინ დამიჯდება,
შენზე გაგიჟება იქნებ ვირუსია?!
იქნებ ვირუსია შენით გაგიჟება?!

ყინვამ დააკაწრა სარკმელს ყველა მინა,
ტკივილს უდრტვინველად იტანს დარაბები.
მე დღეს ავად ვარ და მე დღეს შველა მინდა,
შენ კი ისე ცხოვრობ – ვითომ არაფერი...

იქნებ ჩემი სენი ცოტა გადაგედოს,
თუნდაც ნახევარი, თუნდაც მეხუთედი,
თორემ ვეღარ მშველის ლექსად ქადაგება,
როცა შორსა ხარ და სულში მეხუთები...

მოდი, გამიბრაზდი თუ არ მეფერები,
მოდი, სიძულვილი გულში დამახალე...
ერთი გაღიმება თუკი გებევრება,
ერთი ღიმილითაც თუკი არ მახარებ...

თავზე ჩამომექცა შუქთა ილუზია,
დილა ფანჯარაზე როდის დამიჯდება?
შენზე გაგიჟება მართლაც ვირუსია,
მართლა ვირუსია შენით გაგიჟება...

* * *

ჯერ არც სიყვარული გამქრალა და
ჯერ არც გულის კარი ჩარაზულა,
ვნების ჩანავლება მერეც კმარა,
როცა ცივი ხარ და თარაზული...

ვიდრე გარშემოა ზღვა და მიწა,
ვიდრე ღრუბლებია ზოგჯერ ცაზე,
ვიდრე უშენობა გადამიცდა
ვზრუნავ გადაცდომის მორჩენაზე...

უნდა დაგიწყვილდე, თქმა რად უნდა?!
ხელი აღარ უნდა გაგიშვა და
ფიქრი ათასგვარად გადაბრუნდა
ლამის ოცნებებიც გამიშავდა.

არ ვარ რაინდი თუ შევალიე,
მაგრამ ვცხოვრობ სრული შემართებით,
ნაცვლად იმისა, რომ შემელიო
შენდა უნებურად მემატები...

ჰოდა, მე წლები ვერ მაშინებენ
და გული არა მწამს ჩარაზული,
არის – რაც გრძელდება მაშინაც კი,
როცა ცივი ხარ და თარაზული!

* * *

შეეშვი ამ ტვინის ჩახვეულ ლაბირინთს
არევა აკმარე გონებას, ეყოფა,
აბრუებს ეგ ტანი პირდაპირ ბანგივით,
კაცები საშენო მზერასაც ვერ ვიყოფთ...

მე უკვე მიყვარხარ საზღვრამდე სიგიჟის,
დამითმე მაგ გულის სულ ერთი კუთხე და
გულს გარეთ არ ვეძებ ანგელოსს – შიგ მიზის,
რომ ვხედავ შენს ღიმილს ზეციურ კურთხევად.

კრიალა ზეცაზე ვარსკვლავთა ჭორფლია...
იქნებ მთვარის ნაცვლად თავადვე აენთო...
ვის რაში სჭირდება უშენო მსოფლიო?
უშენოდ რად გვინდა სამყარო საერთოდ?

საგრძნობლად გამოდი გრძნობებით კავშირზე,
თორემ გათენებაც პრინციპში ღამეა,
ბარემ მოექეცი ღრუბლების თავში მზედ,
მიწაზე ხომ მაინც ვნებები ბღავიან...

იქნებ მთვარის ნაცვლად თავადვე აენთო...
კრიალა ზეცაზე ვარსკვლავთა ჭორფლია...
უშენოდ ვის უნდა სამყარო საერთოდ?
ვის რაში სჭირდება უშენო მსოფლიო?!

ნერტილი

სულ ვეძებ შავ-ბნელი ფიქრების სანათურს,
ვერ ვიტან არაფრით სხვანაირ სუიციდს,
არადა, თითქმის არც მახსოვხარ, არა თუ
მტკიოდე, ისე, რომ დავუთმო სული ცას...

ღამეა რაღაცით მთლად ჩვეულებრივი,
მერე რა, თუ დილას იმედი ვერ მოაქვს,
მომავალ ლექსების ამ რვეულ-ემბრიონს
ჯერ ისევ არაფრის სუნი და გემო აქვს...

ხო, ჩემი გულიდან როდესაც ფეთქავდი,
ფეთქებადსაშიში ვიყავი მე უფრო
და ლექსიც, რომელიც ოდესღაც მეთქმოდა,
მეთქმოდა სხვა რიხით და თითქმის მეფურად...

ახლა ფიქრს ვადევნებ ხედებს ქარაფების
და წამით გითხოვე ხსოვნის არქივიდან,
თუმცა აღარ მინდა შენგან არაფერი,
რატომღაც ეს ლექსი შენთვის კარგი მინდა...

და მახსოვს, ერთ დროს, რომ ბევრს ვწერდი უზომოდ,
ის კი აღარც მახსოვს ამდენჯერ ვწერდი რად?!
დღეს ხსოვნას სევდიან სტრიქონებს ვაზომებ
და გნიშნავ ამ ლექსზე, იმ ხსოვნის წერტილად.

გულის ფასი

მებრძვიან დარდთა გარნიზონები
ილუზიებით თუ რეალობით,
გულო, ფართობით არ იზომები,
არამედ ნაღდი გულიანობით.
გამხადეთ ტანზე ჭრელი სამყარო,
ქაოსის ბუღი მაღრჩობს და მთანგავს,
ის ჩინ-მედლებიც სრულად ამყარეთ
სინამდვილეში სულაც რომ არ მაქვს.
დამტოვეთ მარტო გულის ამარა,
გულის ფეთქვას კი ხელი არ ახლოთ.
ქარს გაატანეთ მომცა ქარმა რაც,
ის ოცნებებიც თან რომ მაახლეთ,
დამძიმდა, როგორც რკინის ზოდები
და ლოლოსავით ფიქრებს ჰკიდია
გადამაყლაპეს დარდი ზონდივით,
არადა, დარდი ზონდზე დიდია
და მებრძვის დარდთა ასეულები,
ილუზიებით თუ რეალობით...
გულის ნამდვილი ფასეულობა
დგინდება მარტო გულიანობით!

* * *

ახლა პოეზია ფიქრებს მოესია,
ლექსი ძარღვიანი, სულის საყვირია!
ვიდრე მშვიდადა ვარ, მითხარ ხო ესეა?
შენს თვალში მოვგავარ მერანს აღვირიანს.

ფიქრებს მოესია, რადგან პოეზია,
გაქრა აღვირები ხელსა და თვალს შუა...
ყველა კიდობანი განა ნოესია,
ან კოჭი, როგორც ზის, განა სულ „ალჩუა“...

არა, ჩემო კარგო, სულს რაღაც აფიცხებს,
შედეგად ხდება რომ რაღაც შეგეშლება,
ამიტომ ვნებები როგორმე ჩამიცხრე,
თორემ არც ლექსებს და არც შენ შეგეშვები...

ლექსი ძარღვიანი სულის საყვირია,
სულის უღრანიდან სიოდ მონაბერი,
ჩემი ყველა ლექსი წყალში ჩაყრილია,
ახლა ცოტა მაინც თუ არ მოგეფერე!

* * *

სიკვდილი ძალიან მარტივია,
რამეთუ ლაჩრებმაც მოახერხეს!
სიკვდილმოხდილები არ ტირიან,
ესროლეს, თუ, თავი მოახერხეს.

რთული ვერ იქნება, რაც გვარდება,
თავისთავადა და უეჭველად –
არ აქვს მნიშვნელობა რა გვარს ებმი,
მერანს რა სისწრაფით მოაჭენებ...

ძნელი ვერ გახდება, რაც მოგეცა,
ავანსად, სრულიად გაურჯელად,
გზას ყველა სწორედ იქ ამოკეცავთ,
სადაც არ არსებობს საუნჯენი!

ძნელი ღირსეული სიცოცხლეა,
რადგან რჩეულების ხვედრი არი.
ფუჭი არსებობა თითქმის მთხლეა,
ისიც მდინარეში ჩამდინარე.

სიკვდილმოხდილები არ ტირიან,
ეს ჯანზე გახლდათ, თუ ის სნეული.
სიკვდილი უთუოდ მარტივია,
რთული – სიცოცხლეა ღირსეული!

ᲖᲘᲖᲝ ᲑᲣᲠᲓᲣᲚᲘ

დაუვინყარო

არა, არ უჩანს არც ბოლო ლოდინს,
აღარც დასრულდა ეს მკვლელი სევდა...
მოდის და მიდის, მიდის და მოდის,
ელდა და დარდი, დარდი და ელდა.
ფათურობს ქარი, სულის იარა
რომ დამიამოს ხელით, შიშველით,
მე კი, უშენოს, ქარი კი არა,
თვითონ უფალიც ვეღარ მიშველის.
ჩამოვიბერტყავ მხრებიდან ლექსებს,
და გარეთ გავყრი მთვლემარ იმედებს,
გულს უშენობის დარდი თუ შევხსენ,
დასავიწყებლად თუ გაგიმეტე!

თორელო

თორელო, ახლა ისე ქრის გარეთ,
ძაღლსაც არავინ გააგდებს კარში,
შენ კი სადა ხარ, ქისტეთის მხარე
ამ გულში რამდენ საფიქრალს აშლის.
აი, გაკრთება ტკივილად ის დღე,
შენ რომ იები მაჩუქე გზაში,
და აქამომდე ჩუმად რომ ისხდნენ
მოლოდინები, დარდს ფაფარაშლილს
ჩემზე გეშავენ, ნაბიჯით ჩქარით,
არ მომეახლე ჭიმღაში რადგან.
ვინ იცის, ეგებ მაშინაც ქარი,
ვით ბედისწერა, შენს გზაზე ადგა.
და დაგამგზავრა აბეზარ ავდრებს,
სად მიმავალი, მოსული სითგან...
ჯოყოლა მაინც თუ შეგხვდა სადმე,
აღაზამ ტაბლა თუ გადმოგიდგა.
ქრის... დასასრულიც არ დადგა ზღაპრის,
ჯადოქრის ქოხს ჰგავს უშენო ბინა...
შორს გარდასული ბალღივით გარბის,
გულში კი ათას კაეშანს სძინავს.

ტყვე ჩიტი

არსაით სწყდება ცის კიდეს თვალი,
ლაჟვარდებს ელტვის გული ნაკლული,
ნატვრად ქცევია ფრენა ფრთამალი
და მთები, დილის მზის სხივდაკრული.
გალიის კედლებს მკერდით ასკდება
(ვინ გაიმეტოს მისთვის წყალობა...),
გული შეუკრავს მძიმე დარდებად
და ხმით ტირილს ჰგავს მისი გალობა.

მონადირის სახლიდან

აქა – იქ ჩამკვდარი სახლები,
დარდები, ფიქრები ახალი...
ბუხართან გამხდარი ძაღლები,
სუფრასთან აზრები მაღალი.
სარკმელთან მიმინო გამხმარი,
ფიტულად აწვდიან თამადას...
დღეს ჩემი სიზმარი, ამხდარი,
მიმქრალხარ დაისის დარადა.
თვალს გამოუკრთები წამიერ,
მიხვალ და... კვლავ ვეღარ გაბრუნებ
და მგოსნის ღიმილის მაგიერ
ოფიცრის ღიმილი მაბრუებს.
მკლავს ჩავლილ დღეების ხსენება
და შენი ლექსები, მწველები,
შენ კი არც ბინდი, არც თენება,
არ გამღვრევს, არ შემეშველები
და ასე... ტრფიალის ნაპირთან,
ვზი შენგან სამუდმოდ წასული, —
ელოდე, უთუოდ ზღაპრიდან
გეწვევა მზისფერი ასული!

შენს მერე

გადავიღალე ქარებით, წვიმით
და შორს გავექეც დანისლულ თვალებს,
ვერ დავემალე მარტოდენ ღიმილს,
შენს დაღლილ ღიმილს ვერ დავემალე.
არადა, აბა რა თავში ვიხლი,
შენი ღიმილის ანთებას გზაში,
გულს უშენობის ედება ჭირხლი
და მარად ხედნის დარდს, ფაფარაშლილს.
არ მსურდი ნახვად, სად არ ვიარე,
ხან ცაში აველ, ხან ქვესკნელს ვეცი,

ვერრა ვუშველე სულის იარებს,
ვერ ჩავანავლე სურვილის ცეცხლი
და დავიღალე... მიჯნურად ხელად
არ მინდა მთვლიდეს უაზრო ხვალე...
მე გავექცევი ამქვეყნად ყველას,
შენს დაღლილ ღიმილს თუ დავემალე.

შემოდგომა

დღეს ფოთოლცვენა ისე დიადობს...
დგას შემოდგომა გრილი და ჩუმი...
ჩამოიხედე სულში, წყვდიადო
და შემოდგომის გადაჰყევ დუმილს.
მე უშენოდაც მგვემენ ქარები
და სიცოცხლისას ვერ ვიკლავ წყურვილს,
დანისლულია ცრემლით თვალები,
დაბზარულია კედლები სულის.
დაჰქრის ველური ლექსების ჯოგი,
ზოგი უმიზნოდ გრიგალებს უხმობს,
თუ ეს სიშლეგე დღეს ღიმილს მოგგვრის,
ხვალ უსათუოდ გატირებს უხმოდ.
დღეს ფოთოლცვენა ისე დიადობს...
დგას შემოდგომა გრილი და ჩუმი...
მე ესეც მომკლავს, წადი, წყვდიადო
და მოწყენისფერს გადაჰყევ დუმილს.

ალიარება

სიზმარ-ცხადებს ერთნაირად შვენი,
ამაშია ერთადერთი ხსნა, —
მე თუ მომკლავს, სიყვარული შენი,
ვერაფერი მომერევა სხვა.
...
სიზმარ-ცხადებს ერთნაირად შვენი...

მე მოვალ

მე მოვალ შენთან, როცა იქნება
ათენგენობის ორომტრიალი,
არ გავწვალდები, ნუ გეფიქრება,
მოვალ „ლურჯაის“ ნალთა წკრიალით.
გზებს გამოვყევები დარდის ამარა,
ღმერთო, ჯვარს მაცვა შენმა მდურვამაც...
გეტყვი, რომ ლამის დამასამარა,
შენმა ტრფობამ და შენზე ურვამა.
შემოვადგები არხოტს ღამეში,
გადმოვჭრი მინდორს ღამისმთვლების,
გიპოვი სადმე ლექსით გალეშილს,
მოვალ და თავზე შემოგევლები!

დედა

ხან გარიჟრაჟი, ხან დაისი, ხანაც რა ვიცი,
ხან მზის ლაციცი, ხან ღრუბლებით მოქუფრული ცა,
ხან სავსე მთვარე, დედოფლად რომ აღარ დაიცდის
და საბრძანებელს ქვეშევრდომებს გადაულოცავს.
ხან შორეული ვარსკვლავების შორი ნანინა,
ხან უტკბესი ხმა, ჩამობმული ფანდურზე სიმად,
ხან რამ ფრთოსანი, მოფრენილი უცხო მხარიდან,
ხან ადრიანი გაზაფხულის შხაპუნა წვიმა.
ხან რეალობა... ხან ზღაპარი ნათქვამი ძველად,
ხან ფერდაკარგულ გარდასულზე ჩუმი წუხილი,
ხან მზის ლაციცი, ხან გრიგალი, ხან ცისარტყელა,
ხან მარტის სულელ ამინდების ჭექა – ქუხილი.
ხან გარიჟრაჟი, ხან დაისი, ხანაც... რა ვიცი,
ხან ხმა უტკბესი, ჩამობმული ფანდურზე სიმად,
ხან სავსე მთვარე, დედოფლად რომ აღარ დაიცდის,
ხან ადრიანი გაზაფხულის შხაპუნა წვიმა.

მოვრალი ქარი

ღულის ჭალაზე ქარმა იები,
მომაბნია და გადიხარხარა...
გაოცებით და ცრიატ ღიმილით
მისჩერებოდა წყარო ანკარა.
მცირე ხანს შედგა ბებერ ფიჭვებთან,
ცნობისმოყვარედ შემავლო თვალი,
ჩამოიარეს უცხო ბიჭებმა,
დაუბრიალა თვალები, მწყრალი.
ენის ბორძიკით მითხრა: – მიყვარხარ!
საარშიყოდაც მხარს გამკრა მხარი,
თურმე ნუ იტყვით, უქეიფია,
დაულევია, დამთვრალა ქარი.

გაქრევა

შენ ალბათ უზიხარ მაგიდას,
და კიდევ ლექსებთან საუბრობ,
ჩემთან წვიმს, მანდ მზეა, რა გინდა,
და მზისფერ მუზების საუფლო.
წვიმს, წვიმამ ჩავლილი მასტუმრა,
მგონია კიდევაც გინატრე,
წვიმს, დარდი იშლება სასთუმლად
და თვალებს გაურბის სინათლე.
ჩემს ფანჯრებს ასკდება გრიგალი,
კართან წევს ელდა, ვით სახადი...
და უნდა გავიქცე – ის ქალი,
შენ რომ მწედ, იმედად სახავდი.
წვიმს, წვიმამ ჩემთან მზე დალაშქრა,
კვდებიან როგორც მზე, სიტყვებიც
და სადღაც, შორს სადღაც, სადღაც შორს,
ცეცხლისფერ ქიმერებს მივყვები.

* * *

მიდიან წლები ასე, კენტად
და შორით ცივად მიღიმიან...
ეს შენზე ფიქრი მფარავს, ნეტავ,
თუ... პოეზიის გვირგვინია?!
...
მიდიან წლები ასე, კენტად...

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲓᲐᲜᲒᲐᲫᲔ

ᲞᲝᲔᲢᲘ

ნუ იტყვით... ნუ იტყვით: „საწყალი პოეტი!“
რადგან დაძენძილი ქურთუკი აცვია...
პოეტი ამქვეყნად ყველაზე, ყველაზე,
ნამდვილად ყველაზე მდიდარი კაცია.
არა სთქვათ... არა სთქვათ: „ბოროტი პოეტი,
დამრეცი, წამგლეჯი, მგელივით ტაცია...“
პოეტი ამქვეყნად ყველაზე, ყველაზე,
ყველაზე კეთილი და სათნო კაცია!
რაკი წერს, ნუ ჰკადრებთ: „უნიჭო პოეტი“,
რითმა თუ გახედნა და დაუმარცვლია,
პოეტი სულია... უბრალო სულია,
პოეტი უფლისგან რჩეული კაცია!
ნუ შესძრავთ, როდესაც მდუმარებს პოეტი,
რამეთუ კრძალულის მანტია აცვია...
პოეტი ამქვეყნად ყველაზე ღარიბი
და სულით ყველაზე მდიდარი კაცია!

ᲪᲘᲠᲐ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲐᲛᲐᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲗ ᲥᲐᲤᲩᲐ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ

მლაშე წვეთები გარუჯულ მაჯებზე ეღვენთება. მზის სითაკარე მხრებზე ცხელი კეცივით აწევს. ხარაჩოზე დგას. მარჯვენით ქაფჩა უჭირავს, რომლითაც აგურის ნაწყობზე დუღაბს შლის და ანაწილებს, მარცხენით კი აგურს – ტუკ, ტუკ, ტუკ, ტუკ – ასე მიდევნებით დუღაბის ფაფაში აწყობს. თან ზედ ქაფჩის ტარით ურაკუნებს, ან წერაქვ-ჩაქუჩს ჩაქუჩის პირით მორიგეობით, მოზომილად დაჰკრავს–აგური მყარად რომ დააჯდეს დუღაბის ბუდეს.

თვალს ვერ მოსწყვეტ, ისე ლამაზი სანახავია– როგორ გრძელდება თეთრი აგურის მწკრივი: მწოლელა, მწოლელა, მწოლელა – ჩხირა, მწოლელა, მწოლელა, მწოლელა-ჩხირა. ეს ჩხირა ჰორიზონტალზე, კედლის გრძივი მიმართულებით წაწოლილი აგურების განივი ჩამკეტია, განივად ჩაჩხერილია და ჩხირაც ამიტომ ჰქვია ალბათ.

პირველი მრავალსართულიანი სახლი შენდება ბაღდათის ცენტრში.

მამა ამბობს, რომ შენობა ხუთსართულიანი იქნება და იქ ბევრმა ოჯახმა ერთად უნდა იცხოვროს და ვფიქრობ მაშინ, ვის გაუგია ამ სიმაღლე სახლი და მასში, თუნდაც ძალიან დიდში ამდენი ხალხის ერთად ცხოვრება?! ვის გაუგია ერთ დიდ ჭერქვეშ ამდენ ოჯახის სიცილ-ჟივილი?!

ეს საკვირველება ისე მიზიდავს, გაკვეთილები დამიმთავრდება თუ არა, სამშენებლო მოედნისკენ გავრბივარ, გაფაციცებით ვუცქერი, როგორ აგებენ ხარაჩოებს, ან ფიცარნაგებს როგორ აწყობენ.

მამა მარტო არ შრომობს, აქ შრომა ნაკადურია, ზოგი ხსნარს ზელს, ზოგი ტვირთავს, ზოგი ციცხვებით, ან აქანდაზებით აწვდის, მამა მეოთხე თანრიგოსანი კალატოზია და ის აშენებს, საძირკვლიდან თანდათანობით ამაღლებს კედელს. სხვებიც არიან მშენებლები, მაგრამ მე მარტო მას ვუყურებ. მხიბლავს, რომ ის აშენებს თეთრი აგურით. აგურს იტაცებს მონატეხი, მაჯაში ბრუნდედ შეხორცებული მარცხენა ხელით, მაინც კოხტად მიუჩენს ადგილს, თუ კედლის ბოლომ ნატეხი აგური დაიჭირვა, ჩაქუჩ-წერაქვით აგურსაც გატეხს, წერაქვით კიდეს კოხტად ჩამოთლის და ზუსტად ჩასვამს.

ლარი სისწორისთვის გაჭიმული აქვს, თარაზო და შვეულიც მეგობრებად ჰყავს. ერთნი ჰორიზონტალის სისწორეს ადგენენ, მესამე – ვერტიკალის.

შევყურებ შვეულს, კაპრონის ძაფზე დაკიდებულ კონუსისებურ, ცხვირჩამოწვეტილ ლითონის ცილინდრს და იმედიანად ვარ, მამა აქ არ შეცდება, არ შეეშლება, თან კედელი ორმაგია, მტკიცე იქნება და თან კიდევ დუღაბს სხვები აწვდიან.

ჩვენს ეზოში კი, როცა მამა დუღაბს მარტო ზელს, სულ

მეშინია სილას ცემენტი არ დააკლოს, სუსტი იქნება კედელი და ჩამოიშლება. მით უფრო, თუ სილაც არ არის ეს სილა და დაშლილი კედლის ნაცარტუტია... ეს შეიძლება პატარა ბავშვის საფიქრალი იყოს?! მაგრამ ასეა...

თვალსასეირო ამბავი კია და ბავშვებიც ირგვლივ შემოვჯარვივართ, როცა მამა შინ აშენებს. სანამ იგი დუღაბს მოზელდეს სილისა და ცემენტის ნარევისგან პატარა გორაკს წამომართავს, თოხის პირით გულს ამოუღებს, შიგ წყლიან ლაგვინს ჩაუპირქვავებს. გორაკს ყელზე ცემენტნარევ სილას შემოაფენს, ყელს დაუვიწროებს, გასაფურჩქნი კოკორივით გაალამაზებს, მაგრამ ამ კოკორს უეცრად მოერღვევა ნაპირი და წყალი გველივით გამოსხლტება, გაიკლაკნება.

ოპ, ოპ... – მზადმყოფი გადაუხტება, მიედევნება მამა თოხით და იქვე აზელს.

...

ვდგავარ ქუჩაში სულ პატარა და ავყურებ, როგორ ამაღლებს კედელს, თავადაც როგორ დიდდება და მაღლდება მამა. წავა სულ ზევით, აგურების მწოლელა რიგებს გაჰყვება და ალვებს ქვემოთ ჩამოიტოვებს.

მის სიახლოვეს მერცხლები ჰქრიან, მათი ფრთები შავი მარაოებივით ირხევა. მამის მონატეხი და ბრუნდედ შეხორცებული ხელი შეჩერდა, აგურს აღარ სვამს, არც მარჯვენა უფენს დუღაბის ფაფას. მზერა სამშენებლო მოედნის გადმოღმა, დაბალი სახლისკენ აქვს ჩამოპყრობილი და მერე იმგვარ ბრაზიანი ხმით, გულს რომ გადამიციებდა ხოლმე, სულ სხვა ბავშვებს დაჰყვირის თავზე – „ბავშვებო, მერცხლებს რატომ უნგრევთ ბუდეებს? მიხედეთ თქვენთქვენს დაფანტულ სათამაშოებს, არ დაუნგრიოთ ალალ ფრთოსნებს ნაცოდვილარი!“

აქედან ბევრი წელი გავა და მამის რვეულში ზუსტად ამ დღის ჩანაწერს ვიპოვი. ბუდეგაუქმებულ მერცხლებზე წუხს, მათ მიწით ხუროებს უწოდებს, ძველ ბუდეებში რომ თავიანთი ბარტყების ბუმბლი ჩატოვეს, შემდეგ გაფრინდნენ, გაზაფხულზე კი ვერ მოიწამეს ეს ადგილი, ვეღარ მოაგნეს, ანდა დაღლილნი ჩაიკარგნენ ოკეანეში...

ვდგავარ, ავცქერი მამას ფართო მოედნიდან, ქუჩის ფერადებიდან... ჩიხებიდან გამორბიან ალისფერ ყელსახვევიანი, ყავისფერი შალის თეთრმანჟეტიან და თეთრსაყელოიან კაბებში გამწყობილი, თეთრწინსაფრიანი გოგონები, კეკლუცად გაივლიან ქალები, სინთეტიკის წელვად, უცნაურად დამოკლებულ და ფერად კაბებში მჭიდროდ, პრუსკუნა ტანით გამოკვალთულნი... დრო გავა და ექნებათ ჩქარი, კაცური ნაბიჯები, მაგრამ ამგვარი დუნე, მოშვებული სიკეკლუცე აღარ ექნებათ.

მიმოვდივარ კანტიკუნტად მიმავალ ავტოთა შორის და მამას ავყურებ, სულ ის მყავს ხედვის არეში, ხან სათამაშოთა გაბჟღვიალებული მაღაზიიდან, სადაც ლალიმ, ჩემმა პატარა კლასელმა და თანაც დაქალმა თეთრი ღრუბლის შავზოლიანი, მინიატურული ვეფხვი მიყიდა; ხან წიგნებისა და სასკოლო ინვენტარის მაღაზიიდან, სადაც დედას ძალით ვაყიდინე სასკოლო ჩანთა – მანამ ვიტირე, იმ ადგილს ფეხი მივარჭე და არც მოვიცვალე. ალბათ თანაკლასელების წინაშე მრცხვენოდა მამის ტყავის საქაღალდით წიგნების და რვეულების დიდხანს ტარება, ანდა უბრალოდ, ბავშვურმა სიხარბემ მძლია, როგორც მერე მთელი ცხოვრება; ხან კიდევ ბაზრის მუდამ სველ და ჭუჭყიან ფილაქანზე მდგარი ავყურებ.

მამა კი თეთრი აგურის მწკრივებს მიუყვება. აღარც ხელები, აღარც ტანი, ზემოდან მხოლოდ თავი უჩანს.

დიდდება და სრულდება სახლი, მეც ვდიდდები და თანდათან პატარავდება მამა, სანამ თვალს არ მიეფარება...

ამ გოდლების კადნიერი დანიშნულებაც ხომ ესაა – ადამიანმა ღმერთს სახესთან სახე ახლოს მიუტანოს, ეს სახეები ერთმანეთს დაატოლოს, დაამეტოს კიდეც...

გავიდა დრო და უფრო მაღალ სახლშიც ვიცხოვრე. ღრუბლებიდანაც გადმოვიხედე, ცათამბჯენებიც ვათვალიერე, მაგრამ იმხელა სახლი, მამა რომ აშენებდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და ბოლო აგურს აწებებდა თაგვისფერი დუღაბის ფაფას, მერე აღარსად აღარ მიგრძვნია...

დროდადრო ერთი სიზმარი მსტუმრობს: ისევ ბავშვი ვარ, ავდივარ მამის მიერ აშენებულ იმ მაღალი სახლის საფეხურებზე, ბოლო სართულის ერთერთ კართან ზარს ვრეკ, ტილოზე ფეხს რამდენიმე გასმით ვიწმენდ და სულმოუთქმელად ველოდები კარის გაღებას, თან სიზმარშივე ვგრძნობ, რომ ზღურბლს იქით რაღაც უთქმელი უნდა დაიწყოს...

ᲑᲝᲗᲚᲘᲗ ᲬᲧᲐᲚᲘ, ᲡᲐᲚᲔᲡᲘ ᲥᲕᲐ, ᲡᲐᲕᲐᲠᲣᲮᲔᲚᲘ...

გაცეცხლებული მამა ჩამორბის ფერდობზე, გზადაგზა შიშველი ხელით დაურიდებლად წაწყვეტილ და მერე ერთ კონად მომუჭნულ ჭინჭრის თაიგულს მოაქანებს ჩვენი კანჭების დასასუსხად, ჩვენ კი პატარა ბრიყვები ფეთებით ველით, როდის მოინაცვლებს ცხენი ადგილს, რომ ღელესთან მის მიერ დაკავებულ ვიწრო ბილიკზე გასვლა შევძლოთ და წყაროს წყლით სავსე ბოთლები მშობლებს ავუტანოთ..

იმ დღეს მშობლებმა ყანა დიდხანს მარგლეს, მარგვლისას მოსწყურდათ და წყაროზე გაგვგზავნეს. წყარო გაღმა, ღელის ზემოთ, დიდი ლეღვის ხის ძირას ამოჩქეფს. ღელესთან ცხენია გრძელი ბაწრით ჩაბმული. გზის იქით ძოვს და ჩვენც შეუფერხებლად შუშის ბოთლებს წყაროს წყლით ვავსებთ, სწრაფად ვეშურებით უკან, რომ მშობლებს დროულად ავუტანოთ, მაგრამ ცხენი ახლა პირდაპირ ბილიკზეა გაბოხირებული, გასწვრივ ბალახს წიწკნის და ფეხს არ იცვლის. გვერდის ავლა შეუძლებელია, თან გვერდით შამბია, ჭინჭარი, რას გავაღწევთ, შიგ ყელამდე დავიმალებით. ხომ დიდია ცხენი, ჩვენ ბევრად მეტი, უზარმაზარი გვეჩვენება, მისი თვალები გველეშაპის თვალებივით კვესავენ.

უღონოდ ვდგავართ და წინ ნაბიჯს ვერ ვდგამთ.

– ჰეი, რას ელოდებით?! –გვიყვირის მამა ყანიდან, თაკარა მზეში მომუშავეს, ხორხი უშრება ალბათ წყურვილით...

– მორჩით თამაშს, ამოდით ჩქარა! – გვიყვირის დედაც, რომელიც მამის გვერდით თოხს არ აცდენს და ხმაშიც უჩვეულო მოუთმენლობა ემჩნევა...

ვერც მშობლებს ვაწვდენდით ხმას და არც ცხენს ესმის ჩვენი ფეთება, ეტყობა სულ ტყუილია, თითქოს მის თვალში პატარა ადამიანებიც დიდებად ჩანდნენ, არხეინად ძოვს ღელის პირას, ზედ ბილიკთან და ფეხის აჩქარებას არც აპირებს.

რამდენ ხანს ვდგავართ ასე?!

სანამ ბავშვს შეუძლია ელოდოს ბილიკზე უხიფათოდ გავლას, სანამ შეიძლება უფროსმაც ითმინოს წყურვილი...

და ამის მერეა, გაცეცხლებული მამა რომ ჭინჭრის კონით ჩამორბის ზემოდან. ღელეში ცხენი ფეთდება და ადგილს ინაცვლებს, ჩვენც ვფეთდებით, ბოთლები ხელიდან გვიცვივა და მაყვლის ბარდებში მიგორავს...

...

იმ დილით, ყანის მარგვლამდე შინიდან წასულებმა რაც ძაღლების ღავღავსა და ორღობეში ღორების ჩლიქით გათქვეფილ ფაფას გავაღწიეთ, რომელიც ვარდისფერ საფენიან და შავად მოკრიალე ფეხსატუცავებს ზემოდან გადაგვდიოდა, სულ სხვა, გაშლილ სივრცეში, გიგანტური ფიალის ფსკერზე ვიარეთ.

– ეს ზღვის ფსკერია, – ამბობდა მამა, – ადრე ამ ადგილას ზღვა იყო... ნახეთ, რაგვარი ნიადაგია, ჰომუსის ქვეშ ნაცრისფერი ლიპები...

ხელის ერთი შეხება, გადასმა და ჩამოფატრულ კლდეთა დამრეცი ზედაპირიდან ნაცრისფერი ნაშალი ხვინჭკა ცვივა... ნიჟარებიც იყრება, ოღონდ ისინი იმ ბალახთა ღეროებიდან, რომლებიც ერთი მტკაველი სისქის ჰომუსზე აღმოცენებულა. რა დრო, რამდენი ათასი წელი დასჭირდა ამ ნაცრისფერი ქანების ზემოთ მიწის პატარა ფენის ჩამოყალიბებას, ზღვის გაუდაბნოებული კლდეების მზის ყვავილებით და ბალახ-ბულახით თავის შემკობას. ჩვენი თმების დასამშვენებელ სამყურა ბალახთა ვარდისფერ ბურთულა ყვავილებად გადაბიბინებას.

ადრე, ხომ შავი და კასპიის ზღვა გაყოფილი არ იყო, ღმერთმა გახსნა თავისი მწყალობელი პეშვი, წყალი დასავლეთით და აღმოსავლეთით გადაღვარა, გამოათავისუფლა კიდევ იმხელა არე, სადაც ერთი დიდი ზღვა თავისუფლად დაეტეოდა, მაგრამ მან წყალი კიარა, ხმელი ისურვა, ეს მიწა ჩვენ დაგვითმო...

ყვავილთა უთვალავ თაობებად მზისქვეშ აქ უნდა გვეშრიალა, რომ განძარცვული ფოთოლ – ძვალი ამ მიწაში მტვერივით ჩაგვეცრა და სამომავლო აღდგომები ერთმანეთისთვის გვეხარებინა...

გაღმა მთები ჩანს. მის ქვემოთ ოთხკუთხა, მწყობრად მოხაზული ნაკვეთებია სიმინდის ყანებად მწვანედ აღაღანებული.

გაღმა სხვისი ყანები, გამოღმა ჩვენი, რომელიც ალბათ ზუსტად ისეთივე დაკუთხვილი, მწვანედ აღაღანებული ჩანს გამოღმიდან, როგორც მათი – გაღმით, იმ განსხვავებით, რომ ჩვენს ყანებს თავზე მთები არ ედგმის.

მოვა მზიანი, ცხელი, ზაფხულის თვეებისგან განურჩევი ოქტომბერი, დიდი თუ პატარა ნამგლით შევესევით და ავჩალავთ ამ ყანას. ჩალის ქაღლებს იღლიებთან მიკრულ ზრდასრულ ბალღებს ავართმევთ, გავფურჩქნით და სამოსს გავხდით, ყანის აქა-იქ მონიშნულ ადგილას მოვისვრით, ადგილ-ადგილ თეთრი ბალღების გორებად წამოვმართავთ და მზისგულზე აელვდებიან, მხიარულად გაიცინ-გაიკრიჭებიან ეს სიმინდის ბალღები, ზოგი წვრილი კიჭებით და ზოგიერთნი მარმარილოსფრად ჩარიწკინებულ ფართო კბილებით. ამ ჩალის ქაღლებს კი მზისგულზე დავწვენთ და ტირიფის წნელებით შევკონავთ, მერე, წვიმამ რომ არ დაალტოს, კონებს აღვმართავთ, ქოჩოჩით ზემოთ, მჭიდროდ მივაკრავთ ერთურთს, ამ სიმჭიდროვეში ჩვენც ვეტნევით, ჩვენც ვეკვრით და ვეწებებით ჩალის კონებს, ნორჩ კანს გვისერავს, გვიშაშრავს მზით გაფიცხებული ჩალა, მაგრამ ვინ დაეძებს, ოღონდ კონას კონა მივუმატოთ, კონებს ფეხი ძლიერად გავადგმევინოთ, ნამგლით ცერად ანასერი მუხლი მიწას მყარად დავაბჯინოთ, წვიმას ძლიერი ზვინის დადგმა დავასწროთ, ქარმა რომ ვერ გაფანტოს და ქარიშხალმაც ვერ წააქციოს...

სალესი ქვა აგდია სადღაც, და ის ნატეხი ახლა აღარავის ახსოვს, ვალმოხდილი, შრომის იარაღთა პირმომპირავი, ჩვეულებრივ ქვას ჰგავს და ეს კლდის ნატეხი იკარგება, სულ იოლად აირევა, გაიცვლება უბრალო ქვაში... ან ამ კლდის თავზე ნაცრისფერი ქანების ზემოთ მინდვრის სიმწვანე გადაუვლის.

...

– დეეე, დედუაა... არც დედი, არც დედიკო... – დედუა... ეს „დედუა“ და მერე შეღერებულზე, სიცილ-ტკრციალით: „უიმე, დედაია!“

ვარდისფერ ყვავილთა გვირგვინი უკვე აღარაფერს ნიშნავს, თმაში ჩასამაგრებელ სავარცხელზე ოცნებას აიკვიატებს გული, ამ მორკალული სავარცხლით შუბლიდან ტალღა თმას წაიღებ და თხემის შუაში ჩაიმაგრებ, ტალღად მოწოლილ თმებს შეაკავებ...

ასეთი სავარცხელი ლითონისაც იყიდება – ვერცხლისფერი, მაგრამ მასზე ვინ იოცნებებს, შავი პლასტმასისგან დამზადებულიც კი დიდ ბედნიერებად ჩანს.

დედა ბებიას მიმადენის, პენსიას ის ელის... ბებიაც პენსიას აიღებს – 18 მანეთს და 80 კაპიკის ხურდას მუჭში ჩამიყრის, რომ უნივერმაღის ზედა სართულზე, სადაც გალანტერეაა, მოკრიალებული პარკეტი, დიდი სივრცე და პაწია კოშკებივით ჩამწკრივებული სუნამოები ერთი დიდებული სუნთქვით სუნთქავენ, იქვე, პატარა სექციაში შავი პლასტმასის მორკალული სავარცხელი ვიყიდო.

სულ რამდენჯერმე დავიმაგრებ თმაზე ამ სარჭს და ბოლოჯერზე მეტს ვეღარ შეძლებს მისი სიმყიფე. გატყდება სავარცხელი ორად.

ცოცხალი თავით არ მინდა მისი დათმობა, იქნებ შეწებდეს...

დავაღვენთებ სანთელს, არ შეწებდება, ასანთის ცეცხლზე მოვულღობ განატეხ პირებს – დავატყუპებ, მაინც არ შეწებდება, მხოლოდ გაიბდღალება...

წყალი გადაღვრილია, სალესი ქვა გადაგდებული... გადავაგდებ სავარცხელსაც...

გავა დრო და იმ ადგილას, სადაც სიმინდის ყანა ქარში მწვანე ზღვად ღელავდა, ნამგალთა სალესი ქვით მოპირული ფხები მცხუნვარე მზეში ელვარებდა, მშობლებს ჩალის აქუბვაში ვეხმარებოდით, ტირიფის წკნელებს გარსვავლებდით მოკონილ ჩალებს, მარმარილოსფერ ტაროების გვედგა გორები, გაჩნდება ტყე – აკაციის...

– გავჩეხოთ დედა ეს ტყე, აკაცია მარგილებად გამოვიყენოთ, მორღვეული ღობეები შემოვზღუდოთ, საზღვარი გავამაგროთ, თუ სიმინდის ყანა არ გვინდა, ხორბალი დავიბრუნოთ, ჩვენი პური მოვიწიოთ, უკეთესს რას ვინატრებთ... სასჯელია უმუშევრად მოცდენილი მიწა, ველურ კოლტივით გადმოამთაბარებს ღმერთი უცხო ტომებს და ამ ჩვენს მიწებს დაუსაკუთრებს...

– ვის აქვს ამის ძალა, შვილო, გამოიფიტა ადამიანი... შრომა აღარავის უნდა, მის სიმძიმეს ყველა გაურბის...

ყველას გასაქცევად უჭირავს თვალი...

...

დამბადებელო, ამ ნოყიერ ნიადაგზე ჩვენო დამრგველო, შეგვინდე ეს მცონარობა და ნუ აღმოგვფხვრი, ამოგვძირკვავ ამ წალკოტიდან.

და როს ღრუბლიდან გარდამოხვალ შენი დიდებით, ანგელოზთა საყვირები ცელიან ჩონჩხებს კაცთა მკისკენ უფრო ძლიერ გააქეზებენ, სტიქიათა ხანძრები კი მთვრალი კაცივით იბორგებენ და ენებს ჩვენი ქალური, განმკითხველი ენებივით მიმოდასდებენ,

ამ მიწიდან გამოგვიხმე, ჩვენი ფერფლი წამოკრიფე, ხელმეორედ გამოგვძერწე სველი თიხისგან, ხელმეორედ ჩაგვითქვი სული და კვლავ მიწაზე დაგვადგინე, ამ აყვავებულ ხეების ქვეშ, სად გამთენიის ჩიტები გიგალობენ გიჟურად და გადარეულად...

სალომეა ლომინაძე

გამარჯობა, მე ვარ სალომეა ლომინაძე. ... დავიბადე 1993 წლის 12 ოქტომბერს ქალაქ ოზურგეთში. ვარ საბანკო საფინანსო, საბუღალტრო, საბირჟო და საფონდო საქმის სპეციალისტი. მყავს ორი შვილი, თეკლა და დაჩი. ორი წელია რაც პოეზიის გზას შევყევი, პოეტის გზა არაა იავარდით ფენილი და არც ის ვიცი, სად მიმიყვანს, მაგრამ არ ძალმიძს გადავუხვიო. ჩემს შემოქმედებას, ალმანახ „ხორნაბუჯის“ ხელშეწყობით, დღეს პირველად წარვუდგენ მკითხველს.

შენ, მამაჩემო!

შენ, მამაჩემო ჩემზე რა იცი?
არც არაფერი – ობოლი მქვია.
და არ იდარდო... თბილად ჩაიცვი,
„გამიცივდები“ ადრე თუ გვიან...
მა, შევიყვარე უშაქრო ყავა,
გაძლებას ვსწავლობ თითქოს მე ასე,
პირველად კაცმა რომ დამიყვავა,
გაბრაზდი, დღეს კი უკვე მეასე
კაცი მამშვიდებს...ჰო, მიალერსეს.
გული მიმდის და ვერსად წამივა,
ვწერ „მორზეულად“ უაზრო ლექსებს,
ხან საუკუნე, ხანაც წამი ვარ...
აქ ყველა ჭორი შენს შვილზე დადის,
აქ ყველა ქალი მე მწყევლის, მამა,
რომ გვაძლიერებს, ერთიც იმ დარდის,
შენ რა გითხარი, დალაი ლამა...
როცა ქალაქში შხაპუნებს წვიმა,
შავი ფარდებით ვაბნელებ ოთახს...
ვინიშნავ ყველა „უზომო“ წვრილმანს,
რომ მერე ასე, ლექსებად მოვთქვა...
ხან ცისარტყელას ვხატავ, ორზოლას,
ის ხუთი ფერი ზღაში წვეთია.
არ შემიძლია იმის მოზომვა,
რაც საარსებოდ გადამწყვეტია!!!
ჩემს თავს გავუხდი მემატიანედ
რაც კი დავწერე, ნელ-ნელა ხდება.
ზოგჯერ სასმელი გამატიალებს
და შენი გოგოც ხიდიდან ხტება...
მინდა შემოვკრა, ავაფაფხურო
ფრთები ჩემს მხრებზე, ჯერ დაუცდელი.
მამა, სუდარა არ დამახურონ,
არ მინდა რომ თქვან, ვერ გავუძელი!...
მაგრამ როდესაც შიშით ღმერთებზე,
საუბრობენ და ჯვარცმას უცდიან,
ძნელია, იყო მათთან მეთევზე,
ბადეში ყოფნა რომ განუცდია...
ჩემს ღმერთს არ უყვარს შუამავლები,
არავინ იცის, რომ მე მაგი ვარ.
აყივლდებიან, ვიდრე მამლები,
საფლავებს შორის კვერთხით დავდივარ!!!
მამა, შენს შვილზე, რა იცი შენ და
რა იცის დედამ? რატომ ან როდის?
ჩემში საყდარი ისე აშენდა,
რომ სალოცავად არავინ მოდის...
ასეა, როცა მოყვარედ გზრდიან,
‚მტარადგამოზრდილებს“ ვერ ეგუები!?

არაფერი არ მაშინებს საკუთარი ჩრდილის გარდა!

არაფერი არ მაშინებს საკუთარი თავის გარდა,
ვერც ის გოგო მომერევა წარსულში რომ ასე მგავდა...
ხშირად მოდის გვირილებით, თავზე აზის ბაბთა ჭრელი,
როგორ მინდა გადავუსვა სულელ ყელზე დანა მჭრელი...

ჰო, მინდა რომ ზუსტად „იგი“ ... ოღონდ მკვდარი ჰყავდეს აწმყოს,
მაშინ ველარ მოვიდოდა, რომ დამცინოს, როცა აწყობს...
მოიღერებს ყელს და, ზოგჯერ, გამიშტერებს ისე თვალებს,
მერე ვფიქრობ, თუ არ ვესვრი, ისე ეს არ დაამთავრებს...
არ მორჩება ჩემს დაცინვას, სიცილ-ხარხარს, ვტირი როცა,
ყველა სიტყვა როგორ ახსოვს, ყველა რჩევა, ვინ რა მომცა...
როგორ ახსოვს ყველა, ვინც კი ამ გზის მითხრა მისამართი,
ყველაფერი გამახსენა, ვის ვაჩუქე, ვის წავართვი –
ასე როგორ დაგიცლია – შემეკითხა – ღვთისგან სახლი?!
მერე ისევ ახარხარდა – ჯვრისწერაზე მეც ხომ გახლდი!
ასე როგორ გაგირყვნია ყველა ნერვი, ყველა ძარღვი?!
ახლა ისე დაცლილი ხარ, ვენებს იჭრი და სისხლს არ ღვრი.
როდის იყო სიყვარულს და ერთგულებას ვინმეს სთხოვდი?!
ასე როგორ დაეშვი და ასე როგორ გამათხოვრდი?!
სად წაიღე შენი რწმენა, იქნებ სადმე დაგრჩა კიდეც,
ლილიტს ისე დაემსგავსე, ხელს არავინ არ ჩაგკიდებს.
ალბათ ახლა, რომ შეგეძლოს, ცხრას გათხრიდი ერთად საფლავს,
სულებს ისე შეთქვლიფავდი, როგორც ძაღლი თქვლეფს სალაფავს.
ნუ მიყურებ ისე, თითქოს შუა გზაზე მიგატოვე,
ეს შენ თვითონ აირჩიე – ამდენ ხალხში სიმარტოვე...
მოდის ასე, წარსულიდან, ჭრელი კაბით თხელი გოგო,
და დაცინვით მეკითხება – მოახერხე, მაგრამ როგორ?!
და ვპასუხობ – ჰო იცინე, იხარხარე, მოდი ხშირად,
უფრო მეტი გამახსენე, აღარ მიღირს „არცა ჩირად“.
არაფერი არ მაშინებს, საკუთარი ჩრდილის გარდა,
ერთად გავთხრი ცხრა საფლავს და ყვავილოვით ყველას დავრგავ,
ვინც მიყიდა, ვინც გამყიდა, ვინც ითვლიდა ვერცხლებს მერე,
მეც მმარხავდა ცოცხლად, აბა, ეს ლექსები როგორ ვწერე?!

დორიან

წავიდეთ აქედან მე და შენ,
დორიან!
აქ ჩემთვის ცხოვრება ზედმეტად მდორეა..
წამოდი,
მთებს იქით ვიპოვოთ ფლამინგო,
მისმინე, დორიან, გთხოვ, უნდა გამიგო...
ეს უშნო ქალაქი არაა საჩემო,
წამოდი,
ის შავი ფლამინგო გაჩვენო...
ვიცი, რომ ფლამინგო სიდინჯეს მასწავლის,
რომ რისხვა არასდროს ვაჩვენო – არავის...
წამოდი,
წამოდი,
წამოდი დორიან!
ნუ უსმენ ნურავის, ეს მხოლოდ ჭორია...
რომ მე ვარ პოეტი, მაიმახს მადრიან!
არ მძინავს ღამე და ვწერ დილაადრიან..
მაიმახს რად უნდა ლექსები, დორიან?
ჩაბარუხს მიყვება ნაფოტებ-მორიან....
რითმები, რომლებზეც როკავენ ბოშები...
ბაბაჯანს რად უნდა, დორიან, ქოშები?
მე მართლა არ ვიცი, შენ მითხრა ეგება,
რად მინდა ლექსი და სტროფებით ვედრება?
რად მინდა რითმების გრძნობათა სავათი,
თუ ისე ამტკივდა, თავი ვერ გავართვი?
რად მინდა ქუჩაში გამოსულს ფარაჯა?
შენ თუ არ მეყოლე, დორიან, დარაჯად?!
ოღონდაც აქედან წამოდი, დორიან,
სასახლე ავაგოთ, სადმე მთა-გორიან
ადგილას, ოღონდაც ვნებების სასახლე,
წამოდი, დორიან და მთაში დავსახლდეთ...
გავზარდოთ გრძელფეხა და შავი ფლამინგო
წამოდი, დორიან,
გთხოვ,
უნდა გამიგო!!!
არ მინდა ლექსებით გრძნობათა თამაში,
არ მინდა, დავთესო იმ სიძვის ყანაში,
სადაც არ იციან, პოეტი ვინ არის;
სადაც არ ეძებენ სათავეს მდინარის...
სადაც არ იციან, ლექსად რომ ირთვები,
რას გრძნობენ ჯერ კიდევ უთქმელი რითმები...
გავრბივარ აქედან, თუმცა არ მდევნიან,
არ მცნობენ პოეტად და ვძულვარ მტევნიან,
მაჯიან, კალმიან, რითმიან, მელნიან...
და ვჩქარობ, მერე რა! –
თუ კი არ მელიან...
წამოდი, აქედან წავიდეთ, დორიან,
აქ რასაც გეტყვიან, ნუ უსმენ, ჭორია...
მე გულით ვამბობ და არ მისმენს არავინ...
აქ უფრო იციან თააბატ შარანი...
არ მცნობენ და მაინც,
და მაინც მდევნიან,
არ მცნობენ და ვძულვარ კალმიან, მტევნიან
მაჯიან, მკლავიან, მკერდიან, თმებიან...
არ მცნობენ და მაინც მოდიან,
თბებიან...
და უნდა დავტოვო ქალაქი, დორიან,
უკვე ეს ჭორებიც ზედმეტად მდორეა...
წამოდი ძვირფასო, ლამაზო დორიან....
წამოდი
...
დორიან...

ჩემზე იტყვიან...

ჩემზე იტყვიან, გადახტაო დედამიწიდან,
სხვები იტყვიან ამას, თორემ დედამ იცის და...
მას ჰკითხე, როგორ გამოვაღე ზეცის სარკმელი,
რომ არაფერი არ წავიღე ღმერთთან სათქმელი...
თავს დავიმუნჯებ, გენიოსებს როგორც სჩვევიათ,
ჩემი ლექსები, ისედაც ხომ განაჩენია...
მაგრამ ვაი,
რომ აპრილია, დასკდნენ კვირტები...
მაგრამ ვაი,
რომ წავალ-მეთქი ველარ გპირდები...
ისევ თამამად დავუწერდი ატეხილ კერტებს,
აღგზნებულაო ხეებზეო, ვეტყოდი ღმერთებს...
ჩემსავით, აბა ვინ შეუთხზავს ჭვავის თავთავებს,
მზეკაბანის დროს ჭვავის ყანა როგორ თამთამებს...
რომ ინავლება, ინანება ქალი ყანაში,
ვის შეუძლია დღეს ჩემსავით რითმით თამაში?
ვინ შეადაროს ჩაბარუხი საყვარლის ტორებს,

ჩემი ლექსია, წყაროსთან რომ პირგამშარალს გტოვებს...
არ ეშინია ჩემს სტროფებში არავის წარღვნის,
მუზა ისეთი ოხერია ამასაც წარყვნის...
როცა ქარია, ზეცას წვდება და ღრუბლებს არწევს.
ისე ვწერ, თითქოს ქარს უნდა, რომ ღრუბელთან დაწვეს.
ახლა, ძვირფასო, აპრილია, დამსკდარ ალუჩას
ღილებს ვხსნი ისე მოწიწებით, კერტი არ უჩანს...
ახლა, ძვირფასო, რძის კაბაა ხეთა საფარდე,
შევყვები წერას გზაფხულზე, მაგრამ სადამდე...
უკვე ის დროა, თქვან, გადახტა დედამიწიდან,
შენ სხვას არ ჰკითხო, სხვამ არ იცის, დედამ იცის და
მას შეეკითხე... სამძიმარზე სიტყვა არ დაძრა!
დედამ იცის მე, რად მინდოდა შენში ატაძვრა...
ახლა, ძვირფასო, პაემანი შაითანთან მაქვს,
კანი ავიძვრე, ხორციანად და თან არ დამაქვს...
მანდ დაგიტოვე, ის ღალატი, დედამიწაზე...
ზეცის სარკმლიდან გადავეშვი...
ველარ გიწამე...

და მაინც ვწერდი, როგორ ვიქცე ადამიანად!

დაცლილ მკლავებზე შუა ღამემ გადამიარა,
ისედაც ვიწრო და გამხდარი თითები ვიღრძე...
დილამდე ვწერდი, როგორ ვიქცე ადამიანად,
როცა ამ ლექსის ტოლიც არ ვარ,
არც მისი სიგრძე...
სხვების ქუჩაზე – სხვებთან ერთად როგორ ვიარო?!
ჯოჯოხეთია აქ ცხოვრება – სხვების ქალაქში...
ყური მოუკრავთ, რომ არასდროს სჯობსო გვიანო
და მერე მორალს მიკითხავენ,
გვიან გადაშლილ
წიგნებიდან ტაძრის ეზოში,
ერთი გვყავს მღვდელი.
ჩვენ აქ ბაზარიც საერთო გვაქვს, მისი ვაჭრიან.
ამ ორს შორიდან ვაკვირდები, ვზომავ და ველი.
ჩემს ასჯერ ნაზომს „წმინდანები“ როგორ გაჭრიან...
ამასობაში დღე ილევა, დღესთან რა მინდა?!
რა იცის მზემ სხვა – რომ ამოვა უნდა ჩავიდეს...
როცა საერთოდ არ გავსულვარ დედის სახლიდან
– ახალი ჭორი წიგნში ზუსტად იმ დღეს „ჩამიდეს“.
განა რა არის გასაკვირი, გასაოცარი,
ჯვარზე თუ აცვა უკვდავება ქვეყნად მოკვდავმა.
მე არ მაქვს ჯვარი, არც ხატი და არც სალოცავი
და მიანც ვფიქრობ,
ქვეყნად ღმერთმა რომ გამომგზავნა...
უბრალოდ ის ვერ გამიგია, რა უნდა ვწერო.
როცა უკვე თქვეს „ რამ შემქმნაო ადამიანად“
ვიტყუებ თავს, რომ მომიყვანა ამ ქვეყნად წერომ,
მაგრამ მამა ვარ,
ხასიათი,
სახე,
– მთლიანად...
აქ რა მინდოდა?! ვეკითხები მერე მამაჩემს.
მიწიერება სხვების გვერდით, უსამართლოა...
მამა წუხილით იმეორებს – შვილის განაჩენს.
„ეჰ ჩემი შვილი ამდენ ხალხში მართლა მარტოა“...
მე კი ვწერ,
ვწერ, რომ შეიცვლება ადამიანი...
მერე ვიქნები მათი მსგავსი მოდგმიდან ევას,
სულ ნუ გამიცნობთ, არ გავხდები, არა, რქიანი...!
რაში სჭირდება სხვის ქუჩაზე ძეგლი ჩემს მტევანს?!...
უკვდავებისკენ სიცოცხლეში დგამენ ნაბიჯებს,
მე თვითონ დავდგამ ჩემს საფლავზე პოეტის ედას,
ოღონდ არ უთხრა მამაჩემო, არა, ძმა-ბიჭებს,
რომ მოგიკვდი და მითუმეტეს ნუ ეტყვი დედას,
რომ მე ვცდილობდი სხვების მსგავსად, სხვების ქალაქში,
სხვების ქუჩაზე ავყოლოდი სხვების ამინდებს...
მე არ ვიქნები, ჩემს კაბადონს როცა გადაშლი
და წერტილ-ძძიმე გიკარნახებს როგორ ამიგდეს...
ჰო, სწორედ მაშინ, რომ ვიხდიდი ღამეს სათევად,
ჰო, სწორედ მაშინ, საღამოსფერს რომ ვერ ვიტანდი!
როცა იმ სხვებმა დამიმგვანეს სადღაც ნახევრად,
როცა მეგონა სულს დილამდე რომ მივიტანდი —
ჩემი სამელნე სწორედ მაშინ გადაყირავდა...
სხვების ქალაქში, მაგრამ მოვკვდი საკუთარ თავში,
ზამთარი იყო, დეკემბერი, თოვდა, ყინავდა
და როგორც „მტვერში წაქცეული ნუკრთვალა ბავშვი“
მეც ზუსტად ისე წავიქეცი, თითები ვიღრძე...
დაცლილ მკლავებზე შუა ღამემ გადამიარა!
ჰო, ვერ ვიყავი ლექსის ტოლი, ვერც მისი სიგრძე,
და, მაინც ვწერდი. – როგორ ვიქცე ადამიანად...

მე ტკივილების სასაფლაოს მკვიდრი ვიყავი!

მერე რაა, თუ
ვერ
მივატან გაზაფხულამდე?!
იების სურნელს
არც წინა წელს დავხარბებივარ,
მერე რაა, თუ
საუკუნეს უნდა ვხურავდე?
დღეს მიწას ისე ვემძიმები,
მკვდარიც ბევრი ვარ!!!
გადაგიწონით
ყველა ცოდვას, ყველა განაჩენს,
ყველაზე მეტი მაშინ ვხდები,
როცა მარტო ვარ...
ზუსტად ამიტომ
არ იტყვიან – ნეტა გადარჩეს,
და ეამებათ თებერვალი როცა დამტორავს...
გადასაწვენად გადმომიშლის
სუსხიან მკლავებს,
ამაფრიალებს ფანტელივით,
ისე მჩატე ვარ.
ნეტა თუ იცის რა ძნელია როცა მავალებს,
გაუსაძლისი ტკივილების ლექსში ჩატევას?!
მე ჩემი წილი ქვეყანაზე ზეცაც არ მცმია
თქვენ,
მიწიერნო დედამიწა არ გამიყავით,
ასეთი იყო ჩემი ხორცის სუბლიმაცია,
მე თავიდანვე სასაფლაოს მკვიდრი ვიყავი...
წუხელ მესიზმრა,

გაზაფხულის გვერდით ვწვებოდი,
გადავრჩენილვარ,
წყლად ჩავმდგარვარ ხეში თებერვლის,
წუხელ მესიზმრა,
კვლავ სიყვარულს ვიხვეწებოდი
და მეშინოდა
ამ სიზმრისთვის სულის შებერვის...
მერე რა მოხდა,
თუ სიზმარმაც ასე დამცინა,
მე ყველაფერზე ასე ვამბობ
– მერე რა მოხდა?!
ახლა მთლიანად გავიყინე,
მაგრამ არ მცივა...
არაფერია,
მე უბრალოდ სული ამომხდა...

მე შენი ცოლი გადამეხვია

დღეს შენი ცოლი შემხვდა შემთხვევით,
ის ჩვენს ქუჩაზე შემომეფეთა.
შემრცხვა, რომ მიცნო ერთი შეხედვით.
შენი ნაყიდი ჯვარიც მეკეთა...
გამიღიმა და მითხრა მახარებ,
მიწა გამისკდა, არც ჩამიტანა,
დავიბენი და თავი დავხარე,
სად დამემალა შენი გიტარა...
მითხრა, რომ მიცნო, გადამეხვია
მითხრა „ძვირფასო ყველას უყვარხარ“
აი, ცხოვრება – როცა „ნეხვია“
აი, ცხოვრება – როცა უკან ხარ.....
გადამეხვია და უცებ შეცბა.
მემგონი იგი სუნმა დაგეშა,
შენი პერანგი შიგნიდან მეცვა,
რომ ამ მაგიით ცოლი გაგეშვაა...
გადამეხვია და მოვკვდი იქვე,
შემეშინდა, რომ ფერი არ ცვლოდა,
შენ გამახსენდი, იწექი პირქვე,
ნატრობდი ცოლი რომ გარდაგცვლოდა...
აი, ცხოვრება – როცა „ნეხვია“
დღეს შენი ცოლი გადამეხვია...
არადა მშურდა მე მისი დილა,
მისი საღამო მეზიზღებოდა...
სხვა უღმერთობა თუ გაგონილა
შენ სხვისი ცოლი გესიზმრებოდა...
და ამის მერე კი არ დავდივარ.
თითქოს რაღაცა ძალა დამათრევს,
თურმე როგორი ქალის დარდი ვარ!
ეს ქალი ღამეს აღარ გაათევს!....
გპირდები, როცა დამიჭერ სახეს,
როცა მეტყვი რომ სამყაროს ვგავარ.
მე მოგიყვები, რომ ცოლი ვნახე,
შენი ცოლი და უსიტყვოდ წავალ...
აი, ცხოვრება როცა „ნეხვია“
მე შენი ცოლი გადამეხვია!

ქმარს ვიღაც სხვა შეუყვარდა ...

საძინებელს გადავხადე სულ ბოლომდე ღამის ფარდა,
მე ჩვილს დავფოფინებდი და ქმარს ვიღაც სხვა შეუყვარდა...

ნაკეისრალს ვიშუშებდი, თმები ყალყზე მედგა მაშინ,
მთელი ღამე დავდიოდით ოთახ-ოთახ ორი ბავშვი...

სანამ მკერდი ეშვებოდა ფერდობიდან დაბლა, დაბლა,
სანამ თვალებს ეტყობოდა სიბრაზე და მხოლოდ დაღლა,

სანამ თეძოს ნახეთქები გამიიასამნისფერდა,
სანამ ჩემი დედამთილი, მხოლოდ თავის სარეცხს ფენდა,

სანამ ნიგვზის ნაჭუჭები, მკერდზე რძით და სისხლით ვსვარე,
სანამ ცრემლად არ დამღვრიდა ნერვიულად სავსე მთავრე...

სანამ ხმა არ შემეცვალა, შემეცვალა როგორც სახე,
მანამდე არ მომახარეს – „გუშინ შენი ქმარი ვნახე“...

მანამ ადრე ინათებდა, არ ეძინა ჩემს თოთოშას,
ქმარმა აღარ მიყვარხარო, მეგონა რომ წამოროშა...

მეგონა რომ წამოროშა – „მე სხვა ქალზე ვაბოდებდი...
შენ ის ქალი აღარა ხარ...
სხვა ფერი ხარ, სხვა პორტრეტი“...

საძინებელს გადავხადე სულ ბოლომე ღამის ფარდა,
მე ჩვილს დავფოფინებდი და ქმარს ვიღაც სხვა შეუყვარდა...

დამავიწყდა ყველა სიტყვა, ვერ ვივარგე აქ პოეტად,
ვაჭარივით მოვიქეცი, რომ მივუგდე ქმარს მონეტა,

როდი იყო მხოლოდ ვერცხლის, ჯამაგირი – სულ ყველაფრის...
თოთოშაზე უფრო მეტი დავუბრუნე მსუყელაფის ...

და ისევე მოვაფარე საძინებლის ღამის ფარდა,
ქმარს, ვიღაც სხვა –
მე კი ჩემი –
ჩემი ქმარი შემიყვარდა...

შემიყვარდა მაგრამ მერე –
ვარ „ყველასი“ ქმარის გარდა...
მე ქალობას ვსწავლობდი და ჩემს ქმარს –
ქალი შეუყვარდა...

* * *

მე ვიცი პოეტი,
თვითმკვლელი პოეტი...
ჯერ კიდევ ცოცხლების რიგში რომ წერია...
ნამგალა მთავარეა – კალმით და კორსეტით...
(რა იყო დედიკო? მე ჯვარი მწერია).
...
მე ვიცი ჭკვიანთა ხმაურის ჩახშობა,
სახეზე ღიმილი გრიმივით მისვია,

შორეულ წარსულში დავტოვე ბავშვობა,
და ქალი მივყვები გზას, ასე ნისლიანს...

პირველად ედემის სამანს რომ გამოვცდი,
მას მერე აკრძალულ ხილადაც მაქციეს...
დღეს უკვე უბეში გველივით გამოზრდილ
კაცსაც კი ვიწონებ, არა თუ საქციელს...

ცბიერად მოკაზმე ერთგულის იერი,
სანგრების კვალდაკვალ რომ დავიბანაკო,
ვერავინ ვერ ვნახე ლექსისგან მშიერი...
მეზღაპრე მიყვარს და სულ იგავარაკობს...

მე ვიცი პოეტი,
თვითმკველელი პოეტი.

კედლებზე აწერდა – „მე თვითონ რითმა ვარ“
ნამგალა მთვარეა – კალმით და კორსეტით
და არ ღირს ამ დროში – ის – წასაკითხვად...

თვითმკვლელი პოეტის ბწკარები მჭიდშია,
ლექსები ყულფებად უპირებს დასევას.
მასსავით, არ ვიცი, სიკვდილი ვის შია...

მე კი დღეს
ასე ვარ...
ასე ვარ...
ასე ვარ...

ᯖᲣᲛᲑᲔᲠ ᲣᲗᲠᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

შოთა რუსთაველს – „ვეფხისტყაოსანს“

როგორც ბიბლია, ხარ წიგნთა წიგნი,
ჩვენი მეობის ლიბო და ფუძე,
შულს და გულს გვივსებ რწმენით და სიბრძნით,
ათას განსაცდელს იმიტომ ვუძლებთ.
რაც ხანი გადის, უფრო კაშკაშებ,
მეტს და მეტს იძენ თაყვანისმცემლებს,
ეამაყებათ მიჯნურ ვაჟკაცებს,
ტარიელივით რომ ღვრიან ცრემლებს.
ბევრი ჭაბუკი კვლავ ავთანდილობს,
ქალი ნესტანობს და თინათინობს,
თუმც ზოგიერთი იმასა ცდილობს,
შენი ძაგებით გული გვატკინოს.
მარად ჯვარცმული კაცი ქართველი
უფალთან ერთად შენ ანუგეშე,
ვინც არის ჩვენში ჭკუაჯანმრთელი,
რწმენით, იმედით ისიც შენ გეძებს.
ქართულ სულს მტრები რომ ვერ გვაცლიან,
გადაგვარჯულა ვერვინ რომ დღემდე,
ამაში შენი დიდი ღვაწლია,
ღმერთკაცად მიტომ გიწამეთ, გენდეთ.

* * *

არსებობს ლექსის მრავალი თარგი,
მრავალნაირი ზომის და წონის,
ზოგია მეტად კოხტა და კარგი,
ზოგს კი გაუქრეს პატრონ-მომგონი.
ზოგი იყენებს ბევრნაირ თარგებს,
ზოგს ურჩევნია ერთი ყალიბი,
მაგრამ თარგი თუ ლექსებს არ არგებს,
ეს პოეტია არიფი, ყალბი.
კარგი ყალიბი შენ რას გიშველის,
თუ არ გამოწვავ გულში სტრიქონებს,
ლექსი აზრისგან თუა შიშველი,
ერთი მითხარი, ვინ მოგიწონებს.
ლექსსაც კაცივით აქვს თავის ბედი,
ზოგს ამჩნევენ და ზოგიერთს არა,
ზოგი დამწერს ჰგავს ავყია, ყბედი,
ზოგმა მრავალი გული ახარა.
ზოგი ლექსია მეწყერი მართლა,
მგოსნის სულს და გულს რომ ანუგეშებს,
ლექსი მინახავს, ვითარცა ხვართქლა,
რომ იღრინება და აჩენს ეშვებს.
ზოგი ლექსებით ამაყობს, დიდობს,
ლექსია ზოგის ცხოვრების კრედო.
ღმერთო, ისეთ ლექსს არ დამაჭიდო,
იმისი ზიდვა რომ ვერ გავბედო!

* * *

გული კვლავ ძგერს ჭაბუკურად,
არ მღალატობს ჯერ მუხლ-თვალი,
კარგ კაცს ვხვდები მუდამ ძმურად,
მძულს ბოროტი და მუხთალი.
ყველგან დავალ ჩემი ქუდით,
ჩემი გზით და ბილიკებით,
ღვთის გზას ვერ ამაცდენს ქურდი
და ვერც ბრიყვთა ქილიკები.
სანამ პირში მიდგას სული

და შევხარი მზეს და მთვარეს,
ვერ დამჯაბნის მე ავსული,
მოშურნეს არ გავახარებ.
დავალ ჩემი გზა და კვალით,
სხვის გზით არ მსურს სიარული,
დღე და ღამე ლექსით მთვარალი,
ხალხს ვგონივარ მხიარული.

* * *

არა ვთხოულობ, რაც არ მერგება,
არცა მჭირდება ლუკმა არამი,
სხვას არ ვჩივი, ჩემმა ნერგებმა
გაიგონ პაპის სულის ვარამი.
უნდა იცოდეს დიდმა-პატარამ,
რომ ლექსი ჩემი სულის ასლია,
ღმერთმა ამქვეყნად ისე მატარა,
სხვის განძზე თვალი რომ არ წამსვლია.
ქართველ პოეტთა წმინდა ხმა-კილოს
მინდა ჩემი ხმაც მივუსადაგო,
განვედ სატანავ, აღარ გამკილო,
ლექსით მსურს სული დავიბადაგო.
ბალღს შემეყარა მუზის სახადი,
დე, ავად ვიყო მხოლოდ ამ სენით,
წერით შვებას თუ ვერა ვნახავდი,
ღმერთო, ეს ჯადო რად არ ამხსენი?!

* * *

ლამაზ ქალისკენ გამირბის თვალი,
თუმც მარილს აბა ვინ გახდის სათხედ,
დავალ ბებერი ბედზე გამწყრალი,
ბოღმას და ვარამს ლექსებში ვანთხევ.
მადლობა უფალს, მუზა არ მტოვებს,
რითმის მარაგიც არ დამელია,
ვერ გავუძლებდი ამ სიმარტოვეს,
ლექსის ხსენი რომ არ დამელია.
არა ვყოფილვარ ფულში ჩაფლული,
უფალის გარდა არვინ მწყალობდა,
მაგრამ ე ჩემი საწყალი გული
სულ სიკეთეზე წერდა, გალობდა.
არ მიცეკვია სხვების დაკრულზე,
სხვის დაქნილ გზაზეც არ გამივლია,
არ გამიცვლია რჯული სხვის რჯულზე,
ეს აზრი გულშიც არ გამივლია.
არამზადებთან არ მაქვს საერთო,
არ მომწონს მათი ქცევა და ნირი,
მოძმისთვის სანთლად რომ არ ავენთო,
მაშინ გამიხმეს ენა და პირი.

დავით დარბაიძე

* * *

მე ვარ ქართველი, სულით, ხორცით და
არავითარი – „მაშასადამე!“
შემსწრე ვარ ოშკის ქვათა ბორძიკთა,
არ დამითმია რწმენის სადავე.
მე იმ გენის ვარ, ვინაც ღრუბლებში,
ჰკვეთა გუმბათი სვეტიცხოველის,
მქონდა უფლისგან სვე და ნუგეში
და ჟინი ბრძოლის მესხის, ფხოველის.
მე ვარ დიდგორი, მე ვარ ასპინძა
და მომხდურს დღესაც ვკაფავ ხერთვისთან,
მე მკვდრეთით აღმდგარს მტერი რას მიზამს?!
ჩემს სისხლს ძარღვებში თერგი ერთვის თან.
მე ფარსმანი ვარ და ვუმზერ კოლხეთს,
ის ვინც წამლეს და რომ ვერ მოწამლეს,
ლოცვა ვარ, დღესაც ჯოჯოხეთს რომ კვეთს
ასი ათასის მტკვართან მოწამის.
მე ვარ ავთანდილ, მე ვარ ტარიელ,
ვირჩენ ბალახით ნაკაწრებს ვეფხვის,
ვატარებ ქარქაშს მუდამ ცარიელს,
მარჯვენით ჭედურს, სადარებს მეხის!
მე ვარ ოპიზა და მე ვარ ხანძთა!
არტანუჯს ვაწვდენ ღაღადს ზარების,
მაჯებით დამაქვს წარსულის განცდა
და გორისციხე სავსე ბზარებით.

მზეს რომ უღიმის, ეს მე ვარ ცოტნე!
და სისხლმდინარიც აქ ვარ ილია!
დადექ მამულო! ითმინე ცოტაც,
ვიდრე ნისლები გადაივლიან...
და ვიდრე ვახტანგს წყვილ ისარს მესვრით,
დაფიქრდეთ იქნებ, რა გსურთ მანამდე,
საზღვრებს რად უმზერთ?!
გადგმულ მაქვს ფესვი,
ნიკოფსიიდან დარუბადამდე!

* * *

ვაგლახ, გექეცით ვაჭრებად,
კერავ, მწირო და ნათმენო,
მიწას რომ ყიდი, რა გრჩება
სამაგიეროდ, ქართველო?!
რაში გაცვალე, ან როდის?
მაჩვენე ერთი, კვნესამე,
დღეს უკვე სხვისას ამოდის
გარეჯს სალბი და კესანე.
შეხედე მამულს, რაღაა,
ცოტაც და ხელით გაწვდები,
სველი აქვს ჯერაც, ჭაღარა
ტაოს, ნაცრემლი ღაწვები.
შთენილხარ სულით ღარიბი,
ერო, თვითნაგვემ-ნათელო,
მუჭი გაშალე, რად გიღირს,
შენივ სამშობლო, ქართველო?!

* * *

სამშობლო ვისთვის სიწმინდე, კდემა,
ვისთვის სახრავი, მაგიერ ვერცხლის,
როცა ტევრებში ქართლის მზე კვდება,
გვიან არს ჟამი მახვილთა ლესვის!
როცა შემთხვევად ვრაცხავთ წიწამურს,
სულსაც კი ვაფხეკთ ფრესკას რუსთველის,
ვკლავთ კაცს გონით და ნიჭით წინ წასულს,
და სიტყვა გვრჩება წრფელი უთქმელი.
თუ მომავლის ქმნის დავკარგეთ ნება,
პირღიმილსა გვგვრის სიტყვა „წარსული“,
სხვისი ზნე და სვე მივიღეთ მცნებად,
მივეცით მძევლად ძე და ასული.
თუ სიმშვიდედ ვთვლით ზარების დუმილს,
როცა ციდანაც გაგვირბის ღმერთი,
ჩვენივე მამულს სამტროდ გარს ვუვლით,
ლაზარესავით, კვლავ აღმდგარს მკვდრეთით!
თუ კი ლოდები, უფლის ხელ ნახლებ,
მხრებზე არ გვადგას რწმენად მარადის,
კელაპტარივით, ლოცვაში თაღებ-
ჩამოღვენთილი ოშკის, ბაგრატის!
ან წუთისოფლის ამყოლებს ლხინის,
ხანდახან ცრემლად მაინც არ დაგვდის
დარდი, ზვირთებად ამოხეთქილი
აქეთ მტკვრისა და იქით არაგვის.
რად გვიკვირს მაშინ, თუ მზე არ ყოფნის
მირონნაპკურებ ვაზზსა და ერდოს,
რომ გვიდგას ჟამი ყოფნა-არყოფნის,
ამ ცა-მიწისთვის შეწირულთ ერთ დროს!

* * *

ძვირფასო ელინელ, გწერ, როგორ ბრძანდებით?
ალბათ კვლავ ფანჯრიდან გაყურებთ შარაგზას,
დრო გადის, ამ წელმაც ჩაიცვა ძაძები,
ნისლებმა ფიქრების საკალიც ჩარაზა.

თქვენ მაინც იფიქრეთ... ვიცი რომ გახსოვართ,
სულ ცოტა შეავლეთ შორ წარსულს თვალები,
მე, ერთ დროს, თქვენს გამო მეწადა გასროლა,
სიცოცხლეს თქვენს ფერხთით თუ დავამთავრებდი.

მსურდა რომ მექროლა, მაგ თმათა კვალდაკვალ,
სულებმა, ამბობენ, აყოლა იციან...
სურნელი მაგ თმათა შორეთში კვლავ დაკრავს
თქვენს ხსოვნას, რომელსაც ვერ ვუხდი ნისიას...

ელინელ, ძვირფასო, გახსოვთ, რომ გითხარით?
მაბნევდით ფიქრებში თქვენი მოძალებით!
ვერ გრძნობდით, მე თქვენით თან ვიყავ მდიდარი
და თანაც მდევარი თქვენი მოწყალების.

მაგრამ რა...?! გზები ხან საოცრად ცდებიან
ერთმანეთს, თქვენც დარჩით ამ წლების გადაღმა,
ალბათ ღლის წვიმები ზღვისპირეთს სევდიანს,
თუ მთვარე ბებერიც წვიმებში განახლდა...

ან იქნებ ღამეში კვლავ შერჩით შუქურას,
ამბობდით – მაგონებს კაცს მარტო დარჩენილს,
დავყურებ ჭრელ კენჭებს – თქვენს ბოლო საჩუქარს,
ვერაფერს ვუხერხებ დარდს ყელში გაჩხერილს,

დაგღალეთ, შემინდეთ, წამოცდა დღეს რაც ხელს,
მზეც წითლად ანთია და ჩადის ნელი-ნელ,
გიგზავნით ამ ბარათს, თუნდ გიჟად შემრაცხეთ,
ელინელ ძვირფასო, ძვირფასო ელინელ...

* * *

თვალები მიგიგავს მთვლემარე გარიჟრაჟს,
ტუჩები ზაფხულის სახლეჩი ატამი,
მე ვიცი, იტყვიან ჩემზე, რომ გაგიჟდა!
მაგ შენი ნდომის და სურვილის ატანით...
იტყვიან დაბრმავდა და გაჰყვა ქარიშხლებს,
ქალსა და ქარაშოტს ბოლომდე ვინ სდია?!
მე ერთხელ სიცოცხლის დათმობა განიშნე,
და ახლაც თითები სასხლეტზე იცდიან.
მე მსურდა მყოლოდი მნათობად მარადის,
ახლა კი ზემოდან შეშლილი ცა მიმზერს,
რას უცდი, მარტო ვართ და ბნელა მანამდის,
ჰო, ეს ის გულია – „მართალთა“ სამიზნე!

მიდი და საფეთქელს ვაკმარებ ერთ ტყვიას,
ჩავყვები სევდის ზღვის იდუმალ ფსკერს ნებით,
მერე კი ჩემს სათქმელს უთუოდ გეტყვიან,
ტალღებზე მცურავი ბოთლებში ლექსები...

* * *

კაბას აუკრავს ქარი,
გული რას აღარ ითმენს...
ლაღად მოარწევს ქალი
ვნებაამღვრეულ ზვირთებს.
თვალს რას დაიჭერ?! გარბის...
გარბის კი არა, მიჰქრის..!
ქალი – ქმნილება კალმის.
ქალი ნატვრა და ფიქრი.
მოდის, მოჰყვება მზე და
მიწა სირცხვილით იწვის,
ქალი ღიმილსაც ბედავს,
მე ბოდვა მესმის მიწის...
ირგვლივ ჩერდება დრო და
მკერდქვეშ შეშდება გული,
ტვინს ეძალება თრობად,
ეს გადარევა სრული.
თეძოს მოხრის და მიხრის,
წავა გაიკრეფს ისრებს,
მერე გათბება სისხლი,
მერე ვცოცხლდები ისევ.

* * *

ცოტაც და მდუმარე შაბათი გათავდა,
ზეცამაც შეიშრო ღაწვებზე წვიმები,
დაუთმე ვარამი შენს მიმართ მავანთა
და ჩვენში დაბადე, სულგრძელო, იმედი.

მოხვედი უფალი და კაცთა თანაბრად,
ბაგაში დატიე კაშკაშა თაბორი,
გაგცვალეთ, სიმართლეს გარჩიეთ ბარაბა
და მაინც შეგვინდე ნაყიდი ამბორი.

ახლა კი სანთელი თვალებში ცრემლს გვიკრთობს,
დაგვყურებ ფრესკიდან ზეარსი მთავარი,
ჯვარცმულო, შენს უკან ბნელია მზეც თითქოს,
აგვინთე გულებში სიკეთის ლამპარი!

მოგვმადლე რწმენა და გვიცოცხლე იმედი,
„ღირს გვყვენ შენს წინაშე სიმდაბლით წარდგომად“,
ადგია სამყაროს გვირგვინი დიდების,
დიად გამარჯვებად – ბრწინვალე აღდგომა!

* * *

დროებითია აქ ეს სიჩუმე,
აქ გარინდულნი ნიშანს ელიან,
აქ მიწა ლესავს სხივებს, ვით შუბებს,
და მოდის დავით, როგორც ელია!
ზეციდან, თითქოს, კვლავაც ისრავენ
მტერს, შიდა ქართლის გულთან მიდგომილს,
მაცნევ, არ შედრკე, მისვლად ისწრაფე,
დაატყდეს მომხდურთ უნდა დიდგორი!
მედგარნი ჟამსაც არ ნებდებიან,
ჩასაფრებულან საფლავშიც თითქოს,
შიშზე და დროზე გამეფდებიან
და შეღებავენ ალისფრად დიდგორს.
რომელი გორა?! თქვენ როგორც ორბნი,
კვეთდით დემონებს თურმე ზეცაში,
შეზავებული სისხლი და ოფლი
მიგქონდათ წმინდანთ ცაში ზედაშედ
და ამჩნევია კვლავ ქრისტეს ჯვრებად
ამოხეთქილი მიწიდან ხმლები
დიდგორს, ჩარჩენილს სიზმრებში ჯერაც,
თავგანწირულთა მჭექარე ხმებით.
ეს დროებითი არის სიჩუმე,
აქ შეფიცულნი ნიშანს ელიან,
აქ მიწა ლესავს სხივებს, ვით შუბებს,
და მოდის დავით, როგორც ელია.

* * *

როცა სიყვითლე მიწვდება ზეგანს,
გორიჯვრის თავზე იელვებს ვერცხლი,
აგიზგიზდება მტევნებში მზე და
აქ, ჯარგვალივით, გულს შუაცეცხლი.

როცა დაიწყებს ტკაცუნს ურთხმელი,
ნისლებში ცვარი გაიბრიალებს,
დავეწაფები სულმოუთქმელად
შენი ბაგიდან სავსე ფიალებს.

მოვწურავ ჟინით ქარვისფერ თავთავს,
ჩადგება სულში რთველის სურნელი
და ზეციური ბადაგით დამთვრალს,
მიწოდონ მერე შელეგი, სულელი.

მერე მოგიძღვნი ნელ და დაზაფრულ
ჰანგებს, ნოემბრის ფრთათურ ფოთლების,
დაველოდები კვლავ შენს გაზაფხულს,
მოუთმენლობის ასე მოთმენით.

* * *

გული ვერ ნახავს სევდას ამის ტოლს,
შეიღებება გორი ათასფრად,
თითქოს კვამლებში იწვის აგვისტო,
და სისხლმდინარი ორიათასრვა

ცოცხლდება ისე, როგორც ცოცხლდება
ცუდ ამინდებში ძველი იარა,
რომ სამაჩაბლო რჩება ოცნებად,
თუმც წლებმა ცეცხლი გამოიარა.

რჩება შინდისი გავარდნილ მეხად
და საფლავებში ბორგავს გულები,
— გმირი ვიქნები, მამულო, მე ხვალ,
ბრძოლიდან ჩემი არდაბრუნებით!

იმღვევა სისხლი მიწაში, ცაში
და ქართლი გრგვინავს, როგორც ღუმელი,
თქვენ არ გხიბლავდათ გრიალი ტაშის,
გეცვათ მუნდირი გაუხუნელი.

გემოსად რწმენა და როგორც ლომებს,
არ გადაგიდგამთ უკან ნაბიჯი,
გენით და სისხლით ჩვეულნი ომებს,
დაგქონდათ სევდა ამ ცის, ამ მიწის.

ზრიალებს გორი, ზრიალებს ახლაც,
დაჩეხილ ზეცას ვკემსავთ ხელებით,
მავრთულხლართები იკორთის აღმართს,
შემოსევიან როგორც გველები.

ჯერ დრო ჩაცხრობის საბაბს არ გვიტოვს,
და ვიდრე ვუმზერთ შორით ნასახლარს,
კვლავ ბრძოლის ცეცხლში იწვის აგვისტო
და სისხლიანი ორიათასრვა.

ნატო ყატაშვილი-აფაქიძე

* * *

თვითმკვლელობა არ ეპატიება,
ვინ მიიყვანა აქამდე? ფიქრობ,
იქნებ შენ, მე, ან უგულობამ,
ან გულცივობამ, როცა მან გვიხმო...
ჩვენ კი გავრბოდით სხვა მხარეს, ის კი...
ცრემლით ეძებდა ბუნკერში ლუკმას.
თუ თვალს მოვკრავდით, შევიბრალებდით,
თავს გავაქნევდით და მერე უკან
მოუხედავად გავრბოდით ისევ
სხვა მხარეს... დრო არ გვრჩებოდა სხვისთვის...
ჩვენი სულისთვის გვეფიქრა, თუნდაც,
ან სულაც... მისი გადარჩენისთვის!

გავწირეთ ყველა! მოძმეც, მოყვარეც
და სხვა კი არა, ჩვენივე თავიც...
გავწირეთ! მერე, ო, საოცრებავ,
მოკვდა და მერე, ო, საოცრებავ,
მოკვდა და მერე ვიგრძენით ვალი
მოყვასის... თუმცა ეს წუთით... მერე
ისევ გავრბივართ სხვა მხარეს! ვჩქარობთ!
ის კი ეწამა მშიერი აქ და
იქ სუიციდის ცოდვებით წვალობს.

* * *

თითქოს წარსული დაგრჩა ბაქანზე...
ფანჯრიდან შემხვედრ ვაგონებს ითვლი,
შენ ყოყმანობდი გზაგასაყართან...
დღეიდან სულ სხვა სვლა-გეზით ივლი.
ღია ფანჯრიდან მოჰქონდა ნიავს
იასამნების სუნი და რელსებს
შორს, შორს მიჰყავდა მატარებელი...
იქ კი ტოვებდი უშობელ ლექსებს,
რომლებსაც ვეღარ დაწერდი მისთვის...
თუმცა ღირდა კი, რომ გყავდა მუზა,
წყებად მოგდევდა იასამნები
და იწყებოდა დიდი პაუზა
შენი ლექსების... უკან რჩებოდა
სიცარიელე ღია ბაქანთან
და აღარავინ იდგა თავდახრით
შენს მოლოდინში გზაგასაყართან.

* * *

თებრონესავით შევიდგამ კოკას,
დარდასაყრელად წყაროზე ჩავალ.
შემოვიბურავ მანდილს და მორცხვად
ჩამოვისწორებ ფოჩებს და დალალს.
ამოვუყვები შიშველი ფეხით

ბილიკს და მზერას წამოვკრეფ მრავალს,
იმ „ჭორიკან ჭადარს“ ჩავუვლი,
სოფლის შავ-თეთრს და ავ-კარგს რომ მალავს.
მერე შემოვდგამ ჯორკოზე კოკას,
გადავევლები უბელო ლურჯას,
დარდასაყრელად ვაგელვებ დიდხანს
და შეღამებას დავუცდი ურჩად,
რომ შენ თუ არა, ის მაინც მოვა,
მთვარე ცაზე და შევბედავ მზერას.
მერე საჩეჩელს დავართავ, ნდომას
ლექსებად მოვქსოვ, ვისწავლი თმენას.
ალიონს გარეთ ქარაფზე ვნახავ,
დილით სისხამზე დავკრეფ იელებს,
მერე წლები და თვეები გავა...
რომ შემაგუონ სიცარიელეს.

* * *

საგულდაგულოდ გიმალავ მზერას,
მოპარულ ხილს ხომ ტკბილი აქვს გემო,
მხოლოდ ოცნებაც თუ ცოდვა არის,
მიყვარს და ვცოდავ, უფალო ჩემო.

* * *

უკვე ეს ტკივილიც ჩავლილია,
როცა ამნაირად იღიმები.
თვითონ ვუსახსოვრე საკუთარ თავს
შენი საყვარელი გვირილები.
ისე შეეგუე ქარიშხალებს,
ხმაც არ შეგრჩენია საღრიალოდ...
რით ვერ გაიგე, რომ ბედის ჩარხი
ასე მარტომ უნდა ატრიალო...

* * *

ლამაზი დღეები... წამები... წავედი...
არ გიხსნი რატომ და არც შენ არ იკითხე.
მიყვარდი, მხიბლავდი, მოგენდე, გავები,
შენ კი გათამამდი დღითიდღე.
ვცდები თუ, არ ვიცი, მე მგონი ასეა,
თუ სიყვარულია, ყველაფერს დათმობო,
ჩემი სიამაყე გრძნობაზეც მეტია,
ამიტომ მე უნდა დაგტოვი...

ჩივილი

ამ სოფლის ავ-კარგი ვიგემე,
ბევრჯერ გამითენდა შავი დღე,
ღმერთო, შენი მცნება ვიჯერე,
მაინც ვერაფერი გავიგე,
რად წვალობს სიკეთის მთესველი?
ლაღობს ბოროტი და მასხარა.
ვიმდურვი? არა, უფალო,
ისე მოვიჩივლე, არც არა.
მოველ და არავინ იხარა,
მივდივარ, ვერავინ მაჩერებს...
უფალო, შენთან ხომ წამიყვან,
ცოდვებზე, გთხოვ, ნუ შემაჩვენებ.
ცდუნებით რანდენჯერ შეგცოდე,
ბევრჯერ გაგიბედე ჩივილიც.
შემინდე, სუსტი ვარ, უბრალო,
დიდია ამ სოფლის ტკივილი.
წუთის სოფლის ვერა გავიგე,
გზა მრუდი და ხანაც სწორია.
უფალო, შენამდე სავალი
შორია, შორია, შორია...

დაბრუნება

(სიყრმის მეგობარს)

მაშინაც აპრილის ასეთი დღე იყო
და იასამნები ლურჯ-თეთრად გვათოვდა.
ქუჩას მივყვებოდით რატომღაც მდუმარედ,
შენ ხურდა მიეცი თავდახრილ მათხოვარს.
დღე იყო ერთი და დღე იყო რამხელა...
თითქოს დღემ სულ მთელი ცხოვრება ჩატია.
ზოგისთვის უბრალოდ მთვარე მზეს მიჰყვება,
ზოგისთვის ცხოვრება მუდმივად მარტია
და ისე უბრალოდ, ლამაზად, უჩუმრად
დასრულდა, თუმცაღა არც არა დაიწყო.
მე წავიბორძიკე, შენ ხელი ჩამკიდე.
ისე, სხვათაშორის ავთრთოლდი, რა იყო...
და დღესაც აპრილი გვდარაჯობს ცუღლუტად,
ცნობისმოყვარეა, დაგეშა ნიავიც,
ნუთუ არ წაშალა წლებმა ის წუთები
და ლაბირინთებში ნიღბით ხეტიალი...
მოგბეზრდათ... აღმართზე შეჰყევით ქვაფენილს,
შენ ისევ ოცის ხარ, ის ცოტა დიდია,
მან ხელი ჩაგკიდა, შენ ისევ ათრთოლდი,
დასრულდა აღმართი, აქ ძველი ხიდია
ბავშვობის... და ახლა უნიღბოდ მიდიხართ
დაღლილი, თუმცაღა უზომოდ მშვიდები,
თუ მთელი ცხოვრება ის ერთი დღე იყო,
დაისზე ხომ შეხვდით პატარა დიდები.

სოფიიო მექვაბიშვილი.

პოეტს

დამიწერე, ერთი ლექსი დამიწერე,
ისეთი, რომ გულმა იგრძნოს აღმაფრენა
და იმ ლექსში სიყვარული დამიწესე,
დამანახვე წეროების გადაფრენა.

დამიწერე ლექსი, სულს რომ შემიტოკებს,
ისეთი, რომ შეაძრწუნოს ცა და მიწა,
დამიხატოს, ქარი რტოებს ვით ატოკებს,
ჩამაგონოს ქრისტეს ჯვარი ვით დავიცვა.

თუ ის ლექსი ჩემ გულის კარს შემოაღებს,
თუ გაარღვევს ძმათა შორის ჩადგმულ ტიხარს,
თუ ოცნებით თავს დამადგას სავსე მთვარეს,
მხოლოდ მაშინ ვირწმუნებ, რომ პოეტი ხარ.

თუ გიფიქრია

თუ გიფიქრია, რად მოხველ, ვინ ხარ,
ანდა როგორი გზებით იარე,
ვის ახარებდა აქ შენი წინსვლა,
ვის დაუტოვებ გულში იარებს...

საშინელია, თუ ზეცამ გიხმო
და მიგაცილებს ცრემლების წარღვნა,
უფრო ძნელია ვერავინ იგრძნოს
აქ შენი ყოფნა, იქ შენი წასვლა.

* * *

ღამეს ჩაუცვამს შავი ძაძები,
ძილს მისცემიან ალგეთს ლეკვები,
წვიმით დაშოლტილ სიავდარეში
ფიქრებს მათრახით მივერეკები.

იმედის სხივი მინაპირებს და
მღერის ვიღაცა სევდიან ხმაზე,
იყავ ღვთაება, როცა პირველად
აფრენილ შუქში გედის ფრთად გნახე.

იშლები ვარდის ნაზი სურნელით,
დათაფლულ ბადაგს უწვდი ამ ხელებს,
გიახლოვდები შმაგი სურვილით,
შენი სხეულის სითბო მახელებს.

ბარბაცებს მიწა, ტორტმანობს ზეცა,
ვნების ტალღებმა სული დატბორეს,
დახუჭეს თვალი, ვარსკვლავებს შერცხვათ,
როცა შენ სხეულს დავეპატრონე.

სამშობლოს

ფერად-ფერადი ყვავილებით დაგიწნავ გვირგვინს
და ნეტარებით გამოგიღებ სულის კარიბჭეს,
ჩემს წმინდა ლტოლვას ვერაფერი ვერ შეცვლის, ვიცი,
ოღონდ კი სულში ბილწი ფეხით ნუ დამაბიჯებთ.

მე მჯერა შენი, ერთგულების ფიალას დაცლის
და სუფრის თავში ჩამოისხამ ციურ ვარსკვლავებს,
ყველა წარწყმედილს სიყვარულის შარბათი ასვი,
შენთვის ნათქვამი სადღეგრძელო გამათამამებს.

ძმად შეფიცულმა დღეს ღალატი რისთვის გიბოძა,
რისთვის მოასკდა ცრემლის ტალღა მტკვარის ნაპირებს,
შენს სანახებში თავს იწონებს ცელქი მიმოზა,
ყაყაჩოებმა სისხლის ფერი გაინაწილეს.

ცა მოქუფრულა, გაწყვეტილა იმედის ძაფი,
სამაჩაბლოში საომარი ყიჟინა ისმის,
თავაწყვეტილი მიგვაქროლებს უბელო რაში,
ცის კაბადონზე გადიხაზა ნახტომი ირმის.

ფერად-ფერადი ყვავილებით დაგიწნავ გვირგვინს,
ცრემლის ზღვას დფცლი, დარდს გავდევნი, კარგო ადრიან,
ერთი სიცოცხლე გამაჩნია, ათასად მიღირს
და ჩემი ქვეყნის სამსახვერპლოზე მომიტანია.

როცა

როცა იხსნება ზეცის კარები,
როცა ბერმუხას ქარი აწვალებს,
როცა პატარძლის მსგავს მოკრძალებით
გადაღლილი დღე დახრის წამწამებს ...
შეიპარება ცის სამეფოში
მთვარე და უხმობს ირგვლივ ვარსკვლავებს,
როცა ვერსად ვერ დაგემალები
და შენზე ფიქრი ღამეც მაწვალებს,
როცა ირემი მთაში მყვირალი
ქორბუდა რქებით ბნელ გზას გაიკვლევს,
როცა ბალიშზე მივესვენები,

როცა კელაპტრად შენ ფიქრს დავინთებ,
მერე სახლიდან გავიპარები
ზღაპარს ვუამბობ წყაროს შლეგიანს,
ბარათს გავატან ნიავს და ვეტყვი,
რომ ჩააბაროს ვინმე შენიანს.
მაინც არ მოხვალ, მაინც ვერ გნახავ
და როცა ვნება შენთვის ამტყდარი
დაიწურება, ვით საწნახელთან
ვაზის მტევნები მწკრივში ჩამდგარი...
მოვა ვიღაცა და შეივრდომებს
ჩემს ფიქრს აკინძულს ოქროს მძივებად,
უპატრონებს და არ დაგანებებს,
მერე ... შენ აღარ დაგეძინება.

ვეფერები

მე იმ მიწას ვეფერები
ვისი ძუძუც მიწოვია,
მწვერვალები გაშლილ მხრებით
ერთმანეთს რომ მისწოლიან.

ვით ქალწულის ქერა თმები
დაკიდულან ჩანჩქერები,
ბუხრის პირას ნათევები
თვლემენ ზღაპრის ნარჩენები.

ვეფერები მე იმ ზეცას,
რომ მიგზავნის ნამით საზრდოს,
ამ მიწაზე ყველა ერთად
გმირად უნდა გაიზარდოს.

ვეფერები მთაში ირმებს,
ზღვაში თევზებს ლაყუჩიანს,
მტერზე მისულ ქართველ გმირებს
თოფს რომ დასცემს მაყუჩიანს,

ვეღარ ვიტევ გულში მთავარს,
რომ გავყურებ ქართლის სერებს,
აკვნის ძირში დაღვრილ ნანას,
გზაფხულზე ვაზის ცრემლებს.

თვით „ხორუმით“ ამტყდარ გრიგალს
და „ჩაკრულოს“ კახურ ექოს,
რაც რომ გულში ჩუმად მითქვამს
ახლა უნდა დაიჭექოს.

გულის ტკივილს შემიხორცებს
მთვარე, ცაზე რომ ბანცალებს,
ღვთის ნაჩუქარ ჩემს სიცოცხლეს
ჩემს ქართველებს ვანაცვალებ.

* * *

ბევრი გავლიე წელიწადები,
დამრჩა ცოტაღა,
ხან ჩამოვრჩი და ხან წინ წავედი,
ეს გზაც მოთავდა.
მყავს მეგობარიც და ორპირიც
ვნახე რამდენი,
ზოგჯერ წასულ წლებს კვლავ მივტირი,
დარდს ვერ განდევნი.
ცრემლიც მინახავს, სიხარულის
დღენიც მქონია,
ბევრჯერ შემიპყრო უიმედო
მელანქოლიამ.
ოქროც მქონია და ვყოფილვარ
მეტად ღატაკიც,
რა აღარ ვნახე, ვერ ვისწავლე
მაინც ღალატი.

გიგი ხორნაული

ილო ფხოველი – „ვინ გულს უკლავდა ანასა“

გიგი ხორნაულის მოგონებათა წიგნმა „ჩემი საწუთრო – სამზეო“ (I ტომი) მწერალთა სახლისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივ ლიტერატურულ კონკურსზე „ლიტერა“ 2017 წელს პირველი პრემია დაიმსახურა.

ამჟამად მომთავრებულია და გამოსაცემად გამზადებული II ტომი. ამ ტომიდან მკითხველს გთავაზობთ ერთ თავს.

ანა კალანდაძეს, ჩვენს სასიქადულო პოეტს, თავისი ლექსების „ფშაურ ციკლში“ გამჟღავნებული აქვს თავისი უიმედო სიყვარული, რომელიც ზაფხულობით შუაფხოში ყოფნის დროს ეწვია, სიყვარული ვერ დამალა, თორემ „მისი სახელი“ არ გაუმხელია. მკრეხელობად არ ჩამეთვლება ალბათ, როცა აღარც ერთია ცოცხალი და აღარც მეორე. მე უნდა გავამჟღავნო დაფარული, რადგან უამისოდ არ იქნება, როცა მოგონება უნდა დავწერო, ჩემთვის

ძვირფას მოსაგონარ ადამიანზე – ილო ფხოველზე.

ეს იყო, სოფელ შუაფხოს უფრო სწორად, კი შუაფხოს თემში შემავალი სოფლის, თხილიანას მკვიდრი. ილო ფხოველი საოცარი სილამაზის კაცი, გამორჩეული იმათ შორის, ვინც კი ოდესმე შემხვედრია, მთასა თუ ბარში, იყო ახოვანი, წარმოსადეგი ცისფერთვალება და თეთრფეროვანი სახის კაცი.

შუაფხო ქისტაურთა თემის სამკვიდროა. ისინი გადმოსულნი ყოფილან ხევსურეთის სოფელ ღულიდან. ფშავის თორმეტი თემიდან ერთ-ერთი. ეს თემი ცნობილი იყო სილამაზით (სხვა თემები, სხვა ნიშნით იყვნენ ცნობილნი). გოგოლაურები პოეტური ნიჭით, ჭიჩოველები სიბრიყვით და ასე შემდეგ. ამ თემისები იყვნენ ილოს მამიდაშვილი, გოგი თურმანაული, ასევე წარმოსადეგი ლამაზი კაცია. ჭკუ-გონებით სავსე. 35 წელი მაღაროსკარის სკოლის დირექტორი, მაღაროსკარის თემის თავკაცი. გიორგი ლეონიძე მას ფშავის ხევისბერს ეძახდა. მესამე ასეთივე ლამაზი ვაჟკაცი იყო შუაფხოელი ხევისბერი ბიჭურ ბადრიშვილი.

ილო ფხოველი სოფელ თხილიანაში დაიბადა 1926 წლის ნოემბერში. ეს სოფელი შუაფხოდან 2 კმ-ით ქვემოთ არის დაშორებული ორწყლიდან, მესამე კილომეტრზეა შევლის ხელმარჯვნივ, ფერდობზე სამი მხრივ წიფლნარით შემოზღუდული. თითონ სოფელი სულ რამოდენიმე სახლი, ვაშლის და კაკლის ხეებშია ჩაფლული. ჩრდილის მხარეა და ამიტომ სიმწვანეა მოძალებული. ასეთი სოფლებიცა და მთებიც შორიდან ლურჯად გამოიყურებიან, იისფრად.

ილო და სხვა ბავშვები პირველი კლასიდანვე შუაფხოში დაიარებოდნენ სკოლაში აქ მასწავლებლობდნენ ალექსი ოჩიაური და მისი მეუღლე ნათელა ბალიაური. ოთხწლედი მათ შვიდწლედად გადააკეთეს და განთქმული იყვნენ, როგორც პედაგოგები. ისინი თავის ოთხ შვილთან ერთად სწავლისადმი სიყვარულითა და მაღალი ზნეობით, ზრდიდნენ უკანა ფშავის ახალგაზრდობას, ილოზე განსაკუთრებით დიდ მზრუნველობას იჩენდნენ. რაკი ის მათი შვილის გოგის განუყრელი მეგობარი გახდა. მათი დამეგობრება კი შედეგი იყო ორივესგან წიგნისა და ცოდნის სიყვარულთან ერთად, სიგიჟემდე სიყვარული ნადირობისა და თევზაობისა. მათ ცალ-ცალკე უამბნიათ ჩემთვის ილოსაც და გოგისაც. ღამითაც კი ვერ ვშორდებოდით ერთმანეთს და ერთ ლოგინში გვეძინა ან შუაფხოში ან თხილიანშიო. შვიდი კლასის შემდეგ სწავლა ბარისახოს სკოლა-ინტერნატში გაუგრძელებიათ, რომლის დამთავრების შემდეგ ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა ილო საბჭოს თავმჯდომარედ მოუთხოვია ხალხს, უკანაფშავის საბჭოს თავმჯდომარედ, ამიტომ დაუსწრებლად გაუგრძელებია სწავლა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. ეს იქნებოდა 1943 წელს, გახურებული ომის დროს გერმანიასთან. ამ დროს უკანაფშავში არ დაუტოვებიათ არცერთი ახალგაზრდა. პირწმინდად ყველა ომში გაუწვევიათ და იქიდან აღარც არავინ დაბრუნებულა. ქვეყანას კი ახალგაზრდა უნარიანი მომვლელები სჭირდებოდა, ხალხის იმედი, ხალხზე მზრუნველი. ზუსტად იმ ზაფხულს, როცა ილოს უკანაფშავის თავკაცობა ჩააბარეს შუაფხოში, იახსრობაზე ასულა მუსიკალური ფოლკლორის ცნობილი შემკრები და შემსწავლელი გრიგოლ ჩხიკვაძე (ჩვენი დიდი მსახიობის რამაზ ჩხიკვაძის მამა) ის მოხიბლულა ილოს გარეგნობით, ქცევით, სიტყვა-პასუხით,

ანა აკალანდაძე და ილო ფხოველი

განათლებით და შეუთავაზებია წამომყევი თბილისში თეატრალურ ინსტიტუტში ჩაგრიცხავ, კინოში გადაგიღებენ და დიდი კინომსახიობი გახდებიო. ილოს მოკრძალებით უპასუხია:

– ბატონო გრიგოლ, ჩემგან დიდი მსახიობი არ დადგება. პატარა კი აქაცა ვარო.

იქვე ბატონი გრიგოლი მოხიბლულა მეორე ასეთივე წარმოსადეგი ახალგაზრდა ხევისბრით. როცა ბეღლის კარზე ფერხისა დაიძახეს, თურმე ბიჭურს ისეთი ხმა ამოუშვია, ისეთი ლამაზი და ძლიერი, რომლის მსგავსიც როგორც ბატონ გრიგოლს უთქვამს, მანამდე არ მოუსმენია. ყოველგვარი დაძაბულობისა და ჭიფხვის გარეშე. ისე თავისუფლად და ლაღად იღებდა მაღალ ნოტებს. ეს ველურად ნაწრთობი კრიალა ხმა, რომელიც ზარივით რეკდა, თითქოს ოქროსფრად ავარაყებდა ბებერი ფშავლების ხარისებურ ბუნს. ახლა იმისთვის უთხოვია ბატონ გრიგოლს თბილისში წაყოლა და ხმის ჩაწერა და დიდი მომღერალი გახდებიო. იმასაც უარი უთქვამს მოკრძალებით:

– მე ჩემი ხატ-სალოცავისა და ხალხის სამსახური დამაკისრა ღმერთმაო. იმჟამად ქისტაურთ თემში ეს სამი ადამიანი ყოფილა მთელი ფშავის თვალი: ილო ფხოველი, ბიჭურ ბაგრიშვილი და გოგი თურმანაული. რომლის მსგავსნიც იმის მერე არც თავად ქისტაურთ თემში და არც მთელ ფშავში დღემდე არ გამოჩენილა.

ასეთი კუდის გამოქნევა ჯიშ-ჯილაგისა ცნობილია ქართველი ხალხის, ამა თუ იმ თემსა და გვარში. რაზიკაშვილების გვარმა ეს კუდი მაგალითად ვაჟა-ფშაველას სახით გამოიქნია.

გამომცემლობა „ნაკადულში“ რედაქტორად ჩემი მუშაობის დროს, გამომცემლობის მაშინდელი დირექტორი, ცნობილი მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე, თათბირებზე ხშირად შესძახებდა ხოლმე: ჩიბურდანიძე არ გეგონოთ, ლორთქიფანიძე ვარო. ჩემ მეგობარს ცნობილ მთარგმნელს აკაკი ბრეგაძეს ვკითხე, ვინ არიან-მეთქი ქუთაისში ეს ჩიბურდანიძეებიო:

– ერთი აბუჩი საწყალობელი გვარიაო. მერე ხომ ნახა მარტო მთელმა საქართველომ კი არა, მთელმა მსოფლიომ, როგორ გამოაბრწყინა ეს გვარი მაია ჩიბურდანიძემ.

ბარისახოში ვსწავლობდი მაშინ, მგონი მე-9 კლასში ვიყავი, ჩემმა მამიდაშვილმა ვანო ჩორხაულმა და მისმა მეზობელმა ბიჭებმა მადურათ ნოშრევანმა და ხოხორათ

ერეკლემ წამიყვანეს თავის სოფელ უძილაურთაში, ხშირად დავიარებოდი იქ მამიდასთან და კაკბებზე ვნადირობდით. დიდი აღმართია ასავლელი უძილაურთისკენ, სოფლის საზამთრო საბოსლო მუხრიანში რომ ავედით, გავიხედოთ და ილო ფხოველი გამოჩნდა, ზურგზე თოფგადაკიდებული შუაფხოს მხრიდან. გვითხრა ტყე დავზვერე რკო ჩამოდის და დათვები თუ არიანო. სულ გაგლილია დათვებისაგანო, ამ მუხიანში სჭამენ და დასაწოლად გაღმა დადენილან ჩრდილშიო. სიცხეში ამ მუხიანში არ დაწვებიანო, რკოს რო სჭამენ, ახურებსო, მოსუქებულები იქნებიანო. კარგია რომ შეგხვდით, მეც უძილაურთაში მაქ საქმე და მხიარულად ავივლითო. მუხიან ტყეს რომ ავცდით, ილო შემობრუნდა და გაღმისკენ გაგვახედა, დაგვანახა ერთი კლდიან ბუწკნარიანი ადგილი, დათვები აი, იქა წვებიანო. გაგვახედა და დავინახეთ რომ ერთი დიდი შავი დათვი ნელ-ნელა ადიოდა. იმ კლდიანზე ყველამ ერთხმად შევძახეთ: – დათვი. ილომ: – აგე! – სწრაფად ჩამოჯდა ბილიკზე ფეხები გადაუშვა და ფეხთშუაში ღონივრად ჩაასო ზროიანი მონადირული ჯოხი სწრაფადვე შეუდგა სამიზნის დაყენებას, თან ხმამაღლა ფიქრობდა: ხუთასი მეტრი? ექვსასი?

– შვიდასი – ჩავძახე მე. რადგან ამასობაში უკვე მოვასწარი მანძილის ჩემებურად გაზომვა.

– შვიდასი? – კირაით მართალი იქნები ბალღო, შენზე ამბობენ ალღოიანი ბალღიაო. იყოს შვიდასი! – ილომ შვიდასიან დანაყოფზე დააყენა სამიზნე და მონადირული ჯოხის კაპზე გაუდო, მარჯვენა ხელის იდაყვი მუხლზე დაიბჯინა და თოფს მყარი საყრდენი მისცა. დათვი ამასობაში ადგილზე იყო გაჩერებული თავქვე, ჩამოხედავდა, ეტყობა რაღაცის ფაჩი-ფუჩმა დააფრთხო და ცდილობდა იმის გარკვევას რა იყო. დაფრთხობა თუ არა, ამ დროს რკოთი გამძღარ დათვს დენგრიდან არაფერი ააყენებდა, ჩვენ გასუსულები გავცქეროდით დათვს და მე პირადად არ მეჯერებოდა, რომ ამ სიშორეზე მორტყმა შეიძლებოდა, მაგრამ ამ წამებში გამახსენდა ერთი ხევსურული თქმულება: ვიღაც ხევსურმა როგორ გამოსცადა შაშხანა, იმ დროისათვის მთელ ხევსურეთში უცხო თოფი. ხევსურს მეორე მთაზე დაუნახია კაცი, უსროლია და კაცი დაგორებულა, მოუკლია. როცა მოსამართლემ ჰკითხა თურმე: რატომ მოჰკალი კაცი? „თოფი გამოვცადე, არ მეგონა თუ იქ მოხვდებოდაო“.

იჭექა ილოს თოფმა. წამი და დათვი დაგორდა. ბალღებმა ყიჟინა ავტეხეთ: სად მოარტყა ბიჭო! სად დაჰკრა! ილომ თოფს აკოცა და ჩვენ გასაგონად თქვა: – რა მართალი გამომადგა ეს დალოცვილი! სადაც თვალი რამეს გავაბი, ტყვია ზედ არი. თანაც მეორე აღარა სჭირდება. მერე მე შემომხედა და – აბა ერთი მითხარ რანაირად შენებურად გაზომე მანძილი? – როგორა და აი ასე, – მარჯვენა მკლავი წინ გავჭიმე ცერი ავწიე – სამიზნეს ცერა თითზე დავსვამ და ორივე თვალს რიგრიგობით მოვჭუტავ. რა მანძილზეც გადაადგილდება სამიზნე, იმას ათზე ვამრავლებ.

– ვინ გასწავლა ეგ, საიდან იცი?

– ჩვენმა მათემატიკის მასწავლებელმა მასწავლა ალექსი ნამორაძემ, გვითხრა, ომში არტილერისტებთან მანძილის გამოსათვლელად ვიყავიო. ხილულ სამიზნეს კი აი ესეთი ხერხითაც ვზომავდითო და ზუსტი გამოდიოდაო.

– ყოჩაღ, გიგი, შენ მომაკვლევინე ეგ დათვი, წილი გეკუთვნის კი არა ყველას გეკუთვნით წილი, თქვენ ეხლა თანამონადირეები ხართ ჩემი, მაგ დათვის ხორცს გავანაწილებდით, ეხლა ხუთად მაგრამ შინ არავინ შეგატანინებთ, – იმათ მიმართა, – თქვენი მამა-პაპები ყველანი დასტურ ხევისბერები არიან, ამიტომ ასე ვიზამ: – მე დავბრუნდები ეხლა მაგ დათვს ჩამოვაგორებ ხალაში გამოვწალავ, ამაღამ იქვე დავტოვებ, ღილაზე ჩვენი ხალხი რომ დადის დუშეთში ბაზარში იმათ გავატან, ბაზრის გამგე გიორგი ციგროშვილია. ის გაჰყიდის თავის ტყავხორციანად და ფულს ხუთად გავყოფ, ბარისახოში გამოგიგზავნით.

ილო რომ ძალიან კარგი კაცი იყო, კი ვიცოდით, მაგრამ მისი ნათქვამი მაინც მთლად არ დაგვეჯერა. მეორე შაბათ-კვირას ჩემი შუაფხოელი ნათლიის შვილმა ალექსი (წუპრაკა) ელიზბარაშვილმა, მოგვიტანა ოცდახუთ-ოცდახუთი მანეთი ბაზრის ხარჯის გარეშე, ასოცდაათი მანეთი დამდგარიყო, ტოლად გაენაწილებინა ილოს ხუთად და ზედმეტი ხუთი მანეთი ფეხის ქირად მიეცა ალექსისთვის სიხარულისაგან გადავირიეთ. მეცხრე კლასელი ვიყავი და ჯიბეში მანეთი რა არის, მანეთი არა მდებიყო. მაშინდელი ოცდახუთი მანეთი დიდი ფული იყო ქათამი მანეთნახევარი ღირდა, შემეძლო ყიდვა და ვიყიდე კიდეც გადაცლილ მანქანის საბურავის ძირიანი და ტილოს საპირიანი ფეხსაცმელი, ორ მანეთად მოჰქონდათ. რამაც შემიცვალა ძირგამოგლეჯილი და ტყლაპჩაგებული ქალამნები. მუდმივად სველი ფეხები სიმშრალეში მქონდა. მარტო ეს ეყოფოდა ილოს დიდ მადლად. ჩემ გულში ილოს მაგალითი ისე გაბრწყინდა მაშინ და ისე ბრწყინავდა მთელი ცხოვრების მანძილზე, რომ დღესაც, სიბერ-სიკვდილის ჟამს, ოდნავადაც არ მინავლულა.

სიკეთის ქმნა ილოს ცხოვრების წესი იყო, საბჭოს თავმჯდომარედა თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ყოფნის დროს, მუდამ ცდილობდა ღარიბებისათვის გაეწია დახმარება, განსაკუთრებით ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ცნობილ მოკაფიავე, მოლექსეებს მუდმივ გაჭირვებულსა და ღატაკებს. ისინი მთელ ზაფხულს ხატობებსა და ქორწილ-ნათლობებში ატარებდნენ მოწინააღმდეგეებს ერკინებოდნენ და არ ახსოვდათ სათიბ-სამკალი. მათზე ყველაზე ზედგამოჭრილი იყო ფოთოლათ მერცხალას ნათქვამი:

„კარჩი მგელ ვერას შამიჭამს
შინ შამოტანილს ციცაო“.

ერთი ასეთი განთქმული მოლექსე-მოკაფიავე, გოგოლაურთელი შეთე ხახონიშვილი სიბერის ჟამს მარტოდ რომ დარჩა, ილო ფხოველმა შინ წამოიყვანა თხილიანაში და სიკვდილამდე ინახავდა, მოკვდა და ყოველგვარი წესისა და რიგის დაცვით დამარხა.

ილო, გოგი ოჩიაურთან მეგობრობას სიყვარულითვე აგრძელებდა. როგორც კი შუაფხოში ამოდიოდა, ამოვიდოდნენ მისი თბილისელი მეგობრები, ამოვიდოდა ანა კალანდაძე, სხვები სამი-ოთხი დღით, ანა კი თითქმის მთელ აგვისტოს, მთელ შვებულებას შუაფხოში ატარებდა თავის დაქალებთან თინა და დედიკა ოჩიაურებთან იქ იყო ხოლმე ილო ფხოველიც და იქ ვიყავი მეც. მე უმთავრესად იმიტომ რომ შემეძლო ცხვრის დაკვლა, გატყავება, ხინკლის გულის მოშზადება და კალმახის დაჭერა. მზის გადასვლის ხანს საღამოობით ოჩიაურთა ეზოში შემოკრებილი სტუმრების სული და გული იყვნენ ილო ფხოველი და ჩემი მეორე დეიდა თეთრქალ ბალიაური. ილოს ეკითხებოდნენ და ისიც უამბობდა ფშაურ ადათ-წესებზე

ლექს-კაფიაზე და ათას სხვა რამეზე, რაც ილომ ზედმიწევნით კარგად იცოდა. ზოგჯერ კი ჩემი დეიდა თეთრქალი აიწყვეტდა და ფშავლებსა და ხევსურებზე ჰყვებოდა ისეთ სასაცილო ამბებს და ისეთი კომიზმით, ხმის ბაძვითა და მიმიკით, მოძრაობებით რომ ბევრის მნახველ ქალაქელებს სიცილისაგან, ლამის გულები მისდიოდათ. ანა კალანდაძე ყველასგან გამორჩეული იყო სიმშვიდით, სიწყნარით, არაფერს იმჩნევდა ილოს სიყვარულისას, იქ ეჭვადაც კი არავინ რამე იცოდა მისი ილოსადმი სიყვარულის შესახებ. ეს მას შემდეგში მუზამ გაამჟაღვნებინა, ვერ დამალა სიყვარული. სახელი კი მაინც არ გაამჟღავნა. ილოს სამოციანი წლებიდან ფშავ-ხევსურეთში, ყველაზე დიდი სამსახური, მემატყლეობა დაავალეს. დაავალეს, როგორც ხალხის ერთგული შვილის, პატიოსან კაცს და მანაც გაამართლა ეს სახელი. თუ მანამდე, ამ საქმეში ვიღაცა თაღლითები, უმთავრესად მოსული ადამიანები ხალხს ყვლეფავდნენ, ატყუებდნენ, დიდ ფულს იხვეჭდნენ, ილომ დაუჯერებელი პატიოსნება გამოამჟღავნა. სასწორზე როცა დააწყობდნენ მატყლის ბარდანებს, კანძებს, ნაპარსებს, აწონიდა და პატრონს დაუძახებდა: – „მოდი, შეხედეო“, აჩვენებდა, მერე იქვე გადაშლილ დავთარში ჩაწერდა და ხელსაც მოაწერინებდა, ეკითხებოდნენ და ერთხელ თავის სუფრასთან მეცა ვკითხე: – ასე სუფთად რომ მუშაობ, ფული საიდანღა გაქო. მეც არ ვიცი მატყლს რო ვაბარებ, იქ მაღლა რას აკეთებენ, როგორ აკეთებენ, არ ვიცი, არც ჩემი საქმეა, ეტყობა დიდი ფული კეთდება და იმათი ანგარიშით ცოტაოდენს მეც მიწილადებენ. ეს წილი კი ჩემთვის იმდენია ყელამდე მყოფნისო.

ქეიფი უყვარდა ილოს, მეგობრებისთვის, ხალხისთვის პატივისცემა, ფულს ყოველთვის თვითონ იხდიდა.

საოცრად კეთილშობილი და გულმოწყალე იყო ილო ფხოველი. ფშავში თუ სადმე ჭირი ან ლხინი ხდებოდა, ილო არ დააკლდებოდა. აუცილებლად მივიდოდა და თავის „ვალს“ მოიხდიდა. განსაკუთრებით გულთან ახლო მიჰქონდა გაჭირვებულთა ჭირის ამბავი. უსათუოდ მივიდოდა და სიაში კი არ ჩააწერინებდა არამედ საკმაოდ დიდ თანხას ჭირისუფალს ჩაუტენიდა ჯიბეში.

***

ლურჯ თხილიანა რამდენადაც საამური არის ზაფხულში, იმდენად უსიამოვნო და სასტიკი არის ზამთარში. რაკი ჩრდილი ფერდობის ძირშია როგორც კი ზამთრის მზე სამხრეთით დაიხრება, სამი თვე თხილიანასა და თხილიანას მდებარეობით, მსგავს სოფლებში სამი თვე მზე არ ჩამოანათებს, – დეკემბერი, იანვარი, თებერვალი. მაგრამ ნოემბერიც ზამთრისა იცის და მარტიც, ნოემბერში დადებულ თოვლს მარტის ბოლომდე არ აიღებს, სამი თვე გულის ზამთარია. ჭახჭახა ყინვაა ყველაფერი გაჭირხლულია, ხანდახან საქონელსაც კი არ უშვებენ გარეთ, წყალს ბოსელში ასმევენ. ხუთი თვე ღუმელი ან ბუხარი ჩაუქრობლად უნდა ენთოს, განსაკუთრებით იქ, სადაც მოხუცები, ან ბავშვები არიან. ასეთ ვითარებაში თხილიანაში ყოფნა გაუძნელდებოდათ ილოსა და მის მეუღლეს. ამიტომ გადაწყვიტა ბარში სადმე ჩამოსახლებულიყო, სადაც ზამთარიც მსუბუქია და შვილ-შვილიშვილებიც იოლად მოაკითხავდნენ. ასეთ სოფლად ილომ ჩინთი შეარჩია, ფშავ-ხევსურეთიდან პირველივე სოფელი, სახლი სოფლის სათავეში ჩადგა ფშავ-ხევსურეთის გზის დასაწყისში. ზამთრობით იყვნენ აქ, ზაფხულობით კი ისევ ლურჯთხილიანაში ადიოდნენ.

2002 წელს ილოს მეუღლე გარდაეცვალა მარო კაკაბლიშვილი. ის თხილიანაში წაასვენეს და იქ დაკრძალეს იმ პირობით, რომ შემდეგში ილოსაც მის გვერდით მიუჩენდნენ სამუდამო ადგილს.

გასვენებაში, რა თქმა უნდა, მეც ვიყავი, ვამხნევებდი ილოს და ვპირდებოდი, რომ ხშირ-ხშირად მოვინახულებდი, მაგრამ 90-იანი წლების საქართველოს თავს დატეხილმა უბედურებამ ისეთი გაწამაწიები შემიქმნა, ილოსთვის ვეღარ მოვიცალე. 2004 წლის გაზაფხულზე მე და ჩემი შვილიშვილი ბაჭყია, კვლავ ფეხით ავედით კაწალხევში ხვნა-თესვისთვის, ეხლა მაისის ბოლოს სიმინდ-ლობიო-კარტოფილის გასათოხნად, მაისის ბოლოსთვის მარტოდ უნდა ავსულიყავი. ხანგრძლივად იმას უნივერსიტეტს ვეღარ გავაცდენინებდი. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო უკვე. ჩინთის ბოგირთან მთელი დღე ველოდე გამვლელ მანქანას. არაფერი გამოჩნდა. ხალხი მგზავრობას ვერა ბედავდა. თავისი მანქანების წართმევისა და სიკვდილისა ეშინოდათ. ფეხითაც ვერ გავბედე წასვლა. მძიმე ზურგჩანთის გამო. ორი-სამი კვირის საგზალი მიმქონდა. შემომაღამდა და მეტი გზა არ იყო ილოსთან უნდა მივსულიყავი...

***

კარისკარა შევაღე და ეზოში შევედი. ილოს საფუტკრიდან ცარიელი სკა მოჰქონდა. ბრახუნზე გამოიხედა და რომ დამინახა შესძახა: – გიგი, შენა ხარ? – სკა დააგდო და წელგამართული ფართო ნაბიჯებით წამოვიდა ჩემსკენ, სიბერე ლომს მორევიაო – ილო ფხოველს ვერ მორეოდა. – აღარ მეგონა შენ თუ გნახავდი. ეს ერთი ხანია, სუ შენა გნატრულობ!

გამიკვირდა ილოსგან ასეთი შეხვედრა. ყოველთვის ზომიერი და ნორმალური იყო შეხვედრების დროსაც, სიხარულს და სიამოვნებას ღიმილით გამოხატავდა. გაიხუმრებდა, ხელს მაგრად ჩამოგართმევდა. ვიფიქრე, მარტოობით იყო გაბეზრებული და გრძნობები ვეღარ მოთოკა. ზურგჩანთის ჩამოხსნაში მომეხმარა. – „ეს რა მძიმე საგზალი წამოგიღიაო“ – დააყოლა. და შიგნით დერეფანში შეიტანა. მერე თითქოს ჩემ ნაფიქრალს მიხვდაო დამიძახა: – აბა აქ შემოდი, გაჩვენო, რატომ გამიხარდა ეგრე ძალიან შენი მოსვლაო. ხელმარჯვნივ თავის ოთახში შემიყვანა. საწოლის სათავითურთან სკამზე დაწყობილ წიგნებზე მიმითითა: – აი, ნახე შენი წიგნი, სად მიდევსო. დავხედე სამი წიგნი იდო. ერთი – ვაჟა-ფშაველას ერთტომეული, მეორე – ანა კალანდაძის ერთტომეული და მესამე – ჩემი – „ცხოვრება „ვაჟა-ფშაველასი“. გააგრძელა: – გიგი, ეს რა წიგნი დაგიწერია. შარშანს აქეთ, რაც ეს წიგნი მომივიდა, მარტო ამ წიგნსა ვკითხულობ. ერთი ათჯერ მაინც წავიკითხე. ვკითხულობ და არა მბეზრდება ხან, ხარხარი ამივარდება. ხან ხმითა ვტირი. ეს მარტო ვაჟა-ფშაველას ცხოვრება არ არი, ფშავის ცხოვრებაა, ჩემი ცხოვრებაა. ვაჟას თბილისში საავადმყოფოში მწოლს, თავისი აფხუშოსთავის სათიბი რო ენატრება, მეც ისე მენატრება ჩემი უბისთავის სათიბი და ჩემ თავსა ვტირი. აი, შეხედე ამ ჩემ ბიბლიოთეკას. ჩვენი მწერლებისა თუ უცხოელებისა,

რამდენი მაქ წაკითხული, ბევრი ძალიანაც მამწონებია, მაგრამ გულზე არ მომხვედრია, ისე არცერთი, როგორც ეს შენი წიგნი მომხვდა. ვიცი, ამ წიგნზე ზოგიერთი ეს ჩვენი ფშაველი გიჩხიკინებს – „ვაჟა გაახევსურეო“. მაგრამ იცოდე, ეს მაიმუნობაა, შურია. მაშ ჩემზე რო იტყვიან ძირად ქისტაურია, ღულიდან არიანო. ეს გახევსურებაა? ფშაველი არა ვარ? მეორეც ჩვენ ერთნი არ ვიყავით ფშაველნიცა და ხევსურნიც. ფხოველნი არ ვიყავით? ოხ, რას გავქადაგდი. დანარჩენი სუფრასთან ვიუბნოთ.

ოჯახსაც და თავად ილოსაც უქალისხელობა დასტყობოდა. მითხრა აბა ეხლა მე რას გავამზადებ. ისევ დამბალ ხაჭოს, ხაჭოერბო უნდა გაჭამოო. ხო ვიცი შენ ძალიან გიყვარს და მეც ამას არაფერი მირჩევნიაო. ორი ხაჭოსკვერა შემოიტანა ობმოკიდებული. ჩაშავებული. გადათლა უნდოდა არ გადავათლევინე. ესეც მოეწონა ჩემგან ილოს. ბლომად ერბოში მოაშიშხინა უცებ. კიტრის მწნილი მოაყოლა, ორი დოქით ღვინო შემოიტანა და მითხრა: – „ორნაირი ღვინოა თეთრი და წითელი. რომელიც გინდა შენ ის აირჩიე. ეს თითო დოქი საკუთრად უნდა დავიდგათო“. მე წითელი ავირჩიე, როგორც დაბალწნევიანმა.

ჩვენ ჩვენი დოქებიდან შევივსეთ ჭიქები. – აბა გიგი, შენ მოსვლასა და ჩემ დახვედრას გაუმარჯოს! „არ მოგვიშალოსო“ ვეღარ ვიტყვი, რადგან „ისე ვარ კილოს მიმდგარი, როგორც მურყანი წყლის პირსა“. ხვალე შეიძლება აღარ ვიყო. ძალიანაც კარგი იქნება. ამ ყოფაში ეხლა მე რო ვარ, მეთაკილება კიდეც სიცოცხლე. წამლებს მიზიდავენ. წამალი სიბერესა და სიკვდილს რას უშველის. ღვინო და თაფლია ყველაფრის წამალი, თუ ესენი არა გშველენ მაშინ აღარაფერი გიშველის. აემ დროულა კაცი ვარ, აქამდე სხვა წამალი მე არ მიმიღია და არც არაფერს მივიღებ. არ ვთქმევინებ არავის სიცოცხლეს ებღაუჭებაო. სიკვდილისა ეშინიაო... ეხლაც ამ დოქს ისე დავცლი, როგორც აქამდე ვცლიდი... შენ მოსვლას, ჩემ დახვედრას გაუმარჯოს!

კარგად შეეძლო ილოს სათქმელის ჩამოყალიბება. ამაში ხელს უწყობდა ნაკითხობა და ფშავ-ხევსურული პოეზიის კარგი ცოდნა. ამიტომ სადაც ის მოხვდებოდა ჭირის სუფრა იქნებოდა, თუ ლხინისა, თამადად ის უნდა ყოფილიყო. მარტო „ღობურ“ სადღეგრძელოებს კი არ ჩამოარაკრაკებდა, ვითარების და მიხედვითაც შეეძლო ეთქვა ის რაც სათქმელი იყო. თავის შინ ნიადაგ თავად იყო თამადა. მეორე სადღეგრძელო ჩქარავე მოაყოლა, ეტყობოდა რო ეჩქარებოდა.

– ეხლა მე შენი წიგნი მინდა დავლოცო. ამის სათქმელად მენატრებოდა შენი ნახვა. შენ გენაცვალე, შენა, ბალღო, რა ძალამ დაგაწერინა ეს წიგნი. რა ძალამ ჩაგაგონა ბალღს ვაჟას თანამედროვეთაგან ჩაგეწერა მოგონებები. შენ მოასწარი აბა ეხლა ვინღა რას მოიპოვებს. ამის შემდეგ ვაჟას ცხოვრებისას ვერც ვეღარავინ რას დასწერს. ვაჟას შემოქმედებაზე ბევრი გამოკვლევაა დაწერილი. ბევრიც კიდევ დაიწერება, მაგრამ ვაჟას ცხოვრება მორჩა. ეს შენი წიგნი იქნება მანამ, სანამ იქნება ვაჟას ხსენება.

– ზუსტად ესა თქვა თემურ ჩალაბაშვილმა რადიოში – ჩავურთე მე.

– თემური იტყოდა ამას, რა ძალიან კარგი ბალღია. რა ნიჭიერი. როგორ მიყვარს მაგისი ლექსები. სანთელზე რო აქვს: „ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლიაო“. მაგასთან ერთად რა ნიჭიერი ახალგაზრდები არიან: ვანო ამირხანაშვილი, უჩა შერაზადაშვილი, მამუკა წიკლაური, გივი შაჰნაზარი, ნოდარ ჯალაღონია, გივი ალხაზიშვილი, ბაღათერ არაბული, ჩვენი ბაღათერა, თედო ბექიშვილი, ლაშა გახარია და სხვები. რა ნიჭიერი ბიჭები არიან ყველანი. ყველას კარგად ვიცნობ, ჯარჯის ამოჰყავდა ეგენი თხილიანაში და ჩემი სტუმრებიც იყვნენ. მეც საკლავს ვკლავდი... საღამოობით ტელევიზორთან შიშით ვერა ვჯდები – ძილი მიპარავს შუაღამეგადასულში გამეღვიძება, ტელევიზორი ერეკება, მე ტკბილადა მძინავს. ისევ წიგნების კითხვა მირჩევნია, ერთ-ორს წავიკითხავ და მერე ისევ შენი წიგნი უნდა ავიღო, ვიფიქრებ ცოტას წავიკითხავო და როგორ შემომათენდება ვერ ვიგებ. არ ვიცი უკვე რამდენჯერა მაქვს წაკითხული. ვკითხულობ და ხან ვხარხარებ, ხან ხმითა ვტირი. აი, ის ადგილები მატირებს, სადაც ვაჟას ყოფაში, ჩემ ყოფასა ვხედავ. უბის თავს უპატრონოდ დარჩენილს ჩემ საყვარელ და საამაყო სათიბებს.

ილოს თითქმის ზეპირად მოჰყავდა ადგილები ჩემი წიგნიდან, ჰყვებოდა იცინოდა და ხან კი თვალები ცრემლში უცურავდა. ვაჟას უბედურ ცხოვრებას ჩვენ უბედურებას ადარებდა, მერე ისევ ჭიქები შევავსეთ:

– გიგი, შენ შეიძლება გაგიკვირდეს და ანა კალანდაძე მინდა ვადღეგრძელო, ჩემი „ნაძრახი“, ეს ისე სახუმროდ თორე ანას გულის ნადებისა, მე მაშინ არაფერი ვიცოდი. მინდა შენთან ამოვთქვა, ჩემი გულის ტკივილი. სხვასთან ამაზე არ მილაპარაკია, და არც ვილაპარაკებ. ვიცი გულს გამაცინებენ, იტყვიან ტრაბახობსო. მე ეჭვადაც კი არ მიგრძვნია ანასაგან ჩემდამი რაიმე ინტერესი. როცა ანა გავიცანი ოჩიაურებისას უკვე დაოჯახებული ვიყავი, რანაირად შეიძლებოდა ანასთან რაიმე დამეწყო, რამე გამებედა. მე მის გაცნობამდეც მისი ლექსები მხიბლავდა. როცა გავიცანი ამას დაემატა მისი სულიერი სილამაზე და კეთილშობილება და განვიმსჭვალე მისდამი უდიდესი პატივისცემით, ბუნებით ძალზე მორიდებული იყო, ხათრიანი, ხმაამოუღებელი. საფიხვნოდ ჩამომსხდარი ოჩიაურ-ბალიაურები საღამო ხანს საქმისთვის რო აიშლებოდნენ, მე და ანა ვრჩებოდით და ვაგრძელებდით ჩვენ მუდმივ სასაუბროს. მას აინტერესებდა ფშაური სიტყვები, მცენარეთა სახელები, ადგილის სახელები. როცა რომელიმე უცნობ სახელს ვახსენებდი, შესძახებდა ხოლმე „ო, ეს რა კარგი სახელიაო“ და მერე იმას მეკითხებოდა, როგორი მცენარეაო, როგორი ყვავილი აქვსო, როგორი ფოთლებიო? ასეთი სახელი აქვს, აი, შენც ხო იცი: უკადრისა, სატყრობელა, სასუტელა, კაზარა, ფამფარა და კიდე ვინ მოსთვლის რამდენი რაღაც. სხვებთან მდუმარე, ამას კი ვამჩნევდი, ჩემთან ალაპარაკდებოდა, გახალისდებოდა. რაიმე მინიშნება მოწონებაზე, რაიმე გადაკრული სიტყვა, არაფერი მომისმენია. შეიძლება იმიტომაც, რომ ხშირად ხმამაღლა გამოთქმული ჩემი მოსაზრება, „რო მომკლა ქალაქში არ ვიცხოვრებო, მთას არ მივატოვებო“. მისი ლექსები მოგვიანებით რომ გამოქვეყნდა, მივხვდი, ჩემი ბრიყვული ლაპარაკით, რა ტკივილს ვაყენებდი თურმე ანას. მას შემდეგ აღარ გამოჩენილა შუაფხოში და რომც გამოჩენილიყო, არ ვიცი როგორ შევხვდებოდი, ან მე რა უნდა მეთქვა მისთვის, ან ანას რა უნდა ეთქვა ჩემთვის, რატომღაც მოთხოვნილება მაქვს ანას ლექსების კითხვისა, ისეთი გრძნობა მიჩნდება, თითქოს თავად ანას ველაპარაკებოდე, ვებოდიშებოდე იმ გულისტკივილისათვის, რაც

ჩემდაუნებურად მივაყენე... კაცო, ისიც კი არ ვიცი, ნეტა ცოცხალია, თუ აღარა. ნეტა ხო ცოცხალია, გავიგებდი ალბათ რო მომკვდარიყო.

– კი, ცოცხალია, წელს შეუსრულდება ოთხმოცი წელიო, გამოაცხადეს ეს წელი მისი საიუბილეო წელია.

– არ ვიცოდი, ჩემზე უფროსი ყოფილა ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს...

ილოს ნათქვამიდან მენიშნა ანას საოცარი სიყვარული დიალექტური სიტყვებისა და სახელებისადმი.

თბილისში, როგორც კი შემხვდებოდა ქალბატონი ანა, მაშინვე ფშაურ სიტყვებსა და მცენარეთა სახელებზე მეკითხებოდა, ფორმასა და შინაარსს მაზუსტებინებდა. შეხვედრის წინ თითქმის ყოველდღე და ხანდახან დღეში ორჯერაც ვხვდებოდით სამსახურისკენ მიმავალ-მომავალნი. მე სულხან-საბას ქუჩაზე ვცხოვრობდი და ვცხოვრობ დღესაც, ქალბატონი ანა კი ენათმეცნიერების ინსტიტუტში მუშაობდა იქვე, ინგოროყვას ქუჩაზე...

გვიანობამდე შევყევით მე და ილო საუბარს. მერე იქვე, დაბლა სართულში „საფშავლო“ სასტუმრო ოთახში დამაძინა. ვთხოვე – „დილაზე მე ადრე გავიპარები, შენ ნუ ადგები, ნუ შეწუხდებიო“. ბავშვობიდან დღის შუქი მაღვიძებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადრე გაღვიძებას ჩავიყოლებ გულში.

მაშინაც ისე, დილის სისხამზე გამეღვიძა, ფრთხილად წამოვდექი და ჩაცმა დავიწყე. კარიც ფრთხილად შემოიღო, „გაიღვიძე?“ – შემომძახა ილომ. – აბა, მიიარ-მოიარე და მოდი. ჩაი უკვე მზათა მაქვს.

– კაი გითხარი, ნუ შესწუხდებიო, რატომ ადექი. ასე ადრიანად არაფერი მინდა.

– რას ამბობ, დღის საკალ გზაზე მიდიხარ, პურუჭმელს როგორ გაგიშვებ.

ილოს ბლომად თაფლი ჩაესხა ჯამში და ასევე ბლომად ერბო ჩაედო – ეგ უნდა შეჭამო, მუხლს მოგცემსო. იქვე, ორი ხაჭოსკვერა შეეხვია ქაღალდში – ცოტაღა დამრჩა, მაგრამ რომ არ გაგინაწილო არ შეიძლებაო. შენი სული არ მომასვენებსო.

ჭიშკარში რომ გამომაცილა, მითხრა: „რა ვიცი აბა, როდის გამოხვალ. მნახავ კიდევ ცოცხალსაო?“

გადამეხვია. მე დავაიმედე, აუცილებლად მალე სადმე გნახავ-მეთქი.

დილის 6 საათზე დავადექი გზას, ვიარე, ვიარე და თითქმის 4 საათი იყო, როცა ჩემი სახლის ფართო აივანზე ჩამოვიხსენი ათმაგად დამძიმებული ზურგჩანთა და ასევე ჩემ საძინებელ ფართე ტახტზე გავიშოტე, ძალზე დაღლილი და ძალზე გულდასვენებული.

***

ილო ფხოველს, როცა შევპირდი „მალე გნახავო“, სადღაც სექტემბრის დასაწყისს ვგულისხმობდი. ვფიქრობდი, იმ დროს მაინც ჩამოვიდოდი თბილისში. მეც მაინტერესებდა მისი კიდევ ნახვა, რადგან უამრავ საინტერესო რამეს იხსენებდა. მაგრამ ჩემი მცდელობა ამაო გამოდგა. ისე წაეწყო საქმეები, რომ ბარად ჩამოსვლა კი არა, როგორც იტყვიან, თავის მოსაფხანად არ მეცალა. გაჭირვების გამო, ფუტკარი 30 ძირამდე მყავდა მომრავლებული და მათი მოვლა გათენებიდან დაღამებამდე შრომას მოითხოვდა. ამასთან ერთად მოსავლის მოყვანასაც არანაკლები დრო სჭირდებოდა, ეზოების გათიბვას, თივის დამზადებას, თივას რაკი იაფად ვაძლევდი მეზობლებს, იტაცებდნენ და ზამთრისთვის საკმარის ერბოსა და ყველს მაძლევდნენ. მერე მოდიოდა მოსავლის აღება, ამას მოჰყვებოდა კაკლების ბერტყვა და ვაშლის კრეფა. ბოლოს ცოტა წანადირებაც უკვე გასუქებულ დათვებზე და გადავწყვიტე ილო ძველ საახალწლოდ მომენახულებინა. აღარ დაგვცალდა. დეკემბრის შუა რიცხვებში უკვე თბილისში რომ ვიყავი ჩამობარგებული, ვიღაცამ დამირეკა: „ილო ფხოველი გარდაიცვალა, დასაფლავება ხუთშაბათს არის ჩინთშიო“. მტყობიარემ უცებ დაჰკიდა ყურმილი. ანკი რაღა იყო სალაპარაკო. ილოს სიკვდილის გაგონება ისე არ იყო მოულოდნელი, როგორც ის, რომ ჩინთში ასაფლავებენო. ეს ამბავი სენცეცხლასავით მეცა. ჩემი თავის უკმაყოფილო ვიყავი, პირობა რომ ვერ შევუსრულე, ვეღარა ვნახე.

ხუთშაბათ დღეს დილიდანვე ავედი. ბევრი ხალხი მოსულიყო, ახალი მთავრობის მადლს უკვე გაეჭრა, შემალული ხალხი გამომძვრალიყო სამალავებიდან. ამოძრავებულიყო ქვეყანა. ილოს კი იმდენი ჰქონდა დათესილი, რომ ვალმოუხდელს არავის დასტოვებდა, არც მთაში და არც ბარში.

მე პირდაპირ ილოს შვილს – თამაზს დავეტაკე: „ჩინთში რატომ ასაფლავებთ-მეთქი?“

მართალი ხარ გიგი, მაგრამ დროებით ვასაფლავებთ. გზები ყოფილა ჩაკეტილი, დიდი თოვლია და დიდი ზვავებიო. გაზაფხულზე აუცილებლად გადავასვენებთო.

გაზაფხულზე, აღგომების ხანს თამაზმა დამირეკა:

– მამა უკვე გადავასვენეთ თხილიანაში, ქელეხს კი ხალარჯობას ვაპირებთო. მთიელები არა ყოფილან ზამთარში, ვერავინ ჩამოვიდნენ ბარად და იმ დროისთვის შენ კიდევ შეგატყობინებთო.

***

მთაში, და კერძოდ ფშავსა და ხევსურეთში ეგრეა, ზამთარში როცა ვინმე მოკვდება, როცა დიდთვოლობის გამო გზები ჩაკეტილია, ვერავის შეატყობინებენ და ვერც არავინ მოვა მიცვალებულს სამარხის გარეშე დაასაფლავებენ, სამარხს კი ზაფხულში გადაუხდიან. ეს ხდება ამაღლების ერთი კვირის შემდეგ სულთა მოფენობის, სულთა კრეფის დღეს, რომელსაც ფშავლები ხალარჯობას ეძახიან. ამ დროს ბუნება უმაღლესად არის მომძლავრებული, ფოთოლ-ბალახისაგან არი ჩაბურული. მთები, ტყეები, ფერდობები ყვავილად ქცეულ მცენარეებისაგან რძე და თაფლი წვეთავს, სიცოცხლე უხარია ყოველგვარ არსებას და მათ შორის რაღა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ხარობს ადამიანი. და აი, ასეთ დღეს ძნელია დამწუხრება და სიკვდილზე ფიქრი. თითქოს განგებ არისო ჩაფიქრებული ამ სიცოცხლით ტკბობის, ჟამს მწარე სიკვდილის სევდა.

თხილიანას სასაფლაო სოფლის გვერდზეა, სოფლის კალთაზე. სანამ მე კაწალხევიდან ფეხით ავედი, უკვე მოგროვილიყო ხალხი უკანა ფშავიდანა, თუ ჩარგალ-მაღაროსკარის თემებიდან. გამიკვირდა, ისე ცოტა ხალხი იყო, ვიკითხე, რატომ არის მეთქი ცოტა ხალხი:

– სადღაა გიგი ხალხი – მიპასუხა იოსებ ციგროშვილმა, დაცარიელებულია მთელი ფშავიცა და ხევსურეთიც. ქალი თუ კაცი ზოგი ქალაქში გაიქცა, ზოგი საზღვარგარეთ, ლუკმა პურის საძებნელად. გამახსენდა საბჭო-

თა კავშირის დროს მოარული ანეკდოტი – ჰყვებოდნენ: „გურულს ჰკითხეს: „საზღვარი რო გახნან რას იზამო?“ „ხეზე ავალო“ – უპასუხა. „რატომ ხეზეო“ „ხალხმა რო არ წამლეკოსო“.

მესაზარლა გაუკაცრიელებულ წყალ-ჭალებისა და მთის ფერდობების ხილვა. მორიგი ჟამიანობა დასტეხოდა თავს ფშავ-ხევსურეთსა და მასთან ერთად მთლიან კავკასიას. ჩამიჩუმი არ ისმოდა არც ოჩიაურთა კარიდან. მესაზარლა დაცარიელებული სამოთხეს დამსგავსებული ქვეყნიდან გაქცეული ხალხის ყოფის წარმოდგენა. ყველაზე გულსაკლავი კი მაინც ილო ფხოველის გარეშე გაჩენილი სიცარიელე იყო. გულსაკლავი იყო იმის წარმოდგენა, რომ ფშავის მშვენება მიწაში იწვა. გავცქეროდი არაგვის ჭალებსა და მეჩვენებოდა, რომ ის ფერი აღარ ედო მთებს, შუაფხოდანაც აღარ ისმოდა ჩამი-ჩუმი, ილოს გარეშე კიდევ უფრო მეტად დაცარიელებული მეჩვენებოდა ფშავი. მითხრეს ოჩიაურ-ბალიაურნიც აღარავინ არიანო. თვალწინ მედგა შუაფხოდან გამომზირალი ანა კალანდაძის სევდიანი მზერა, ცრემლში აცურებული მისი თვალები. თითქოს ჩამესმოდა მისი წყნარი ჩურჩული, მისი ამაო ძახილი:

„გადმოდი გადმოაშუქე
ლურჯთხილიანას კალთები,
რა დაშავდება, არც რაი
გნახავ და გამიხარდები“.

ᲐᲚᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

* * *

ჩაიარე ჭალა,
ფიცხი ლურჯა ცხენით,
გული დარდს ვერ მალავს,
შუბლი შეჰკარ წყენით,
აღარ დადხვდა ქოხი,
არც ცხვარ-ბატკნის ფარა,
ქედს ბეჭებში მოხრილს
ნისლი აწვა წყნარად.
ქარი აღმა ჰქროდა,
წეწდა ღრუბლის ნახევს
და ნისლივით კრთოდა
ფიქრიანი სახე.
გაგერიდა ბეჩავს
შემოდგომის ქარი,
სევდა სხეულს კბეჩავს,
მოგენამა თვალი.
ვაი, ბედს რომ ეს სურს,
გაწყდეს გულის ძალი,
შეგიყვარდა ხევსურს
ერთი ქისტის ქალი.
შორს გადექი სევდავ,
დარდს გადიყრის როდის?
რა გაუძლებს ნეტავ,
გაზაფხულის ლოდინს.

ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲗᲐᲜ

ერთ წამს შევჩერდი მონასტერის შესასვლელ კართან,
და არაფერზე არ ვფიქრობდი, გარდა ერთისა:
მუდამ მართალი თუ ვიყავი საკუთარ თავთან,
ხომ არ დავკარგე მოწიწება ღვთის და ღმერთისა.
გრძნობებჩანცხრალი თუ გახდება სამყარო ნეტავ,
სულის ფორიაქს დაადგება საშველი როდის,
ვიღაცა ჩვენში უტეხ სულის ნარჩენებს ხედავს,
თავის საამოდ ჩვენს სისუსტეს დაუწყებს ლოდინს.
განცდები ბევრჯერ მონიშნულ ზღვარს გაშორდა, გასცდა,
ემოციები უკითხავად ჩვენს გრძნობებს მართავს,
ძნელი ყოფილა ამა ქვეყნის ტკივილი, განცდა,
ერთ წამს შევჩერდი მონატერის შესასვლელ კართან.

ᲑᲔᲓᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

ფიქრებში გართულს დღე გამპარვია,
მზე ცის კაბადონს დატოვებს მალე,
მაღალ ტალავერს, მწიფეს, ქარვიანს,
მწუხრში გაახვევს სექტემბრის ღამე.

ცას შეაჩეჩებს დათალხულ ფარჩას,
მზეს თან გაატანს ოქროსფერ ღიმილს,
ვიცი, ნაღველი შიგნით რომ დარჩა,
არ გამომილევს სევდას და ტკივილს.

ჩაათეთრებენ ფერდობს ნისლები,
ჩაიშლებიან ამაღამ ხევში,
მკერდს გააპობენ მწუხრის ისრები
და უძილობაც შემრჩება ხელში.

მოფრინდებიან თეთრი მტრედები
და სასთუმალთან დაჰყრიან სიზმრებს,
საოცარია: დაღლილს ვედრებით,
ბედის ვარსკვლავი ღიმილით მიმზერს.

როგორ ჩამოდნა

გული ჩქარობდა,
სულიც ჩქარობდა,
ჟამი ჩქამობდა,
დარდიც ჩქამობდა,
მარჯვენა მხარზე
იღბალი მეჯდა,
ჩემგან გაქცევას
როგორ ჩქარობდა.
გული წვალობდა,
სულიც წვალობდა,
ჟამი ავობდა,
დარდიც ავობდა,
მთების კალთაზე
მზის სხივის ფერი,
სადღაც მიმალვას
როგორ ლამობდა.
სულ მარტო ვიყავ
ფიქრებს მიკრული,
მტვრიან ბილიკზე
ქარი ჩქარობდა,
სიბერის კართან
დარდად მისული
გული ჩქამობდა,
სულიც ჩქამობდა,
ახალგაზრდობა ზღაპარს მიბმული,
როგორ გამიქრა, როგორ ჩამოდნა.

მახსენდება

მახსენდება ორწოხები,
ცადაწვდილი ის მთები,
სადაც უხვად იღვრებოდნენ,
ზღაპრები თუ მითები,
სიცივისგან გათოშილი
ჯერაც ნორჩი თითები,
ვერხვის ტოტზე შემომჯდარი
ოცნებები, ფიქრები.
მახსენდება ერთი ბიჭი
ზაფხულს როგორ ელოდა,
მდინარეზე სულ პატარა
სარეკელა მღეროდა,
ჩონგურის ხმა რომ ისმოდა
ცაცხვის დიდი ჩეროდან,
კლდეში, მაღლა ალი სთვლემსო,
პატარა ბავშვს მჯეროდა.
მახსენდება ცივი წყარო,
კვლავაც, კვლავაც ის მთები,
შუაცეცხლთან მოლხობილი
გათოშილი თითები,
პაპისაგან მოყოლილი
ზღაპრები თუ მითები.
გული მწყდება იმ წალკოტში
ვიცი, ვეღარ ვიქნები,
სხვა მიწაში დამეყრება
გულზე თოვლის ფიფქები.

ბებო

მზის სითბოზე ჯორკოს სკამით
გამოსულა გარეთ ბებო,
თავსწაკრული ხილაბანდით
გადაჰყურებს ტყიან ფერდობს,
ნაზამთრალი მყიფე ძვლები
გაზაფხულის სითბოს ენდო,
მზის სურნელი მორევია
სახლის ირგვლივ ეზოს, ერდოს...
და თვითონაც აპრილს ჰგავდა
ასწლოვანი ბებო ერთდროს.

გავიხსენებ

შეიმღვრევა გაზაფხულის ცა და
ბაღში ხეებს ძილბურანში გახვევს,
მზემ დღის ბოლოს გაღიმება სცადა,
ღრუბლის ქულამ დაუფარა სახე.
აიშალნენ ვარსკვლავები ცაზე,
ბალახს ნამი დაეფინა მძივად,
ნაკადული მღერის დაბალ ხმაზე,
ღამის ზღაპრებს ხის რტოებში სძინავთ.
მოგონებებს ჩემთან ახლოს ვიწვევ,
ბავშვობასთან საუბარი მინდა,
იქნებ დარდი ბნელ კუთხეში მიწვეს,
მთელი დღე რომ გულის სარქველს ღრღნიდა.
თავს გადავხსნი გადამტვრეულ ამბარს,
მივიწყებულს გავაღვიძებ სევდას,
გავიხსენებ იმ შორეულ ამბავს,
გზააბნეულს, რომ მეძებდა დედა,
გავიხსენებ მდინარესთან ჭადარს,
ციხე-კოშკის შემორღვეულ ქონგურს,
ჭაღარა მთებს სულ ზღაპრების სადართ
და ცაცხვის ქვეშ ამღერებულ ჩონგურს.
გავიხსენებ ბალახიან შარას,
წყაროს წყლისკენ, რომ ჩავრბოდი თავქვე,
უნაგირას ვიცი ნისლი ჰფარავს
და ღრუბლებმაც იქ შეხვედრა დათქვეს,
გავიხსენებ გვერდმოქცეულ წისქვილს,
თეთრი თოვლით გადაფენილ ჭალას...
დრო კი სადღაც უთავბოლოდ მიჰქრის,
თან ბავშვობის ნატერფალებს მალავს.

გალაქტიონი

მწვერვალზე იდგა, დაჰფენოდა ლაჟვარდის ფერი,
(უფალმა არგო ცასთან ახლოს ყოფნა და დგომა),
ეთხოვებოდა მისგან უკვე შორს წასულ მერის,
ტიროდა გული, მონისლული, ვით შემოდგომა.

წყვდიადს ნატრობდა, რომ სიმშვიდე იქ მოეძია,
სულის სიმებს კი აწვალებდნენ სევდის რითმები,
იცრემლებოდა ლექსის პწკარი, თვით პოეზია,
სადღაც სიღმეში ჩამალულნი თვლემდნენ ფიქრები.

ის ზეცას ჰგავდა, თავის ნიჭით, თავის იერით
და მისი ძალა სტრიქონებმაც უმალვე იგრძნეს,
ნათელ გონებას არ ჰყოფნიდა თვალსაწიერი,
ცდილობდა ლექსში მოექცია სამყაროს სიბრძნე.

მონამულ თვალით შესცქეროდა მზის საკვე ცარგვალს,
ცრუ წუთისოფელს შერჩენილი უიღბლო, მარტო,
დღევანდელი დღე მწუხარების სხვა დღეებს არ ჰგავს,
ობოლი სული როგორ შფოთავს და როგორ დარდობს.

მწვერვალზე იდგა, დაჰფენოდა ლაჟვარდის ფერი
(უფალმა არგო ცასთან ახლოს ყოფნა და დგომა),
ეთხოვებოდა მისგან უკვე შორს წასულ მერის,
ტიროდა გული, მონისლული ვით შემოდგომა.

უშიშს მონოლოგი

ქვეყნად ბევრი რამ მწყენია,
გულში არა მაქვს ძვირადა,
სევდა რამ შემომჩენია,
რაღაც ოხრად და ჭირადა,
ფიქრთან ლაყბობა მჩვევია,
ჯავრი არ მიღირს ჩირადა,
ის მაღალ მთები ჩემია,
ხევსურ კაცი ვარ ძირადა.
უცხო ზნე შემომეჩვია,
სხვანაირ ვიყავ წინადა,
სულ არ მიყვარდა ტრაბახი,
გულს დარდის ჩასაძირადა,
სწრაფ ვიყავ როგორც ჩახმახი,
ჩემს ვაჟკაცობის წილადა,
ეხლა სიბერე ვაგლახი
იქცევა გასაკვირადა,
ბევრი მესროლა ტალახი,
გამწირა თავის წილადა,
წელში მომხარა, დამამცრო,
მაჩოქებს ხრამის პირადა,
გინდაც, რომ სული გამაძროს,
სიცოცხლ დამისვას ძვირადა,
ზამთარში ყინვით დამაზროს,
არ გადვიქცევი მღილადა,
ვერ შესძლებს მუხლში მომხაროს,
მტერს კვლავ ვეყოფი ჭირადა.

ᲜᲘᲜᲝ ᲛᲝᲓᲠᲔᲯᲘᲚᲐᲫᲔ

ხელი ჩაჰკიდეთ, კაცებო, ქალებს

ხელი ჩაჰკიდეთ, კაცებო, ქალებს
და აედევნეთ ლამაზად ქუჩებს,
თუგინდ ზამთარი მზის სხივებს კლავდეს,
თოვდეს ან ქუხდეს!

გადმოსულ სითბოს ხელიდან –
ხელში,
გულიდან – გულში, ტანიდან –
ტანში,
მოჰყვება მზე და
სიყვარულისფერ
ყვავილებს გაშლის.

ხელი ჩაჰკიდეთ, კაცებო, ქალებს,
გზა იდოს ახლო, ან თუნდაც შორი,
ცხოვრებას უდრის, როცა
მოდიან
ქოლგის ქვეშ ორნი...

და როცა უყვართ და როცა
გრძნობენ,
რა ადვილია ღრუბლებში ცურვა,
შეყვარებულებს, მეგობრებს,
ცოლებს,
სჭირდებათ ზრუნვა...
ხელი ჩაჰკიდეთ, კაცებო, ქალებს...

არავინ არი

რაც სიყვარულად უნდა იქცეს, ქარმა წაიღო...
ახლა დავტირი გადამსხვრეულ ლორთქო ღეროებს,
ოცნებებისას, ღმერთმა ნუ ქნას, არ მაპატიოს
მიწამ ქვადქცევა, ამაცილოს ფიქრის ჩეროებს...
სადაც მუხლჩახრილს ჭირისუფლად ცრემლებგამშრალი
ჩაძაძული და სიტყვაძვირი ღამე მდარაჯობს,
რადგან ამქვეყნად, მომკალი და არავინ არი,
არავინ არი, – მისმინოს და მელაპარაკოს...

ალდგომის დილა

დგება სანთლისფერი დილაღამიანი, სული ფორიაქობს,
ყველა სიხარული ერთად აღებული ამ დღეს ვერ იწონის,
სადღაც ცხოვრებაა, მე კი ჩამოვმჯდარვარ იქვე შორი-ახლო,
დარდით მსუბუქ-მძიმე, ჩემი სამყოფით და თითქმის ჩემი ტოლით.

ქვემოთ ნიშია და დილათენების თუ ღამისმთეველები
უფლის აღდგომის და სულის ცხონებისას ტკბილად ხმიანობენ,
ხშირად მეფანტება ფიქრში სიტყვები და გულში იმედები,
ხან რომ ბჟუტავენ და ხან რომ კიაფობენ.

დგება სანთლისფერი დილაღამიანი, ღმერთო, ვფორიაქობ,
ყველა სიხარული, ერთად აღებული, ამ დღეს ვერ იწონის,
სადღაც ცხოვრებაა, მე კი ჩამოვჯექი იქვე შორი-ახლო...
ისე დავიკარგე, ჩემი თავი მეძებს, ასე ჩემი ტოლი...

შენში გაზაფხული

ქარმა და გიჟმაჟმა ამინდებმა
უნდა მომიყვანონ გაზაფხული,
გული მერცხალივით მოფრთხიალე
მკერდს ათი ზეცით ამიცილონ
და სადღაც თოვლ-ტალახს ამოკრული
ვარდისფრად ალანძული ენძელები
ამოსხან, ამოაკისკისონ,
ამოსხან, ამოაგზისპირონ.

მზე შორეთს მოგზაურად დაკარგული
ორთავ თვალის ჩინად დამიბრუნონ,
რომ მერე ჩემებურად ამოვქსოვო
მიწის სურნელი და მზის ნართი...
რომ მითხრას დედამიწამ უყვარხარო,
რომ მითხრას ამ სამყარომ – ჰყავხარო...
რომ მეც დავუხარო მშვიდად თავი,
მეც რომ შენსწორობა ვახარო.

რაღა დროს სიმორცხვე და სიზმრებია,
ანდა რა იწილო და ბიწილო,
ქარია, მეც ქარით ვიხილები,
ქარია, მეც ქარით ვღვიძილობ.
ოღონდ შენში იყოს გაზაფხული,
ოღონდ გხედავდე და გისმინო.

სინანულისა

ეს გაზაფხული ისე გავიდა,
მზემ ერთი სხივიც არ გაიმეტა,
მე დავიხუჭე ისევ თავიდან,
ის კი მალულად სხვასთან წავიდა.

ვთვალე წყვილ-წყვილად ჭრელი დღეები
ცაო, სულ უნდა ქუხდე და წვიმდე?
სად დაიმალა? – მე ვიხილები,
ის კი გარბის და გარბის და მივდევ.

რატომ? – რომ ვუთხრა, წასვლას გაპარვით
სჯობდა მოხდენით გახურვა კარის,
მდინარეს თუ ვერ გადავლახავდით,
ერთმანეთს მაინც დავინახავდით.

ისევ

ისევ ჩავიცვი შემოდგომის ფერთა ხავერდი,
თვალს დავხუჭავ და ვხედავ, როგორ მოდიხარ ჩემკენ,
ოცნების ქოხში ვიცხოვრე და ისე დავბერდი,
შენს ჭრელ კოფთაზე ერთი ღილიც ვერ დავაკერე.

ქარს მიჰყვებიან დაუმჭკნარი ყაყაჩოები,
პეიზაჟს ცისფერ ჩარჩოსავით ამკობს ცის კიდე,
ვიქნები, ვიდრე ვიქნები და განმარტოებით
მდგარ ჩემს ქოხმახში მარტოობას გამოვიტირებ.

რა უცნაურად იწერება ეს დიდი წიგნი,
უფურცლო, უყდო, გაცრეცილი, ძველი და მძიმე,
ერთი სიცოცხლე გვეძლევა და ერთი სიკვდილი
და სიყვარული, თუ ნახე და ხელი ჩაჰკიდე.

მზის საგალობელს შემოსძახებს ქერონა ჩიტი,
ვახელ თვალებს და ვხედავ, როგორ მიდიხარ ჩემგან,
დღეებს ყოველთვის შენი სუნთქვის მიხედვით ვთვლიდი,
ასე ვკინძავდი უსასრულო ფიქრის კალენდარს.

ის იანვრები

ის იანვრები მაინც სხვა იყო,
წელში რომ ზნექდა დათოვლილ ლელვებს,
დღესასწაული წლებმა წაიღო,
დარდი ამივსებს სიბერის ბეღელს.
ვიხსენებ... როცა ქარი ხმელ ტოტებს
ეხეთქებოდა გზნებით, ზათქებით,
დღემდე ზამთარი მაბარებს ნოტებს,
ბავშვის თითებით და გაცხარებით...
ღამით საათის წიკწიკი, როგორც
ჩვილის კისერზე ფეთქვა ძარღვების,
დილით თეთრი გზა... კისკისი გოგოს
გაბრუებული სიზმარ-ცხადებით...
გოგო მირბოდა, ხრაშუნი თოვლის
ერითმებოდა სტიქიას გულის,
დღეს კი პეპლები კვდებიან ხსოვნის
და ხვალის დღეშიც ბინდია სრული.
გათოშილ ხელებს, დამზრალს ყინვისგან
რა სიყვარულით – სულზე გიწვდენდი,
ახლა ხელები თავქვეშ მიწყვია,
როგორც უთქმელად მკვდარი სიტყვები.
და აღარ ვიცი, სწყალობ ვის სიზმრებს,
ვის იანვრებში ელავ ნაპერწკლად
სადაც გიხსენებ, იქვე გივიწყებ –
და მაინც გულში ეჭვად გამკენწლავს...
რა იქნებოდა, შეგყვარებოდი...
რა იქნებოდა, გყოლოდი ცალად,
მე გათოშილი რომ დაგეძებდი –
შენ კი... ადექი და გამეცალე...

თელავის ჯადარს

დრო-ჟამის გრიგალებთან ვით ზავდები
ჯადარო, საუკუნეთ ჩამომთვლელო,
ერეკლეს პერანგი და მუზარადი,
ან ჯვარი... ბზის ტოტიდან ჩამოთლილი...
გაფიცებ, მართლა ნახე თვალშეველებით?
ან ცხადად, ან სიზმრით, ან ფიქრებით,
მიამბე, ძველთაძველი ქართველები
რა დარდს ატარებდნენ გარინდებით?
დაბრძენდი, ამინდებთან აღარ დავობ,
სუნთქვააყოლილი ქარის ორგანს,
ერეკლეს პაპის პაპამ ხომ არ დაგრგო,
ერეკლეს ხსენებაზე რატომ ბორგავ...
ჯადარო, თელავს განძად ებარები,
წვიმს და ღამეები დგება მომცრო,
მოვდივარ, ტკივილებზე გე – ფარები,
მოვდივარ, რომ სანატრელ ამბად გამცნო...
რისთვისაც საუკუნეთ გაუძელი,
ჯადარო, ხებრძენო და ფოთოლანცო.

ჩემს სოფელში

აქ, ჩემს სოფელში, წუთისოფლის მზე არ ბერდება,
პირს დაიბანს და გადმოაფენს სხივთა დალალებს,
და თეძოსავსე დედამთილებს – მთებს გაუღიმებს...
ნატიფ სხეულზე კაბა მოსავს მზეს ხელთუქმნელი,
ცივ მდინარეთა მომარმაშე წყლის ატლასების,
მწუხრზე მარჯნისფერ-მოქარვისფრო ქობ-არშიით,
განთიადზე კი გვირილების ოქროს მაქმანით.
აქ, ჩემს სოფელში თმაქოჩორა ვაჟებს არ სძინავთ,
ტყის უმცირესი ფოთლის სუნთქვაც ესმით და სიზმრებს
მიწის ძარღვგახსნილ წყალწმინდას და უმძრახს ატანენ,
რომ შეიძლება ეს სამოთხე ხვალ აღარ იყოს,
ხვალ აღარ იყოს, ასე გახდეს სოფელყოფილი.
აქ, ჩემს სოფელში ასულები მოგჰვანან ფრესკებს,
თავთავებივით დაპურებულ მკერდებით დააქვთ
ფუძე-კარის და ჯიშ-ჯილაგის არმოშლის აღთქმა...
და ლეგენდებით და მითებით თავმოდგმულ ზამთრებს
თიხის ქილებში, გაყვითლებულ ხავსებს აცლიან.
აქ, ჩემს სოფელში შავოსანი დედების ხელებს
საკმეველის და მინდვრის ფხალის სურნელი ასდის,
აქ ყოველღამე იხარშება ცრემლით კორკოტი,
რომ მზის ამოსვლას დაასწრონ და ცრემლმოწმენდილზე
ჩამოარიგონ ქვრივ-ობოლთა კარდაკარ ლოცვად.
აქ, ჩემს სოფელში უხუცესი დგას მეციხოვნედ,
სინდის-ნამუსის, მტყუან-მართლის საცერ-სამტკიცით
და დაკოჟრილი წყვილი ხელი ფქვავს და ატარებს,
ფქვავს და ატარებს, ფქვავს და ღერღავს ცხოვრების მარცვლებს.
აქ, ჩემს სოფელში წუთისოფელს ბეწვის ხიდი აქვს,
ხელისცეცებით მიმოდიან მიწის სტუმრები,
იხარჯებიან, ივსებიან და გადმოდიან
ზოგჯერ უჭურჭლო სულიდან და სახელებიდან.
ხოლო ქვიტკირის ქვა-ღობიან ფიქრის სახლებში
წუთისოფელი სოფელს უთმობს ბოლო წუთის ფიქრს,
სადაც დედები დედის ჯვრით და რწმენის ფარ-ხმალით
ებრძვიან ღამეს უძილობას მზერააყოლილს,
ებრძვიან დაღლას,
ცრემლს და ტკივილს,
და იმარჯვებენ!

ნინო ალადაშვილი

ფოთოლი

ხესმოწყვეტილი მე ვარ ფოთოლი,
ყოფნა-არყოფნის ტკივილი მტანჯავს
და როგორც ამბავს, ქარის მოჭორილს,
დრო მეც უკვალოდ გამაქრობს ალბათ.

უხმოდ დავტოვებ დღეებს, დარდიანს,
ან საყვედური უშველის რაღას?!
როცა ხვდებიან შიშვლად განთიადს,
ხეებს ვპატიობ ფოთლების ღალატს.

იქნებ ეს არის ბედი ობოლის –
მინდობილია უცნობ ამინდებს,
ხესმოწყვეტილი მე ვარ ფოთოლი,
ქარს ვუცდი... ნეტავ, საით წამიღებს?!

სიყვარული სასვენი ნიშნებით

ვსვამ კითხვის ნიშნებს და
ვკითხულობ ყველაფერს
თუმცა კი პასუხი
არასდროს არა მაქვს.
ვინა ვართ?
რატომ ვართ?
რისთვის ვართ?
სადა ვართ?
ან იქნებ საერთოდ
ამქვეყნად არცა ვართ???
ორწერტილს მოჰყვება
სახელთა სიმრავლე,
ათასჯერ ჩამოთვლილს
ათასჯერ ვინატრებ:
თვალები,
ფერები,
წუთები,
წამები,
დღეები,
ხელები,
თითები,
მკლავები.
ვჩერდები, სადაც ვსვამ
მძიმეს და ვისვენებ,
ვიშორებ სიმძიმეს
დახრილი მხრებიდან,
სულს ვითქვამ,
შენც გინდობ,
გეცლები ხელიდან,
ვიცი, რომ მძიმე ვარ
ხანდახან შენთვისაც.
ვაგრძელებთ... მივყვებით
გზად მრავალწერტილებს...
ვნებდებით გრძნობებს და
ცხოვრების წყვეტილებს...
გზას ბოლო არ უჩანს...
გრძელდება ხაზები...
ჩვენ ისევ მივდივართ...
ჩვენ ჯერ არ ვმთავრდებით...
შენ – მარჯვნივ,
მე – მარცხნივ,
შუაში ტირეა,
შენ – იქით,
მე – აქეთ,
მანძილი მცირეა.
ხან – გვყოფს,
ხან – გვაერთებს –
ხანდახან ხიდია.
ერთად ვართ და მაინც
ცალ-ცალკე მივდივართ.
გეძახი! მოგიხმობ
ძახილის ნიშნებით!
ოღონდაც მოვიდეს
შენამდე ჩემი ხმა!
მისმინე!!!
შენი ვარ!!!
მიყვარხარ!!!
მიყვარხარ!!!
ვიძახი და თან ყელს
ძახილით ვიღადრავ.
და ბოლოს, არ ვიცი,
საითკენ მივდივართ,
ვერ ვხედავ ერთ ნიშანს
სასვენთა რიგიდან.
თვალს ვხუჭავ კვლავ და კვლავ
და ხელსაც არ დავძრავ.
მე წერტილს არ დავსვამ!
მე წერტილს არ დავსვამ!

მინატრე

მომიხმე ისევ იმგვარი ჟინით,
ვით ხარირემი მოუხმობს მიჯნურს,
როგორც ტოროლა სისხამზე, დილით,
სატრფოსთვის სტვენას მოჰყვება გიჟურს.

მინატრე ძლიერ... ისე მინატრე,
კვლავ უჩემობა ჩაგიდგეს ტანში,
რომ ატეხილმა ვნების მდინარემ
ყველა ჯებირი წალეკოს წამში.

მოგინდე ისე, ვით მწყურვალს წყარო,
ან ველად გაჭრა აწყვეტილ რაშებს,
მოგინდეს ჩემი ტუჩების გემო,
ეძებდე თვალებს, სველსა და მლაშეს.

აწყვეტილ ღილებს მიშლიდე ტერფთან,
იპყრობდე ნებით თვითეულ მტკაველს,
ეწაფებოდე ალეწილ მკერდს და
ლოდინით შეშლილ, გათანგულ მკლავებს.

მე წუთებს ვითვლი უშენო დღეთა,
ვაოკებ ღამეს, სანამ ინათებს,
სურვილს სხეულით მოვიტან შენთან,
მომიხმე ოღონდ... ოღონდ მინატრე.

შემოდგომა გომბორზე

წავიდეთ სადმე!
ნოემბერი მოგვიხმობს ოდეს...
გომბორზე ახლა შემოდგომა
ხეებში იწვის,
ძვირფასო, მინდა პაემანი
ფოთლებთან გვქონდეს,
ვიხილოთ ფერთა აგონია,
ამ დროს რომ იცის.
წავიდეთ!
უკვე ქარვისფერი დაადნა ტევრებს
და თითქოს ჯიბრით,
არ მკრთალდება ცა – ლურჯად მდგარი,
წავიდეთ, სანამ ერთადყოფნას

მზე მოგვიტევებს,
დაგვედევნება გზაარეულ
ღრუბელთა ჯარი.
მეწამულ ქორწილს გადაგვიხდის
ფოთოლთა ცვენა,
ნეკერჩხლის ხეებს შეაკვდება
ჩურჩული ფიცის,
ძვირფასო, ჩვენთვის ნოემბერი
გამართავს სცენას,
გომბორზე ახლა შემოდგომა
ხეებში იწვის.

გამოსათხოვარი ყაყაჩო

ყაყაჩოები ვიცი, ახლა
ჩემს თავს გაგონებს
(ისევ მეწამულ ნიაღვრებად
მოსკდა მაისი),
გახსენებს სურვილს, წითელ კაბას,
უხმო ამბორებს,
მასაც, თუ როგორ ვერ ვიხილეთ
ერთად დაისი.

შენ ალბათ ხედავ ჩემს ოცნებებს,
ვერახდენილებს:
თითქოს მიგყავარ ბალახებში
თვალახვეული,
თითქოს გრძნობებმა ალისფერად
ზეცაც შენისლეს
და უორთის... უორთის ყაყაჩოებს
თხელი სხეული.

იქნებ ყვავილებს ესმით ჩვენი
სულის ძახილი?!
საკუთარ სუსტ მხრებს მიანდობენ
ნაფიქრალს წამსვე,
ან იქნებ სულაც არ ყოფილა
ასე ადვილი,
იდგე მინდორში გამოუთქმელ
ოცნებით სავსე.

მე ვიცი, როცა მაისის მზე
ისევ გაგათბობს,
მოგენატრება ჩემი სახე
ფიქრებით დაღლილს,
მიესალმები გზადშეხვედრილ
კეკლუც ყაყაჩოს
და ისიც უმალ, ჩემს მაგივრად
წამწამებს დახრის.

გამოიდარებს

სულ ერთი დღეც და გაზაფხული გაიაპრილებს,
ჩამოიტოვებს უკან მარტის დღეებს, შლეგიანს,
გადიდგულდება, გადაიშლის მწვანე ნაპირებს,
ფერად ყვავილთა ნიაღვრები ამოსკდებიან.

უკვე დრო არის... ალბათ მალე გამოიდარებს,
ატმის ხეები სიხარულით გაიკვირტება,
გულო, ერთხელაც გაუძელი ქარიან ღამეს,
ხვალ წავა მარტი და მოიყვანს აპრილს ტიტებად.

ᲖᲐᲘᲠᲐ ᲤᲠᲣᲘᲫᲔ

* * *

ნაწვიმარ დილას ეტყობა მოწყენა,
სამარესავით სიჩუმე მაშინებს.
ეს დილა გათენდა რაღაც სხვანაირი,
ეს დილა სულ არ გავს რატომაღაც მაშინდელს...

მაშინ ხომ მივსდევდით წვიმისგან სველ ქუჩებს,
მაშინ ხომ სიცოცხლე ჩქეფდა სხვა ელფერით,
ვხატავდი სამყაროს მოგონილ ფერით და
არავის ჰქონია სევდაც სხვას ჩემფერი.

ქუჩებს დარჩენია ჩვენი ნაკვალები,
წვიმაც ბევრჯერ იყო და ვერ წაუშლია,
მხოლოდ სიყვარული ფერებ დაკარგული
მოუპარია და სადღაც წაუღია.

ფიქრებს არ აწვალებს უკვე მონატრება,
ფიქრებს აწამებენ მხოლოდ სინანული.
წლები გამიფრინდა სადღაც უგზოუკვლოდ
და დროს გაჰყოლია ჩვენი სიყვარული.

* * *

ჩემს სახლის წინ სევდიანო,
ალუბლის ხევ, შიშველო,
ალბათ აწი მალე მოთოვს,
ნეტავ, როგორ გიშველო.

მახსოვს იდექ ამაყად და
სხვას ატკბობდი ნაყოფით,
შენც ხარობდი სხვასთან ერთად,
გესხა ყველას სამყოფი.

ახლა დგახარ თავდახრილი,
ზამთრის მოსვლა გაშინებს,
არ გიხდება წელში მოხვრა,
სულ არ გავხარ მაშინდელს....

ქარი ბოლო ფოთოლს გაცლის,
კანკალებ და შიშვლდები,
მეც შენსავით სევდიანი,
ნეტავ, რითი გიშველი.

* * *

ნეტავი, ადრე მწვეოდი მუზად,
სიტყვა მექარგა, ლექსად მეწერა,
ამ უსამართლო წუთისოფელში
მოთმენით ვმონებ, რაც დამწერა.

ახლაც, რასაც ვწერ მრავალ წლის მერეც,
დამიჯერე, რომ ყველა შენია,
გაცამტვერებულს, ფეხქვეშ გათელილს,
სხვა ამის მეტი რა დამრჩენია.

ფარ-ხმალს ვყრი, ვხვდები ძალა არ მერჩის,
სვლას დროებისას, მშვიდად ვნებდები,
„ყველაფერს თავისი დრო აქვსო ჩემო“,
დავიღალე თუ, მართლა ვბერდები.

სიყვარულისთვის გულანთებული,
მღვრიე მორევში ხარბად ვეშვები,
თუკი გიყვარდი, როგორც ამბობდი,
ნეტავი, თავის დროზე გაგეშვი...

* * *

დამღამებია გზაზე,
მზე ჩაკარგულა ზღვაში,
ოცნებაც ჩაიყოლა,
ცრემლი ჩამდგარა თვალში...

ბინდმა მოიცვა გზები,
შორს ქარი კივის მთებში,
შემოდგომაა ახლა,
დაზამთრებულა თმებში...

დამძიმებულა ტვირთი,
და სული კვნესის, მტკივა,
ღამე კანკალებს ქარში,
მეც ღამესავით მცივა.

მოკლე გამხდარა გზები,
გზაზე მივდივარ მარტო,
გამთეთრებია თმები
და მიკვირს, ჯერ ხომ არ თოვს,

ვისვენებ გადაღლილი,
დარდს თითისტარზე ვართავ,
მერე შავ-თეთრი ძაფით,
მე ჩემს ცხოვრებას ვქარგავ,

ნაქარგს ვამატებ მუქ ფერს,
დაკარგულ წლების ცვენას
და დრო კი მტაცებს ურჩად:
იმედს, ოცნებას, რწმენას...

და ჩემი მზე კი არ ჩანს,
თავი დაიხრჩო ზღვაში,
ოცნებაც ჩაიყოლა
ცრემლი ჩამდგარა თვალში.

* * *

ცაზე წრიალებს ღრუბლები,
ეტყობა ისევ ავდრდება,
ვისთვის დღე ახლა იწყება,
ვისთვის კი იქნებ მთავრდება.

მოიქუფრა და გაშალა,
თავისი შავი სუდარა,
მზე იმალება, არ ჩდება,
არ ჭრის ხვეწნა და მუდარა.

შემომეჩვია წვიმები,
ვნატრობ დღეს მზიანს, დარიანს,
ქარს რაღა უნდა ნეტავი,
დამკარგა, ამრი-დამრია.

რომელ გზას გავყვე ნეტავი,
რომ დავემალო ღრუბელს,
საავდროდ გამზადებულა,
ვინ იცის გულს რა უდევს?!..

ᲛᲐᲛᲣᲯᲐ ᲝᲩᲘᲐᲣᲠᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ

დარწეულა ქარში ხე და
კვლავ იღება ამ დღის კარი,
მთლად უმტვერო შარაზედა,
ქალი მოდის მზის სადარი.

ნიავქარმაც არ იკადრა,
აუჩეჩოს თმა და კაბა
და სიამით დაბანგული,
ორღობეში გაინაბა.

ქალი, ქალი მზისა დარი
„გავაზივით მოქნეული“,
საროსა და ლერწმის ტანი,
თავზე თავშალმოხვეული.

ძუ ვეფხვივით მოსხლეტილა
მტრისას, სიტყვაც გაუბედო
მასზე ფიქრით სულ არ სძინავს,
მომავალში მის საბედოს.

მოდის, მოაქვს სურნელება
დანამული ტურფა ვარდის,
გული მასზე ფიქრით დნება,
ზვავად მოდის, კი არ დადის.

დაარწია ქარმა ხე და
უნანავებს ღამე ნათევს,
მთლად უმტვერო შარაზედა
ქალი მზისებრ მოანათებს.

ძუ ვეფხვივით მოსხლეტილი,
არვის ამჩნევს, არვის ხედავს,
სიტყვის თქმა და გულსწადილი,
დღემდე ვერვის გაუბედავს.

ხის ტოტებში როგორც სურო
ჩამოწნულა თმები ქარის,
ღმერთმა არ თქვას გაახუნოს,
სილამაზე ქართველ ქალის!

მომეევლინა ამ დღის მზედა...
გულს სწვავს ფიქრის ნაღვერდალი,
მთლად უმტვერო შარაზედა,
ქალი მოდის მზის სადარი!

ᲣᲫᲘᲚᲝᲑᲐ

ფიქრი ნისლად მომეხვევა
ღამენატეხ სხეულზე,
დარჩა მცირე ჩამორხევად
ღამე ცისკრის ხვეულზე.

ნელა-ნელა ვარსკვალებიც,
გაპარულან ზეციდან,
ფიქრით მე რომ მაწვალებდი,
გულს უშენოდ შესცივდა.

სულმა ვეღარ დაივანა,
წმინდა ღრუბლის გრილოზე,
მთები დგანან აივნებად
მიწის მწვანე ტილოზე.

გატეხილი ღამის სურა,
ბნელეთს ხათრით ეკიდა,
წადილი რომ აისრულა,
ცისკარს გამოეკიდა.

ფიქრი ნისლად მოხვეული,
სხეულს აკანკალებდა.
ღამე მოშლილ-მორღვეული
მოთმინებას დალევდა.

გატეხილი კუნაპეტი,
უსაშველოდ მსხვრევადი,
რა ვიაურვო ამის მეტი,
გული ნაკლებ ღელვადი.

გატეხილი ღამის სურა
ბნელეთს ხათრით ეკიდა,
წადილი რომ აისრულა,
ცისკარს გამოეკიდა.

ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

აქაც აცივდა გულცივობს მარტი,
ზეციდან წვეთებს თავს გვაყრის წვრილად
მამულო! ტკივილს გწერ ემიგრანტი
და შენსკენ ვგზავნი ლექსებს წერილად.
ოცი წელია სხვის მიწას ვტკეპნი,
ოცი წელია რაც გაგეყარე.
შენ ჩამოგშორდი, შენ მკერდს ვერ ვეკვრი
ღვთისგან ნაკურთხო სამშობლო მხარევ.
აქ ჩემთვის ყოფა გაუფერულდა,
შენთან დავტოვე დღენი ნათელი,
ვიცი, რომ გინდა, წარსულშიც გსურდა
კალთებქვეშ გყავდეს ყველა ქართველი.

აკაკი დაუშვილი - 60

ჩვენს ძვირფას თანამოკალმესა და მეგობარს, შესანიშნავ პროზაიკოსსა და მთარგმნელს – აკაკი დაუშვილს ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, დაბადებიდან 60 წლის და პირველი მოთხრობების გამოქვეყნებიდან 35 წლის იუბილეს.

აკაკი სხვადასხვა წლებში იყო ლიტერატურულ ალმანახ „თელავის“ მთავარი რედაქტორი, ლიტერატრულ ალმანახ „ალაზნის“ პასუხისმგებელი მდივანი, სალიტერატურო გაზეთ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „ღვინჯუას“ რედაქტორი; ხოლო 2004 წლიდან სალიტერატურო ჟურნალ „ოლეს“ მთავარი რედაქტორია. ის არის აგრეთვე ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის – „წმინდა ნინოს ჯვარი“, დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი. ამჯერად ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ აკაკის ახალ თარგმანს:

ელენა დოლგოპიატი

პროზაიკოსი, კინოდრამატურგი ელენა დოლგოპიატი დაიბადა 1963 წელს რუსეთის ქალაქ მურომში. 1963 წელს დაამთავრა მოსკოვის სატრანსპორტო-საინჟინრო ინსტიტუტი. 1993 წელს მოსკოვის სერგეი გერასიმოვის სახელობის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სასცენარო ფაკულტეტი. არის კინოს მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელი.

პრემია „ნაციონალური ბესტსელერის“ ნომინანტი (2017), ისააკ ბაბელის ლიტერატურული პრემია (2020).

ქალაქი

ტანია ფანჯარასთან მივიდა. ხედი ძალიან მოსწონდა: მინდორი, ბილიკი, პატარა ველოსიპედისტი, ჰორიზონტზე მუქი ტყე მოჩანს, ღრუბლები კი უზარმაზარი კოშკივითაა. ტანიამ სარკმელი გამოაღო და სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა. ივნისის დაუსრულებლად გაწელილი საღამოა, თბილა. საათი თავისას მიერეკება: დინ-დონ, დინ-დონ. ტანია შებრუნდა და ციფერბლატს შეხედა.

მერე კვლავ ფანჯარაში გაიხედა და მინდვრის ადგილას ქალაქი დაინახა. განაპირას პატარა სახლი დგას, ადამიანები ავტობუსს უცდიან. სახლი ნაცრისფერია, თუნუქის სახურავით, საკვამურიდან ბოლი ამოდის. ქალაქში ცივა, შემოდგომაა, ქარი ნაგავსა და გამხმარ ფოთლებს მიაფრიალებს. ადამიანები გაჩერებასთან ქარს ზურგს აქცევენ, საყელოს იწევენ. ქალაქი ძველია, დიდი, შორს მოჩანს მდინარე, ეკლესიათა გუმბათები და ეშმაკის ბორბალი, რომელიც ნელა ბრუნავს.

თაროზე მობილური აწკრიალდა. ტანია შეკრთა, მობილურს ხელი დაავლო.

– ხედავ? – აღტაცებული ყვირის ბიჭი, – ხედავ?!

– რას?

– ქალაქი. ფანჯარაში გაიხედე! ქალაქს ხედავ?!

– ვხედავ. ნუ ყვირი.

– მეგონა, მარტო მე ვხედავდი.

– მირაჟია.

– არა.

– აბა, რა არის?

– შეხედე, ავტობუსი გაჩერდა.

– ძალიან ძველია.

– იქ შემოდგომაა.

ავტობუსი წავიდა, გაჩერებასთან, ძელსკამზე ჩამომჯდარი დედაბერი კი დარჩა.

– ეს ქალაქი მე გამოვიგონე. წარმოსახვა დავძაბე და ჩვენს მინდორზე გაშენებული წარმოვიდგინე. მერე ფანჯარასთან მივედი და მინდორზე ზუსტად ისეთი ქალაქი დამხვდა, როგორიც გონებით დავინახე. რატომ დუმხარ? ეი, ტანია!

– დედაბერი რატომ ზის?

– აუ, ეს რანაირი კითხვაა!

– ავტობუსი წავიდა, ის კი დარჩა.

– მერე რა?

– რატომ დარჩა?

– სხვა ავტობუსს უცდის.

– მართლა?

– არ ვიცი.

– აი, ვიღაც დეიდა მიუახლოვდა, გვერდით მიუჯდა და რაღაც ჰკითხა, დედაბერმა უპასუხა. რაზე საუბრობენ?

– საიდან უნდა ვიცოდე?

– ქალაქი შენი გამოგონილია და არ იცი?

– არ ვიცი.

– კარგი ერთი.

– მართალს გეუბნები.

– არც ამ დეიდას იცნობ? ენერგიული დეიდაა.

– არა, არ ვიცნობ.

– არადა, უნდა იცნობდე. რატომ დუმხარ?

– ჩემი არ გჯერა. კარგი, ფანჯარას არ მოსცილდე.

ტანიას ფეხი არ მოუცვლია.

მათთან ზაფხულია, ქალაქში კი ცივი ქარი ქრის. ავტობუსი გაჩერებასთან მიხრიგინდა და დეიდა გაიყოლა. დედაბერი კი ისევ სკამზე ზის. შესაძლოა ვინმეს ელოდება.

პეტია სადარბაზოდან გამოვარდა, ტანიას თეთრი ხელისგული დაუქნია და ქალაქისკენ მოკურცხლა. ქალაქში შესული კი სიცივისგან მოიბუზა.

„სულელი, – გაიფიქრა ტანიამ, – ქურთუკის წაღება როგორ არ მოაფიქრდა“.

პეტკა დედაბერს მიუახლოვდა, გვერდით მიუჯდა და რაღაც ჰკითხა. დედაბერი სახით ბიჭისკენ შეტრიალდა. მერე ავტობუსი ჩამოეფარათ და როცა წავიდა ტანიამ ცარიელი სკამიღა დაინახა. ძაღლმა ჩაირბინა. თუნუქის სახურავიანი სახლის ქვეშ ფანჯარა განათდა.

ტანია ბინიდან აჩქარებით გამოვიდა, კარი მიიხურა, ლიფტს არ დაუცადა, კიბეებით ქვევით ჩაქანდა და ბილიკით ქალაქისკენ გაიქცა. თუნუქის სახურავიანი სახლი ახლოვდებოდა. განათებულ ფანჯრაში კატაც კი შეამჩნია. ტანიამ დაახანა, რათა რკინის წითელ გაზისბალონებიან სატვირთო მანქანას ჩაევლო და ნაცრისფერ ასფალტზე შეაბიჯა.

გზა აღარ იყო. ტანია ბილიკზე იდგა, მინდორში. ღრუბლები უზარმაზარ ცაზე მიცურავდნენ, გადაფრენილი თვითმფრინავის თეთრი კვალი იფანტებოდა, სადღაც შორს მატარებელმა დგანდგარით ჩაიქროლა. ქალაქი გაუჩინარდა. მზე ტყის განაპირას ჩადიოდა. ტანიამ ერთხანს ბილიკზე იხეტიალა და შინ დაბრუნდა.

დილით, საუზმობისას, დედამ ჰკითხა, ხომ არ იცოდა პეტია სად წავიდა.

– ვალენტინამ სად აღარ ეძება, მორგშიც გადარეკა.

პეტია აღარ დაბრუნებულა. ტანიას ხანდახან ახსენდებოდა ქალაქი, რომელიც ბიჭმა თავისთვის გამოიგონა.

ᲐᲠᲖᲣ ᲥᲐᲠᲐᲓᲐᲚᲘ

ძახილი

გამომეცხადე იმ დღეს, როცა დავიწნავ დალალს
და მოვიქარგავ გულმკერდს ჭრელაჭრულა კენჭებით.

გამომეცხადე, ვიდრე ჯერაც ღიმილით დავალ,
ბედნიერს ზიანს ვერ მომიტან ამ გამოჩენით.

გამომეცხადე, ნამტირალევს, მომაკვდავს, როცა
მე ქალაქებით ვიხორცებ და ვიხვევ ჭრილობებს.

გამოჩნდი, ვიდრე მოლოდინი წამართმევს გონსაც,
მერე კი იქნებ შენი მოსვლა აღარც მინდოდეს...

ვინძლო, ყოველი აირიოს, სანამ შენ მოხვალ,
მე იქ ვიქნები, სადაც კრთიან თვალთა გიშრები.

გამოჩნდი, წყარო სიყვარულის ნუ დაგიშრება,
და მიუძღვენი უპატრონო საფლავებს ლოცვა.

გამოჩნდი... მოდი... ვარსკვლავებიც ჩნდებიან როცა...

არფის ჩიტები

რომელ იავნანას მიმღერდი, დედა,
ჩიტები ჩემს სარკმელს რომ აღარ სცილდებიან...
ისინი გალობენ, თუ ჩამესმის შენი ხმა, სუნთქვა...
ჩაძინებული მიმატოვეს, დე, შადრევნებმა...

რომელ იავნანას მიმღერდი, დედა,
კვლავ ტკივილებით გატანჯული დავეძებ მოყვასს...
ვეღარ ვერევი ამ გზებს, ამ მკლავებს...
თითქოს მოვდივარ ძალზედ შორიდან...

რომელ იავნანას მიმღერდი, დედა,
დავიწყებული მელოდია არ იკურნება,
დღეს შენი სახლი მიწა გახდა, მას ჩავეხუტო?

დავცქერი ფოტოს, შენს ხატებას
და ვფიქრობ, დედა,

მარმარილოზე პური დავდო
და ვიმღერო გლოვის სიმღერა –
ჩიტუნა, ჩიტო ...

ჩიტები, ქუჩები, ადამიანები

ნეტავ, ჩიტებიც იღლებიან გადაფრენისას?
მე დავიქანცე, საკუთარ თავს დავშორდი როცა...
ისინი გუნდად მიფრინავენ, მე ვარ ეული,
ისინი მზერას ენდობიან და მე კი – ლოცვას ...
ნახეტიალებთ ქუჩებსა და ვიწრო ჩიხებში
მე მხრები მშრალი გადამრჩა, მათ – ფრთები სველი
დარჩათ ისევე, როგორც გული დამრჩა მე მასთან,
ვისაც მივენდე, მივეახლე, ის კი გაფრინდა ...
ყველა მათგანი დღეს მაგონებს სათუთ სალოცავს,
ისინი ტურფა ვარდნი იყვნენ,
მე – შემოდგომა,

მათ სამკაულად სიტყვა ჰქონდათ, მე – ჩუმი სევდა.
ბავშვობის ხსოვნად
ამ ქალაქში დამრჩაღა რამე?
ჩიტები? გზები? თუ მოკვდავნი?
ვცხოვრობ საკუთარ თავს გაყრილი, გაძევებული,
ფიქრის ჟამი დგას,
ნუ გამაღვიძებ, ამ დილით, დედა...

დავინყება

სიცოცხლევ, მე შენკენ რა გზებით ვიარე,
ან რა ქუჩა იყო,
ანდა რა გზა-მიწა,
სისხლიან ფეხებით?
რა გულით?
რა გონით?
სულ გადამავიწყდა.

მოვდივარ საიდან,
ჩიხიდან გამოსულს
ჩიხები მელის კვლავ?
რა დარდის სანაცვლოდ,
რა ჭირის კვალდაკვალ,
სულ გადამავიწყდა.

არც ვინმემ თითებზე ნიშანი შემაბა,
არც ვინმემ გაკვალა გზა შენკენ მავალი,
არც შორი ხმებია,
მისხალიც არ მიჩანს
ძველი სიხარულის –
ტკივილიც არარი.

სიცოცხლევ, მე შენკენ როგორ მოვდიოდი,
ხურჯინი, მძიმე რომ მეგონა, მემჩატა,
საიდან მოვდივარ, მივდივარ მე სადა –
სულ გადამავიწყდა.

ხმას მოვდევ სირენის?
ქალების? ბავშვების?
ხეების, ჩიტების?
აქ როგორ მოვედი?
ეს ხმები თითქოსდა ჩემს ნაცნობ ხმებს არ ჰგავს...
ვით გპოვე, სიცოცხლევ...
შიშებით?
ხსოვნებით?
ეს გული ფეთქავდა?

სიცოცხლევ, მე შენით როგორღა ვკვდებოდი?
ველარ ვცნობ სანახებს,
ფიქრები დამიწყდა,
საიდან მოვდივარ, ან საით, როგორ, ვით?
რას ვჩადი,
ვინა ვარ,
ანდა ვინ ვიყავი,
სულ გადამავიწყდა.

... სიცოცხლევ, მე შენთან მოვედი საიდან?

ღია ვერანდა

ქარიან ღამეს მოუხდება ღია ვერანდა,
რომ ფეხქვეშ ქარი რიალებდეს, სულში ავდარი
როგორც სასმისი, გამოგცალოს რამემ ვერაგმა,
პოეტებსა და ქურდებს სწყალობთ ჟამი ამგვარი.
ეულთ ღამეებს მოუხდება ღია ვერანდა,
სიცარილეს რომ შეჰკიდონ ქალებმა თვალი...

თურქულიდან თარგმნა
ნინო მოდრეკილაძემ

ნიზარ ყაბანი

(XX საუკუნის სირიელი პოეტი)

მდუმარე ქალისადმი

ილაპარაკე... ილაპარაკე...
მშვენიერო მუნჯო ასულო,
სიყვარულიც ისევე, როგორც თეთრი ყვავილი,
უფრო ტკბილია,
მაშინ, როცა ჭურჭელში დებენ...
როგორც ფრინველი ზეცაში
და ვით თევზი წყალში...
შენიანად მიმიღე
და განა ჩვენ შორის
არსებობენ საიდუმლონი?
დაგვაშორა ორმა წელმა ნუთუ ერთმანეთს?
კიდევ დაგვრჩა საიდუმლონი,

ილაპარაკე:
ყველა ფიქრზე, გონებაში რაც კი გიელვებს:
სახლის კატაზე,
საყვავილეზე,
დობილებზე,
ღღისით რომ ნახე
და სპექტაკლებზე, რასაც უყურე.
ამინდზე და მგზავრობებზე...
მელაპარაკე
იმ ლექსებზე, რომლებიც გიყვარს.
ღრუბლის დაბრუნებაზე
და წვიმის სურნელზე,
მომიყევი ბეირუთზე
და ჩვენს
ქვიშაზე და მონეტებზე ამოკვეთილ სიყვარულზე,
მელაპარაკე უმარტივეს საგნებზე და
ყველაზე უფრო მცირე საგნებზე,
შენს ახალთახალ კაბაზე და
საზამთრო ქუდზე,
რამდენიმე ყვავილზე,
წითელ ქუჩაზე რომ გიყიდია,
მომიყევი იმაზე, რაც ღღეს გააკეთე,
მაგალითად, ძილის წინ რა წიგნი იკითხე,
შაბათ-კვირის დასვენება სად გაატარე,
რა ფილმი ნახე
და რომელი სანაპიროდან
ცურავდი ზღვაში?
განა წელსაც, როგორც ყოველ წელს,
თუთუნის და ვარდის ფერი ისევ დაგედო?
მელაპარაკე, მელაპარაკე...
ამ შაბათს ვინ დაგპატიჟა წვეულებაზე,
რომელი კაბით ცეკვავდი
და რომელი ყელსაბამი გეკეთა ყელზე.
და ყოველი შენი ამბავი, –
მბრძანებელო ჩემო
და ამბების მბრძანებელო,
ჩვეულებრივი
გეჩვენება საგნები და
ზედაპირული
გეჩვენება საგნები, თუმცა
ეს არ მაღელვებს:
შენ ხარ საგნებთან,
ხარ საგნებში,
შენ ხარ საგნებში...

ᲔᲛᲘᲜ ᲐᲠ - ᲠᲔᲘᲜᲘ

(XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲚᲘᲑᲐᲜᲔᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ)

ᲡᲐᲛᲣᲛᲘ

გაფიცებ შენს ღმერთს, მიწყივ არსებულს,
და იმას, რასაც ფიქრობ, რომ ჰგიეს მარადიულად.
მე შემომესმა რაღაცა ხმა ვენახებიდან,
მაგრამ ვენახებს დაუარა სამუმის ქარმა,
გადახმა მიწა და იქცა მრავალნახეთქიანად,
ყურძნის მტევნები ჩამოცვივდა
და ფოთლები ღრუბლებისკენ ააფრიალა
ხმამ, ვარსკვლავებში უეცრად რომ დაიზრიალა:
რა გგონია, რომ გაგრძელდება მარადიულად?

* * *

ამ ზვიადი და დიდებული გოდოლებიდან,
ამ მოყვავილე, კურთხეული წალკოტებიდან,
ამ ვებერთელა, თვალსაჩინო კოშკურებიდან,
ან ამ ახალი და თუნდ ძველი სარეწებიდან
რა გგონია, რომ გაგრძელდება მარადიულად?

* * *

მდინარის ქვეშა, განათებული გვირაბებიდან,
ვაგონებიდან, დენი ან ორთქლი რომ ამოძრავებთ,
ზღვის ზედაპირზე მონანავე ხომალდებიდან,
იმ ფლოტთაგან, ყოვლის მოსვრით რომ იმუქრებიან,
ქალაქების ძეგლებისაგან,
რა გგონია, რომ გაგრძელდება მარადიულად?

* * *

მიწის კანქვეშა გვირაბებიდან, რომელთაც
გასაოცრად ამოძრავებს ყველგანშემღწევი წვეთი,
გუმბათებიდან ღრუბელთა შორის რომ დასხმიათ რეტი
რა გგონია, რომ გაგრძელდება მარადიულად?
ვეება წყლებზე აღმართული ხიდებისაგან,
უშველებელ წყლებზე მონანავე კუნძულთაგან
და ძველ ზღვებზე წამომართულ მთათაგან
რა გგონია, რომ გაგრძელდება მარადიულად?

* * *

მტკიცე და ურყევ კაშხალთაგან,
ბუნების მიერ შექმნილ სრუტეთაგან,
იმ არხთაგან, ზღვებს რომ აერთებენ
და ქვეყნებსა და ქალაქებს რომ აკავშირებენ,
რა გგონია, რომ გაგრძელდება მარადიულად?

* * *

კოშკებიდან, რომელთა ბაღნიც მოხასხასეა,
მეფეთა და დიდებულთა დარბაზებიდან,

მდიდართა და მთავართა სასახლეებიდან,
უქონელთა და ღარიბთა ქოხებიდან
რა გგონია, რომ გაგრძელდება მარადიულად?

* * *

რიტუალთა და ადათ-წესთაგან,
რწმენისა და ცრურწმენისაგან,
ქვეყნებიდან და მთავრობებიდან,
ტომებიდან და ჯამაათთაგან
რა გგონია, რომ გაგრძელდება მარადიულად?
ოცსართულიან, ცასმიბჯენილ შენობათაგან,
უბნებიდან, სადაც თავს აფარებენ უიმედოთა ლეგიონები,
ტაძრებიდან, სადაც არ დარჩა რწმენის ნასახიც
ადგილებიდან, სადაც მართალთა ხმა არ გაისმის,
რა გგონია, რომ გაგრძელდება მარადიულად?
ხმა ღრუბლების მიღმა მგრგვინავი,
სამუმის ბრდღვინვა ხაფად, ტყიურად,
რა გაგრელდება მარადიულად?

რაღაცა ხანი, მეგობარო, რაღაცა ხანი,
ყოველივე, რაც კი არი ამ სამყაროში...
არ გაგრძელდება მარადიულად არაფერი
გარდა სულის ბუნების სანაქებო თვისებებისა.
კაცობრიობის სულის ბრწყინვალე თვისებებისა.
იმ დღეს, როდესაც გაუქმდება ყველა კამათი,
დაიკარგება მორჭმულობის დიდებულება,
როს კაცთ შეკრებენ და იმედები განდიდდებიან,
სწორედ იმ დღეს კრებულნი პირქვე დაემხობიან
და ტირანთა და მოძალადეთა პირობანი შეირყევიან
და მიწაზე დაუბერავს ავი ქარი, ყოვლისმლეწველი...

ჭეშმარიტად, ეს ყველაფერი დროებითია –
საათი ან ხანი დროისა,
იმ დღემდე, როცა გადაიხსნება არსებობანი
და არაფერი აღარ დარჩება,
გარდა გარჯისა და ცოდნისა,
სიკეთისა და ქველის საქმისა.

ᲐᲛᲐᲠᲯᲘ

(ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲘᲠᲘᲔᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ)

* * *

ყოველი ჭუპრი, რომელიც ცახცახებს, მბადებს მე... მე ამ პეპლის ეფექტი ვარ, ჩრდილი, ხოლო იმისა, მესამის, – მტვერი.

ისევ ღამე...
და მე ჩემი ადათისამებრ,
ფანჯარას ვაღებ და
სამყაროს ვუგდებ ჩემს სხეულს
ისე, თითქოსდა,
მასში
მთავარ თესლს ვაგდებდე
ბოროტების ყვავილებისა.
ხანდახან ხდება, ვცახცახებ და
მხოლოდ იმიტომ,
რომ ნიავმა, მე რომ სულაც არ შემხებია,
ააცახცახა ფურცელი, ან ზანზალაკი ანდა ფანჯარა...

რომელ იის ყვავილში მალავს
მისი თვალები
მტირალ საფუძველს შემოდგომისთვის...
არცერთი პირი
არ მესაუბრება ღამით,
ჩემივე ფანჯრის გარდა,
რომელიც კნავის
და მე საკუთარ ხორცს
შიგ ნაჭერ-ნაჭერ ვტენი.
როცა მოვკვდები,
რომელ ჩაბნელებულ მინდორში
იქცევა ჩემი ძვლები
შხამიან სუროდ?
რა იცი შენ მთვარეზე?
ოდესმე გინახავს იგი,
ფსიქიატრულის ფანჯრიდან
მგლებს რომ გაჰყმუოდა?
ვინ კვნესის ხევში?
ალვის ხე,
ქარი რომ არყევს,
თუ ქარი, ალვის ხეს
თეთრი კბილებით რომ ჩაჰფრენია?
მშვიდად სძინავს ახლა
ჩემს მკლავებში
თავისი სრული ქერათმიანობით
შემოდგომას,
რომელსაც გუშინ
ტახტი ჩამოვართვი.
არ ვიცი,
ორი თხილია თუ ორი კაკალი
შენი თვალები, მაგრამ ვიცი,
რომ გული მათ წინ
მიხტის
ციყვივით...

არაბულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ

ᲐᲑᲣᲚ ᲤᲐᲠᲐᲯᲘ

გრიგოლ იოან აბულ-ფარაჯ ჰარ-ებრეი — შუა საუკუნეების სირიული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი და მისი საყოველთაოდ აღიარებული კლასიკოსია. აბულ-ფარაჯის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დღემდე იპყრობს აღმოსავლეთმცოდნეების ყურადღებას, მისი საუკეთესო ნაწარმოებები ნათარგმნია ევროპულ და აღმოსავლეთის ხალხთა ენებზე.

იმ ეპოქაში, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აბულ-ფარაჯი, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში შემოიჭრნენ მონღოლთა ურდოები ჰულაგუ-ყაენის მეთაურობით. მათ დაიპყრეს მთელი წინა აზია და შეუერთეს იგი მონღოლეთის იმპერიას.

მონღოლთა ბატონობამ თავისი ბეჭედი დაასვა მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. ძველი, დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების ნაცვლად მოვიდა ახალი ურთიერთობები. ათასობით ადამიანი იყრებოდა შეჩვეული ადგილებიდან, სადაც ცხოვრობდნენ მათი მამები, პაპები, წინაპრები და მიემართებოდნენ სხვა ქვეყნებში თავშესაფრისა და ლუკმა-პურის საძებნელად.

ამ ხიფათიან დროში დაიწყო აბულ-ფარაჯმა თავისი ლიტერატურული, მეცნიერული და საზოგადოებრივი საქმიანობა.

იგი დაიბადა 1226 წელს ქალაქ მელიტენში (ამჟამად ქალაქი მალატია მდებარეობს თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე), ცნობილი ექიმის ოჯახში. ნათლობისას ბიჭს იოანე უწოდეს, შემდგომში კი, როდესაც ეპისკოპოსი გახდა — გრიგოლი. ამგვარად მისი სრული სახელია — გრიგოლ იოან აბულ-ფარაჯ ჰარ-ებრეი.

მშობლები შეეცადნენ ვაჟისთვის ფართე და ყოველმხრივი განათლება მიეცათ. ბავშვობაში იგი სირიულის გარდა არაბულსაც სწავლობდა. ამ ენის ცოდნა იმ დროში აუცილებელი იყო ყველა სწავლულისათვის, შემდგომში იგი გაეცნო სპარსულ, ბერძნულ, ძველებრაულ, მონღოლურ და სომხურ ენებს. ენების ცოდნა მისთვის ხელმისაწვდომს ხდიდა იმ დროისათვის აღმოსავლეთში არსებულ ფართო მეცნიერულ ლიტერატურას.

თავისი მამისა და სხვა ცნობილი ექიმების ხელმძღვანელობით აბულ-ფარაჯი გულმოდგინედ სწავლობდა მედიცინას. იგი ასევე მეცადინეობდა საღვთისმეტყველო მეცნიერებებში და ფილოსოფიაში.

1243 წელს მომავალი მწერლის მშობლიურ ქალაქს მიუახლოვდა ჰულაგუ-ყაენის ლაშქარი. დაიწყო პანიკური გაქცევა ქალაქიდან. აბულ-ფარაჯის ოჯახიც ვერ გაექცეოდა უსახლკარო ლტოლვილობის ხვედრს, რომ არა მამამისის საექიმო დიდება. იგი დაინიშნა ერთ-ერთი მონღოლი მხედართმთავრის კარის ექიმად და რამდენიმე თვის განმავლობაში განუყრელად თან ახლდა ყველა ლაშქრობაში. მაგრამ გარკვეული ხნის მერე აბულ-ფარაჯის ოჯახმა მოახერხა ქალაქ ანტიოქიაში გადასვლა, სადაც შედარებით უხიფათოდ იყვნენ. აქ აბულ-ფარაჯმა გააგრძელა განათლების მიღება, შემდგომში კი მონაზვნად აღიკვეცა.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ შუა საუკუნეების აღმოსავლეთში მონასტერი წარმოადგენდა საგანმანათლებლო ცენტრს, უძველეს ხელნაწერ კოლექციათა მფლობელ ფილოსოფოსთა, ისტორიკოსთა, გრამატიკოსთა, ბუნებისმეტყველთა თავშესაფარ ადგილს.

ანტიოქიის შემდგომ აბულ-ფარაჯს ვხვდებით ტრიპოლისში, სადაც იგი აგრძელებს მედიცინის და რიტორიკის შესწავლას.

1246 წლის ბოლოს მონასტრის ოცი წლის აღსაზრდელი იმდენად შთამბეჭდავ წარმატებებს აღწევს ყველა მეცნიერებაში, რომ ინიშნება გუბოხის (პატარა ქალაქი ქალაქ მალატეას ახლოს) ეპისკოპოსად. აქედან იწყება მისი სასულიერო კარიერა. აბულ-ფარაჯმა მიაღწია მონოფიზიტების (იაკობიანელების) მეთაურის მაღალ მდგომარეობას.

აბულ-ფარაჯი გარდაიცვალა სამოცი წლის ასაკში, 1286 წლის 30 ივლისს, ქალაქ მარაღში (დასავლეთ აზერბაიჯანი).

ამ დროისთვის აბულ-ფარაჯის, როგორც მწერლის, გრამატიკოსის, ექიმის, ასტრონომის, ფილოსოფოსის და ღვთისმეტყველის პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ მის დაკრძალვაში მონაწილეობდნენ არა მარტო ერთმორწმუნე იაკობიანელები, არამედ ნესტორიანელები, ბერძნები და სომხები.

დიდია აბულ-ფარაჯის ლიტერატურული მემკვიდრეობა. აბულ-ფარაჯის ძმის, ბარ-საუმის მიერ შედგენილ ნაწარმოებთა ნუსხა ითვლის ოცდათერთმეტ წიგნს, მაგრამ ეს სულაც არაა სრული ჩამონათვალი.

აბულ-ფარაჯის წიგნები გვაძლევენ საშუალებას, ვიმსჯელოთ მასზე, როგორც ჩინებულ მწერალზე და ენციკლოპედიური ცოდნის მქონე სწავლულზე. მაშინდელი საზოგადოებრივი ცნობიერების თითქმის ყველა მხარემ

ჰპოვა თავისებური ასახვა მის ნაწარმოებებში, რომლებიც იძლევიან უმდიდრეს მასალას ისტორიკოსთათვის, ფილოსოფოსთათვის, ლინგვისტთათვის თუ ეთნოგრაფთათვის. ეს შრომება გვეხმარება უკეთ გავიგოთ სირიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ჩვეულები და ადათები, სარწმუნოება, კულტურა და სოციალური ურთიერთობანი.

რაც შეეხება აბულ-ფარაჯის უდავოდ საუკეთესო ნაწარმოებს — „თავშესაქცევ ამბავთა წიგნს“, იგი არის მწერლის საბოლოო ნაწარმოები, რომელიც გვიხატავს ავტორს ახალი მხრიდან — როგორც ფოლკლორის დაუღალავ შემგროვებელს. მახვილი გამონათქვამის, მარილიანი ხუმრობის, აზრიანი იგავის, ლაკონური ანდაზის, მოკლე იუმორისტული და ჭკუისსასწავლებელი მოთხრობის მცოდნესა და დამფასებელს. იუმორის გრძნობა აბულ-ფარაჯის ორგანული თვისება იყო და ეს მჟღავნდებოდა ყველაზე მოულოდნელ გარემოებებშიც. თვითმხილველთა გადმოცემით, აბულ-ფარაჯი თვით სასიკვდილო სარეცელზეც კი არ იშლიდა ხუმრობას და გარსშემოკრებილ მოსწავლეებს სახალისო ამბების თხრობით ართობდა.

თავშესაქცევ ამბავთა წიგნი

დასაწყისი წინა ნომრებში

ბერძენ ფილოსოფოსთა სასარგებლო გამონათქვამები

62. შეხედე საკუთარ თავს!

ჰიპოკრატემ თქვა:

ჭკვიანი კაცისათვის სასარგებლოა დროდადრო სარკეში ჩაიხედოს; თუ მისი სახე ულამაზოა, დაე, უკეთური ქცევით მეტად ნუღარ გასვრის, ხოლო თუ სახე ლამაზია, დაე, ნუ შეურაცხყოფს მას უღირსი საქციელით.

63. ყველაზე კარგი სწავლება

— რომელი სწავლებაა ყველაზე უკეთესი? — ჰკითხეს ერთ ფილოსოფოსს.

— ის, რომელიც სძულთ სულელებს, — უპასუხა მან.

64. გაცვალეთ ადგილები

ქალაქში სეირნობისას ერთი ფილოსოფოსი შეხვდა ხელმოცარულ მხედართმთავარსა და უცოდინარ ექიმს. მაშინ ფილოსოფოსმა ურჩია ამ ქალაქის მკვიდრთ:

— კარგი იქნებოდა მათთვის ადგილები შეგეცვალათ. ჯარის სათავეში დააყენეთ ექიმი, — მას მკვლელობაში დიდი გამოცდილება აქვს, ქალაქის ექიმად კი, მხედართმთავარი დანიშნეთ, ის ძალიან ფრთხილია, როდესაც საქმე ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას ეხება.

65. ორი ხინჯი

პლატონმა თქვა:

ძალიან ცუდია უცოდინარი ადამიანი. მითუმეტეს, თუკი არ ცდილობს რაიმეს სწავლას. მასში ორი ნაკლია გაერთიანებული.

66. ვინ უფროა შეცოდების ღირსი

ვიღაცამ უთხრა სოკრატეს:

ძალიან მეცოდები, ასე ღარიბი რომ ხარ.

რომ შეგეძლოს იგრძნო სიცოცხლის ის სიხარული, რომელიც მხოლოდ ღარიბის ხვედრია და რომელსაც შენ მოკლებული ხარ, შეიცოდებდი საკუთარ თავს და არა მე, — უპასუხა ფილოსოფოსმა.

67. რამ შეიძლება დაამწუხროს იგი

სხვა კაცმა მასვე შენიშნა:

შენს ნაუბარს ხალხი ვერ იგებს.

ეს მე არც თუ ისე მაღელვებს, — უპასუხა სოკრატემ, — მაგრამ ძალიან მეწყინებოდა, თუ მეტყოდი, რომ ენაჩლუნგი ვარ.

თავი II
სპარსელ ბრძენთა სასარგებლო გამონათქვამები

68. ვინ ვის უფრო საჭიროებს

კიროსმა მისწერა ბრძენ ჰობურმუზდს:

„მმართველებმა რომ იცოდნენ, რაოდენ საჭიროებენ ბრძენ მრჩეველებს, ხოლო ბრძენებს ესმოდეთ, რაოდენ დამოუკიდებელნი არიან მმართველებისაგან, მაშინ გასაკვირი არ იქნებოდა, რომ მმართველები მუდამ აატალახებდნენ ბრძენთა კარებს. სიმართლე რომ ვთქვათ, მმართველები ხომ უფრო მეტად საჭიროებენ ბრძენებს, ვიდრე ბრძენები მმართველებს“.

69. გამარჯვება და „გამარჯვება“

ბოზუგრისმუმ* თქვა:

სჯობს დროებით დამარცხდე, რომ ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვო, ვიდრე გაიმარჯვო ისე, რომ, საბოლოო ჯამში, ამ გამარჯვებამ სამუდამო დამარცხებამდე მიგიყვანოს. ხომ იყო ასეთი შემთხვევა, როცა ვიღაც თავდაპირველად დამარცხდა, შემდეგ კი როგორც ტირანი, მეუფებდა ჩვენზე.

**** ბოზუგრისმუ — მრავალრიცხოვანი აფორიზმების და გამონათქვამების ლეგენდარული ავტორი. მას თვლიან VI საუკუნეში მცხოვრები სპარსეთის მეფის ხოსრეგან I ანუშირვანის ვეზირად.***

70. აურაცხელი სიმდიდრე

მასვე ჰკითხეს:

რომელ დაუფასებელ სიმდიდრეს უგულვებელყოფენ ადამიანები?

თავმდაბლობას, — უპასუხა მან.

71. ყველაფერს აქვს საზღვარი

მანვე თქვა:

მოთმინება შესანიშნავი თვისებაა, მაგრამ ცხოვრება ძალიან მოკლეა იმისთვის, რომ დიდხანს ითმინო.

72. ვისაც სიმართლე სჭულს

ბრძენს ჰკითხეს:

მართალია, რომ სიმართლის მთქმელი სძულთ?

მართალია, თუ ცილისმწამებლებს გულისხმობთ, — უპასუხა ბრძენმა.

73. ᲛᲐᲢᲧᲣᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲡᲣᲚᲔᲚᲘ

ერთმა ბრძენმა თქვა:

ყველას, ვინც კი ამბობს, რომ სიმდიდრე ეზიზღება, მატყუარად ვთვლი, სანამ არ წარმომიდგენს თავისი სიმართლის დამაჯერებელ მტკიცებებს, ხოლო როგორც კი დავრწმუნდები მისი სიტყვების ჭეშმარიტებაში, შემიძლია უყოყმანოდ განვაცხადო, რომ იგი სულელია.

74. ᲑᲔᲓᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲪᲕᲚᲘ

ერთ ბრძენს ჰკითხეს:

როგორ მოვიპოვოთ კარგი ცხოვრებისათვის საჭირო სახსარი?

მან უპასუხა:

თუ ასეთი რამ შენი ხვედრია, ნუ იჩქარებ, ის თვითონ მოვა შენთან; ხოლო თუ არაა შენი ხვედრი, — ნუ იწვალებ, მაინც ვერ მიიღებ მას.

75. ᲗᲣ ᲡᲣᲚᲔᲚᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲡ ᲣᲖᲐᲛ

ერთმა ბრძენმა თქვა:

ის, ვინც სიკეთეს უკეთებს სულელს, ემსგავსება კაცს, რომელიც თვალმარგალიტით რთავს ღორს, ან რომელიც თაფლს ასმევს შხამიან გველს.

76. ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲔᲚᲘ

ერთმა ბრძენმა თქვა:

ჭკვიანი ადამიანი არსობის პურის ძიებაში მზადაა შორეულ მხარეში გაემგზავროს, სულელი კი საზრდოს მხოლოდ იმ ადგილზე ეძიებს, სადაც მშობელმა გააჩინა.

77. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ

ერთმა ბრძენმა თქვა:

ის, ვისაც ჰყოფნის ძალა ნებისა და გონიერებისა შეასრულოს კანონის მოთხოვნები*, საბოლოო ჯამში უფრო გაძლიერდება; ხოლო ის, ვინც ძალას ამჟღავნებს კანონის დარღვევასა და უზნეო ქცევებში, საბოლოო ჯამში დაკარგავს მას.

***— სჩანს, ღვთიური კანონი იგულისხმება.**

78. ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲥᲐᲗᲘᲜᲐᲣᲠᲘ

ერთხელ ანუშირვან მეფემ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც იკრძალებოდა იმ კერძების ჭამა, რომლებსაც თვითონ მიირთმევდა და ისეთი სასმელების სმა, რომელსაც თავად სვამდა.

ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ, ერთი მაღალი ჩინის პირმა მოამზადა სამეფო კერძი და სატრაპეზოდ სხვა მაღალჩინოსანი მიიპატიჟა. სადილის შემდეგ სტუმარმა მეფეს მისწერა დასმენის წერილი, რომელსაც ასე ამთავრებდა: „მე თავად ვიხილე ყოველივე და არ შემიძლია თქვენგან დავფარო“.

მაბეზღარამ ანუშირვანისგან პასუხად შემდეგი წერილი მიიღო: „ჩვენ ვაქებთ შენს ერთგულ ქვეშევრდომულ გრძნობებს და მკაცრად ვკიცხავთ ბრძანების დამრღვევს, განსაკუთრებით იმისათვის, რომ საიდუმლოს შენახვა არ შეუძლია და ანდობს ისეთ კაცს, როგორიც შენა ხარ“.

79. ᲕᲘᲜᲐᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ

ერთხელ მეფე ხოსრევანს ჰკითხეს:

შენი ვაჟებიდან რომელი უფრო გიყვარს?

მან უპასუხა:

ის, რომელსაც უყვარს დისციპლინა, ეშინია სახელის გატეხვის და მუდმივად ესწრაფვის საზოგადოებაში უფრო მაღალი მდგომარეობის დაკავებას.

80. ᲐᲠᲐ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ

ბოზუგრისმუმ თქვა:

ჩვენი საზოგადოების უბედურება იმაშია, რომ იგი ადამიანს დამსახურებისამებრ არ აჯილდოებს. აძლევს მას ან გაცილებით მეტს, ვიდრე ეკუთვნის, ან ბევრად ნაკლებს — ვიდრე იმსახურებს.

81. ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲠᲘᲡᲮᲕᲐ

მეფე არტაშირმა შენიშნა: „მეფეთა რისხვის თანამდევი უნდა იყოს მიმტევებლობა იმათ მიმართ, ვინც ეს რისხვა გამოიწვია და არა ულმობელობა“.

82. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მეფე არტაშირმა თქვა:

რელიგია ქვეყნიერების საძირკველია, მმართველი კი — მისი დამცველი. ნაგებობა მტკიცე საძირკვლის გარეშე მალე ირღვევა, ხოლო დაუცველ სახლს გაძარცვის საშიშროება ემუქრება.

83. ᲡᲐᲛᲘ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔ ᲐᲗᲐᲡ ᲓᲘᲜᲐᲠᲐᲓ

ამბობენ, რომ ერთხელ ხოსრევანის მეფობისას ერთი ადამიანი დადიოდა ქუჩებში და გაჰყვიროდა:

ვის სურს შეიძინოს სამი სიბრძნე ათას დინარად? მობრძანდით, შეიძინეთ!

მეფემ ეს რომ გაიგონა, მოაყვანინა ის კაცი და ჰკითხა:

რა არის ეგ სიბრძნე?

დაალაგე დინარები და მაშინ მოისმენ, — უპასუხა ბრძენმა.

როდესაც დინარები მოიტანეს, მან დაიწყო:

პირველი სიბრძნე ასეთია: „შენს სამეფოში არ არსებობს არცერთი ნამდვილად წესიერი ადამიანი“.

მეორე სიბრძნე ამბობს: „თუმცა ყველა კაცი ასეთია, მაგრამ შესაძლებელია მათ თავი აარიდო და შენთვის იცხოვრო“.

მესამე სიბრძნე გამომდინარეობს წინა ორიდან: „მეფემ უნდა იცოდეს ადამიანებში არსებული ბოროტების ზომა, რომ მეტ-ნაკლებად განერიდოს მათ“.

მეფეს მოწონა ბრძენის ნათქვამი. შეაქო იგი და ბრძანა მიეცათ მომზადებული დინარები, მაგრამ მან უარი განაცხადა.

მაშინ რატომღა ახსენებდი ფულს ასე დაჟინებით და ისიც კი ითხოვე, წინასწარ მოგვემზადებინა? — გაუკვირდა მეფეს.

მინდოდა შემემოწმებინა, კიდევ თუ მოიძებნებოდა ჩვენს ქვეყანაში ერთი კაცი მაინც, სიბრძნისთვის ოქროს რომ გაიღებდა, — უპასუხა ფილოსოფოსმა.

რუსულიდან თარგმნა გიორგი ნატროშვილმა

ნანი-85

ქალბატონი ნანის ბრეგვაძის მუსიკალური ცხოვრება საყოველთაოდაა ცნობილი. ჩვენ ამ ბლიც ინტერვიუში შევეცადეთ ისეთი კითხვები დაგვესვა, რომელიც მას უფრა სხვა მხრიდან დაგვანახებდა:

1. რას ნიშნავს თქვენთვის თბილისი?

– თბილისი ჩემი სახლია, აქ ცხოვრობენ ჩემი საუკეთესო მეგობრები, მათ გარეშე ვერ წარმომიდგენია ცხოვრება.

2. თქვენი საყვარელი მწერალი?

– ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი.

3. ისტორიული გმირი?

– დავით აღმაშენებელი.

4. გამორჩეული მხატვარი?

– ქართველი საუკეთესო მხატვრები.

5. რომელი კუთხის სამზარეულო გიყვართ?

– საქართველოს ყველა კუთხის

6. სასმელი?

– წითელი ღვინო ხვანჭკარა.

7 თქვენი საყვარელი კინო რეჟისორი?

– ძმები ელდარ და გიორგი შენგელაიები, რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, გიგა ლორთქიფანიძე, მერაბ კოკოჩაშვილი ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

8. სპორტის რომელი სახეობა გიტაცებთ?

– ტანვარჯიში.

9 განსაკუთრებით რომელი დღესასწაული გიყვართ?

– ახალი წელი და აღდგომა.

10.მთა თუ ზღვა?

– განსაკუთრებით მხიბლავს მთის ბუნება.

11.თქვენი ჰობი?

– სიმღერა.

12.ნატვრის თვალი რომ გქონდეთ რას ინატრებდით?

– გამარჯვებული იყოს ჩემი ქვეყანა. საუკეთესო პირობები, სიმშვიდე და სიყვარული სუფევდეს.

13.დედოფლის წყაროს მწიგნობართა ასოციაციის და საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ მიერ მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად საუკუნის ლეგენდად დაგასახელეს, 2015 წლის 25 მარტს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა დაჯი ლდოების ცერემონიალი ოპერის წამყვანი სოლისტების მონაწილეობით ალბათ ეს დღე გემახსოვრებათ?

– აღფრთოვანებული დავრჩით მე და ჩემი მეგობრები ამ ღონისძიებით კვლავაც ასე გააგრძელეთ თქვენ ქართულ საქმეს აკეთებთ

ქალბატონო ნანი, დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტის სახელით გილოცავთ სახელოვან იუბილეს, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას გისურვებთ, დიდხანს ისმოდეს თქვენი სიმღერა მრავალ ქვეყანაში.

– უღრმესი მადლობა, ძალიან მიყვარხართ მე საერთოდ ადამიანები მიყვარს.

– ქალბატონო ნანი დიდი მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის.

ესაუბრა

დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი –

ნანა ჭიჭინაძე.

ნანა ჭიჭინაძე

ვაჟა აზარაშვილი - 85

სიმღერაა მთელი ჩემი ქონება

საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატე (პირველი პრემია), კონსერვატორიის პროფესორი, თბილისის, ბორჯომის, სიღნაღის და სხვა ქალაქების საპატიო მოქალაქე კომპოზიტორი ვაჟა შალვას ძე აზარაშვილი 1936 წლის 13 ივლისს თბილისში მოსამსახურის ოჯახში დაიბადა.

მან შექმნა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები: ბალეტი „ხევისბერი“ დაიდგა ქუთაისის საოპერო თეატრში (1982წ.). შვიდი ოპერეტა: 1969 წელი – „IX ტალღა“, 1973 წელი – „შვიდნი ძმანი გურჯანელნი“, 1975 წელი – „ბიჭუნა“, 1982 წელი – „ცეკვის მასწავლებელი“, 1983 წელი – „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, 1985 წელი – „კახელები ბამზე“, 1995 წელი – მიუზიკლი „მეჩექმე გაბო“. სამი სიმფონია. კონცერტები: სამი სავიოლინო კონცერტი, ჩელოს, ალფას, ფლეიტის, საყვირის, საფორტეპიანო ორკესტრთან ერთად. საორკესტრო ნაწარმოებები: საზეიმო უვერტიურა, ნოქტურნი, ნოსტალგია, ელეგია, რომელიც მიეძღვნა 9 აპრილს დაღუპულ ქართველებს, რეტრო ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. საკვარტეტო ციკლები: „მშობლიური მხარის სურათები“, „ძველი თბილისის სურათები“, „ორი სიმებიანი კვარტეტი“, „საფორტეპიანო კვარტეტი“, „საფორტეპიანო ტრიო“, სონატები სხვადასხვა საკრავებისთვის. პიესები ფორტეპიანოსთვის ოთხ ხელში, პიესები ორი ფორტეპიანოსთვის და მრავალი სხვა. ვოკალური ციკლები: შოთა ნიშნიანიძის, იოსებ გრიშაშვილის, თეოდორ ტიუტჩევის, ნიზამი განჯელის, ანა კალანდაძის, მანანა დანგაძის, ტარიელ ჭანტურიას ლექსებზე. მუსიკა ფილმებისათვის: მათ შორის „მზე შემოდგომისა“ და მხატვრულ-დოკუმენტური ფილმისთვის „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“. მუსიკა სხვადასხვა თეატრის სპექტაკლებისთვის: მარჯანიშვილის, გრიბოედოვის, ქართული და რუსული მოზარდ მაყურებელთა, ქართული და რუსული თოჯინების თეატრის, ქუთაისის ლადო მესხიშვილის, ახალციხის, გორის თეატრებისათვის და სხვა.

საესტრადო სიმღერები: „დინამო“, „მუსიკა“, „ხევსურული ბალადა“, „ისევ წვიმს“, „დღეები მიდიან“, „პატარა გოგო“, „გზები-გზები“, „დამშრალ ნაკადულს“, „მზე ჩემი მეგობარია“, „დრო სათაყვანო“, „მაშ გამარჯვება“, „დაუბერებელი ტანგო“, „სუბსარქისის ქარი“, „მასწავლე“, „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“ და მრავალი სხვა.

წლების განმავლობაში ბატონი ვაჟა იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე. 2011 წელს გაუხსნეს ვარსკვლავი, მაგრამ, როგორც თავად ამბობს ყველაზე დიდ ჯილდოდ ხალხის სიყვარული მიაჩნია, რომელსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობს.

კომპოზიტორის შესახებ კომენტარი ვთხოვე ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებს და სხვადასხვა სფეროს ცნობილ ადამიანებს:

მედეა ამირანაშვილი – ბატონი ვაჟა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ქართველ კომპოზიტორთა პლეადისა. ქართველმა და არა მარტო ქართველმა შეიყვარა მისი მუსიკა. მთელი გულით და დიდი სიყვარულით. ვულოცავ ამ საიუბილეო წელს და ვუსურვებ ბევრი ახალი ნაწარმოები შეექმნას, რომ კვლავაც გაახაროს თავისი ერთგული მსმენელი.

ნანი ბრეგვაძე – ვაჟა და მე ერთ კურსზე ვსწავლობდით კონსერვატორიაში. იგი ჩემთვის წერდა სიმღერებს. მიხარია რომ მთელი ახალგაზრდობა მის სიმღერებს „ისევ წვიმს“, „დღეები მიდიან“, „გზები, გზები“, „ხევსურული ბალადა“, „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“ და სხვა ვმღეროდი. ვაჟას შემოქმედება მთელი ეპოქაა. მის სიმღერებს არა მხოლოდ XXI საუკუნეში იმღერებენ...

ბასა ფოცხიშვილი – ბატონი ვაჟა საოცარი კომპოზიტორია, არაჩვეულებრივი პიროვნება; განსაკუთრებით მიყვარს მისი სიმღერები. ჩემთვის ბედნიერებაა, რომ იგი

მამაჩემის და ჩვენი ოჯახის დიდი მეგობარი იყო. ბავშვობიდან მახსოვს როგორ მუშაობდნენ მამა და ვაჟა ერთად. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ როცა რაიმე პროექტს ვაკეთებ, ვაჟას სიმღერებში ვეძებ რომელი ჩავრთო ჩემს შემოქმედებაში...

ერთად გვირბენია,
ერთად გვიკრეფია
ია, ენძელა და შროშანი.
ახლა ყველაფერი
შორს არის, შორს არის, შორს არის.

ბატონ ვაჟას ვუსურვებ ჯანმრთელობას, რომ კვლავ საოცარი სიმღერები შექმნას.

მაცაცო სებისკვერაძე – ცნობილი კომპოზიტორების ანდრია ბალანჩივაძის, შალვა მშველიძის, ოთარ თაქთაქიშვილის, სულხან ცინცაძის, რევაზ ლაღიძის, ბიძინა კვერნაძის, გოგი ცაბაძის და სხვების გზას აგრძელებს იგი. ვაჟა ძალიან პატივსაცემი ადამიანია და საუკეთესო მეგობარია. უამრავი ჯილდოს მფლობელი, მისი შემოქმედება მრავალფეროვანია, საოცრად კარგი სიმღერების ავტორია. შეიძლება მსმენელების უმრავლესობამ მისი საფორტეპიანო და სიმფონიური ნაწარმოებები არ იცოდეს, მაგრამ „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“ და „ხევსურული ბალადა“ ნანი ბრეგვაძის შესრულებით „ორერასთან“ ერთად ყველამ იცის. ერთ ინტერვიუში ვაჟას დახასიათებისას აღვნიშნე, რომ მას მელოდიების ფართო და ზღვასავით ულევი სკივრი აქვს მეთქი, რის შემდეგაც, ხუმრობით, სკივრიანი შემარქვა!

ნუნუ დულაშვილი – ვაჟა ჩემი ძმა და მეგობარია, მან შექმნა მრავალმხრივი ჟანრის ნაწარმოებები. ამის ჩამოთვლა შეუძლებელია და შორს წაგვიყვანს.

ლელა ლაღიძე – ვულოცავ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს უსაყვარლეს და უნიჭიერეს ბატონ ვაჟას. მის სიმღერებს მთელი საქართველო მღერის და მუდამ იმღერებს. ერთნაირად ძვირფასია ყველა ქართველისათვის. მე მეამაყება, რომ იგი მამაჩემის კოლეგა და უახლოესი მეგობარი იყო.

თამარ ლიჩელი – პიანისტი: მისი ძალიან ბევრი ნაწარმოები მაქვს შესრულებული, როგორც სოლო საფორტეპიანო, ასევე კამერული. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, ძალიან ბედნიერი ვარ იმ ფაქტით, რომ ვარ მისი საფორტეპიანო კვინტეტის პირველი შემსრულებელი. ჩემი აზრით ეს ნაწარმოები არის ერთ-ერთი საუკეთესო ქართულ კამერულ მუსიკაში. ძალიან დიდი სიყვარულით მინდა მივულოცო ბატონ ვაჟას 85 წლის იუბილე და ჩემი და საქართველოს სახელით მადლობა გადავუხადო მისი შემოქმედებისათვის.

გიორგი შავერზაშვილი – საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე: საქართველო ბედნიერია რომ ასეთი შვილები ჰყავს. ვულოცავ ბატონ ვაჟას ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებ მრავალ წელს კვლავ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას. როგორც მთელი საქართველოს გამორჩეული კომპოზიტორი ყველასათვის საყვარელი ადამიანია. მის სიმღერებს კარგად იცნობენ და ასრულებენ ცნობილი მომღერლები და მომავალშიც შეასრულებენ. მისი შემოქმედება გამორჩეულია ქართველ კომპოზიტორთა შორის. მისი ნაწარმოებები სრულდება ამერიკაში, იაპონიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, რუსეთში, პოლონეთში და ბევრ ევროპულ ქვეყანაში. მე ძალიან ვამაყობ, რომ მისი თანამედროვე ვარ და მასთან, როგორც უფროს მეგობართან, შემოქმედებითი ურთიერთობა მაკავშირებს. მრავალჟამიერ! მრავალჟამიერ! მრავალჟამიერ! ბატონ ვაჟას.

თამარ მოძღვრიშვილი – საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი 2015 წლის „საუკუნის ლეგენდის“ ნომინანტი, „მოდებაძე და კომპანიის“ მმართველი: ვაჟა აზარაშვილი ქართველი კომპოზიტორების სიმბოლოა. მისი სიმღერების უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთნაირი წარმატებით ასრულებს როგორც სევდიან, ისე მხიარულ, სიმღერებს. მისი სიმღერის დროს ხმის საოცარ სურნელს ვგრძნობ. იგი შეუდარებელი, განუმეორებელი და უაღრესად თბილი ადამიანია.

ინგა შიოლაშვილი – გაზეთ „შირაქის“ მთავარი რედაქტორი: ვაჟა აზარაშვილს პირადი შეხება აქვს დედოფლისწყაროსთან. ის ხშირი სტუმარი იყო „ფიროსმანობის“ სახალხო დღესასწაულზე სოფელ მირზაანში. როგორც გენიალური კომპოზიტორი თავად აღნიშნავს, მას ძალიან უყვარს დედოფლისწყარო, რადგან აქ დაიბადა დღეს უკვე მსოფლიოში აღიარებული მხატვარი ნიკო ფიროსმანი. ვაჟა აზარაშვილი მთელს საქართველოში გამორჩეული, საყვარელი კომპოზიტორია, დედოფლისწყაროელები კარგად იცნობენ, როგორც მას, ასევე მისი უმშვენიერესი მეუღლის პოეტ მანანა დანგაძის შემოქმედებას.

სულითა და გულით ვულოცავ ბატონ ვაჟას საიუბილეო თარიღს და კვლავაც შემოქმედებით წარმატებებს, ჯანმრთელ და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ დედოფლისწყაროელების სახელით.

ამირან ქისტაური – საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი ნომინაციაში „გამორჩეული ადამიანი“. მიკრო ავტობუსის პროფესიონალი მძღოლი: ბატონ ვაჟა აზარაშვილზე, მის შემოქმედებაზე, საუბარი ჩემთვის სასიამოვნო და ამავე დროს საპასუხისმგებლო საქმეა. ბედნიერება მხვდა წილად მის საფორტეპიანო მუსიკის კონცერტს დავსწრებოდი დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში. თამარ ლიჩელმა არაერთი ნაწარმოები შეასრულა საყვარელი კომპოზიტორის რეპერტუარიდან. თითოეულ ნომერს ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოვებდა მსმენელი. მოგვიანებით, მსმენელის დაჟინებული თხოვნით, თავად ვაჟამ პოპულარული ქართული სიმღერები შეასრულა. მათ შორის „დინამო, დინამო“ და მასთან ერთად მღეროდა მთელი დარბაზი. მე ხშირად მიწევს ინტელიგენციის წარმომადგენლებთან

და უბრალო ადამიანებთან კონტაქტი. მგზავრობის დროს ყველაზე მოთხოვნადი ვაჟა აზარაშვილის სიმღერებია; ჩვენი საუკუნე მდიდარია საშემსრულებლო ტალანტებით, მაგრამ მათ შორის ბატონი ვაჟა შეუდარებელია; დიდხანს ესმოდეს მისი ხმა ქართველ მსმენელს.

მერაბ რობიტაშვილი – საქართველოს მასშტაბით 2014 წელს გამოვლენილი მეტრის ნომინანტი. დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის წევრი: ვაჟას უყვარს თავისი მსმენელი, მსმენელს უყვარს ვაჟა – ის აქ არის! მის საიუბილეო თარიღს მივესალმები ირაკლი აბაშიძის სტრიქონებით: „მხოლოდ დიდება თქვენს გზა სავალზე, მხოლოდ დიდება დაგბედებოდეთ“.

ვანო ნატროშვილი – დედოფლისწყაროს სამედიცინო კლინიკის აღმასრულებელი მენეჯერი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარე: ბატონი ვაჟა არის ჩვენი მწიგნობართა ასოციაციის წევრი. გამგეობის წევრებთან და საზოგადოება „ამაგდართან“ ერთად მრავალმხრივ პროექტებს ვახორციელებთ დედაქალაქში. 2014 წლიდან დღემდე ოცზე მეტი ღონისძიება გვაქვს ჩატარებული საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში, თუმანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში, მწერალთა სახლის სარკეებიან დარბაზში და სხვა. ამ ღონისძიებებზე ყოველთვის ესწრება ბატონი ვაჟა, გარდა იმისა რომ დიდი კომპოზიტორია, უაღრესად გულისხმიერი ადამიანია, რისთვისაც დიდ მადლობას გადავუხდით მას. მწიგნობართა ასოციაციის სახელით ბატონ ვაჟას ვულოცავთ საიუბილეო თარიღს და იმ ბედნიერ დღეს, 13 ივლისს, დავლოცავ თქვენ რომ მოევლინეთ ამ ქვეყანას, იდღეგრძელეთ მრავალჟამიერ.

კახა ცაბაძე – კომპოზიტორი: ვაჟა აზარაშვილი ცოცხალი კლასიკოსია, კომპოზიტორი, რომელმაც შექმნა ბევრი საეტაპო ნაწარმოები ქართულ მუსიკაში. ანდრია ბალანჩივაძის მოსწავლე ვიყავი. იგი ყოველთვის ამბობდა, როგორ შეუძლია ერთი და იგივე კომპოზიტორს დაწეროს „დინამო“ და კონცერტი ჩელოსთვის. ეს სიტყვები იმის დასტურია, რომ ბატონი ვაჟა მრავალმხრივი ნიჭით არის დაჯილდოვებული. მას რეგალიები არ სჭირდება, ეს ყველაფრის მთქმელია.

ქეთევან თავშავაძე – მევიოლინე: ქართველი კლასიკოსი, არაჩვეულებრივი პიროვნება, დიდი მეგობარი. დიდი სიამოვნებაა მისი ნაწარმოებების შესრულება. ნაწარმოები, რომელიც გულიდან ამოსული ჰანგებია. დიდი მადლობა, რომ გვეძლევა საშუალება შევასრულოთ თქვენი შედევრები.

მარინე მაჭავარიანი-ანჯაფარიძე – რაინდული სულის შემოქმედი, ბატონი ვაჟა – სიკეთით, ადამიანურობით, რაინდობითი შემართებითა თუ თანადგომისათვის მუდმივი მზაობით მთელი არსებით ქართულ მუსიკალურ სივრცეში ცხოვრობს. ამიტომაც ასე ბუნებრივად და უშუალოდ იღვრება ნიჭი, არაჩვეულებრივი ნიჭი. ვაჟა არის ლაღი და შინაგანად თავისუფალი, უაღრესად კოლორიტული და ყველასთვის საყვარელი პიროვნება, როგორც დიდი ზურაბ ანჯაფარიძესათვის, ასევე სრულიად საქართველოსათვის. ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ფონდი დიდი მოწიწებით ვულოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

პირადად მე ერთ მნიშვნელოვან ამბავს გავიხსენებ. გასული საუკუნის 70-80-იანი წლებია. პარტიის რაიკომიდან, სადაც მე რაიკომის პირველი მდივნის პირადი მდივანი ვიყავი გადამიყვანეს სოფლის მეურნეობის დარგის პროფკავშირების რაიონულ საბჭოში ინსტრუქტორად. მთელი თვე ვტიროდი, არ ვიცნობდი ამ სფეროს. მერე დედამ დამამშვიდა და მითხრა: ზარის წკრიალზე როდემდე უნდა გერბინა?! მაგ ახალ სამსახურში შენი თავი იპოვეო! მართლაც ძალიან კარგი ხელმძღვანელობა გვყავდა. საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ჯერ ვასილ კავაძე იყო, შემდეგ რობერტ ურჯუმელაშვილი, რომლებიც დიდად აფასებდნენ ჩვენი რაიონული საბჭოს მუშაობას. ყველა კოლმეურნეობაში იყო განთავსებული განთავისუფლებული პროფკომიტეტის თავმჯდომარის შტატი. რაიონის კოლმეურნეობის თავმჯდომარეები მოსავალს რომ დააბინავებდნენ, კულტურის სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში იწვევდნენ ხელოვნების ცნობილ მუშაკებს. იმ პერიოდში ფილარმონია იყო ახლანდელი დავით აღმაშენებელის გამზირზე და მისი დირექტორი იყო მერაბ დონაძე, ხოლო მისი უახლოესი მეგობარი ვაჟა აზარაშვილი. მე მათი რეპერტუარი მოვისმინე კომპოზიტორთა სახლის საკონცერტო დარბაზში და აღფრთოვანებული დავრჩი. რაიონის კოლმეურნეობების პროფკავშირების თავმჯდომარეებს: ლევან ქავთარაძეს, არსენ ბუჩუკურს, გივი ბიკაშვილს, ოთარ გონაშვილს, თამაზ ზურაშვილს და სხვებს ვურჩიე მოეწვიათ მერაბ დონაძე და ბატონი ვაჟა. მართლაც, მათ თითქმის ყველა სოფელში ჩაატარეს კონცერტები, რომლის შემდეგ იმართებოდა ბანკეტი. ვაჟა არაჩვეულებრივი თამადა გახლდათ, იუმორით სავსე, მართლაც, რომ მისი გონება და სიმდიდრე ის სკივრია, როგორც მისმა კოლეგამ, მაცაცომ, აღნიშნა, რომელიც სავსეა ქართული მელოდიებით.. წერილს დავამთავრებთ პოეტ ნანა საბანაძის ლექსით, რომელიც პოეტმა ექსპრომტად მიუძღვნა ვაჟა აზარაშვილს მის შემოქმედებით საღამოზე:

ვაჟა აზარაშვილს

დაფარფატებენ თეთრ კლავიშზე თეთრი პეპლები.
მზე შემოდგომის სადაცაა უკვე ინათებს,
წამოიმართნენ ბუმბერაზი ძველი კერპები
და თავებს ხრიან მოკრძალებით ვაჟას წინაშე.
ქართულ მუსიკას წერს ქართველი ქართული ნიჭით,
ადიდებს ერსა, სამშობლოს თუ ბუნების მგოსანს;
კომპოზიტორო, თეთრ მწვერვალზე ამხედრებულო,
შენ საქართველოს სიყვარულის მანტია გმოსავს!

ნანა ჯიჯინაძე

ნოდარ მამისაშვილი - 90

ნოდარ მამისაშვილი – კომპოზიტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი 1930 წლის 15 დეკემბერს დაიბადა თბილისში.

1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიციო ფაკულტეტი. იგი გახლდათ თბილისის მეოთხე (1955-1963) და პირველი (1963-1972) მუსიკალური სასწავლებლების მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის პედაგოგი. იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის პედაგოგი, დოცენტი (1995 წლიდან), ბგერითი ეკოლოგიის ცენტრის მთავარი კოორდინატორი (1996 წლიდან), საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და მრჩეველი (1997 წლიდან), ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი და პრეზიდიუმის წევრი, კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი, სასულიერო აკადემიის ლექტორი. ავტორი მუსიკალური ნაწარმოებებისა: საბავშვო ოპერა „ბაქია ბაჭია“, „შვიდი სიმფონია“, ოთხი საფორტეპიანო კონცერტი, საგუნდო ორატორიები და ციკლები, პიესები ორკესტრისათვის, ორღანისთვის, ფორტეპიანოსთვის და სხვა. შექმნილი აქვს მუსიკა სპექტაკლებისა და კინოფილმებისათვის. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის „სამფაზიანი კომპოზიციის მუსიკალური სისტემა, ასისტრია – ანუ სიცოცხლის ჰარმონია“, „ბგერითი ველის თეორია“ და სხვა. ავტორი საინჟინრო გამოგონებებისა: სიმფონიკური აპარატი, რეგულირებადი წყლის გამაცხელებელი, თერმო-სტიმულატორი, ანოდურ-კათოდური დამუხტვის აპარატი, პროფილირებული კომპიუტერი „ნონა“ და სხვა.

სამების საკათედრო ტაძრისთვის შექმნა ზარების მელოდიური წყობა და 9 ზარი ქართული გალობის ჰარმონიაზე.

მისი ბიოგრაფია შესულია მუსიკის დიდ ენციკლოპედიაში (გერმანია); მუსიკისა და მუსიკოსების შესახებ ენციკლოპედიურ ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში“ (ინგლისი).

მისი ჰობია ინჟინერია. მისი გამოთვლით ჩამოსხმული 9 ზარის „მელოდია“ და ტონების ჰარმონია წმინდა სამების სამრეკლოში ბატონ ნოდარ მამისაშვილისათვის არის საქართველოს მომავალ სიახლეთა სიმბოლო.

ნოდარ მამისაშვილის შესახებ კომენტარი ვთხოვე ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს:

თემურ ჩალაბაშვილი – პოეტი: ბატონი ნოდარი გახლავთ ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი სულით ხორცამდე ქართველი კომპოზიტორი, მისით მარად იამაყებს საქართველო.

ვაჟა აზარაშვილი – კომპოზიტორი: ნოდარ მამისაშვილი, ნუგზარ ვაწაძე და მე თბილისის მეოთხე მუსიკალურ სასწავლებელში ერთად ვიყავით, აქედან დავახლოვდით, შემდეგ კონსერვატორიის სტუდენტები გავხდით. ნოდარმა დაწერა საბავშვო ოპერა „ბაქია ბაჭია“, რასაც დიდი წრმატება ხვდა წილად. მისი შემოქმედება გამორჩეულია, ნოვატორია, ქართულ მხატვრულ და დოკუმენ-

ტურ ფილმებში ჟღერს მისი მუსიკა. მან დაუწერა გიული ჩოხელს სომღერა „მინდა ვაკოცო ღიმილს“, რომელიც დღესაც ძალიან პოპულარულია. ვულოცავ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას.

მერაბ კოკოჩაშვილი – კინორეჟისორი: ძალიან დიდი ხანი ვთანამშრომლობ მასთან. არის შესანიშნავი კომპოზიტორი, მისი ნაწარმოებები მთელს მსოფლიოში სრულდება, მათ შორის ევროპის ბევრ ცნობილ ქალაქში. მან ზუსტად აუღო ალღო კინომუსიკას. ჩემთვის უაღრესად ახლო შემოქმედი და მეგობარია, რომლის გარეშე ფილმი თითქმის არ გადამიღია.

მაცაცო სებისკვერაძე – კომპოზიტორი: ის არის უნიჭიერესი კომპოზიტორი, თავისი სამშობლოს სიყვარულით გამორჩეული ადამიანი, ჩემთვის ძალიან პატივსაცემი უძლიერესი პიროვნებაა...

ნუნუ ღუღაშვილი – კომპოზიტორი: ნოდარ მამისაშვილი არის გამორჩეული პიროვნება. მამამისი იყო ძველი თაობის ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი – ეკონომისტი, თავის დარგში უმნიშვნელოვანესი ლიტერატურა დატოვა. ამრიგად ნოდარისგან ჩამოყალიბდა ძალიან ღრმად მოაზროვნე ჯერ ადამიანი, შემდეგ მუსიკოსი. მას ეკუთვნის ძალიან ბევრი საინტერესო აღმოჩენა მუსიკის დარგში. ნოდარი, როგორც პიროვნება, იშვიათი მეგობარია. თანამდგომი, არათუ ძალიან გაჭირვებულისა, არამედ იმ ადამიანისა, თუნდაც სულ მცირე წინააღმდეგობებს, რომ განიცდის. იგი გასაფრთხილებელია, დასაფასებელია და პატივსაცემია. ვუსურვებ ყოველივე კარგს მის პირად ცხოვრებაში და საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ელდერ შენგელაია – კინორეჟისორი: დიდი ქართველი, დიდი ადამიანი, დიდი კომპოზიტორი.

თემურ ჩხეიძე – რეჟისორი: დიდი კომპოზიტორია, რაც მთავარია მრავალმხრივია მისი შემოქმედება. მის ნაწარმოებებს აღტაცებაში მოვყავართ.

მაყვალა ხორბალაძე – კომპოზიტორი: იგი არის ქართველი ხალხის საყვარელი კომპოზიტორი, რომლის შემოქმედებაც საუკუნეებს გაუძლებს და ყველა დროში ახლებურად იჟღერებს.

ნანა ბროკელი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი: ჩემი უსაყვარლესი კინორეჟისორის, საუკუნის ადამიანის ნომინანტის, მერაბ კოკოჩაშვილის ქართულ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს ფონად გასდევს ნოდარ მამისაშვილის მუსიკა, მათი ტანდემი ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული კინოს ისტორიაში.

ქეთი გაბისიანი – კომპოზიტორი (ვ.ი.ა. „მზიურის“ მეორე თაობის წევრი, იმედის არხის სატელევიზიო პროექტ „ავტოგრაფის“ პროდიუსერი):

კონსერვატორიაში მაგისტრატურაზე მისაღებ გამოცდას რომ ვაბარებდი, ჟიურის ყველა წევრმა დადებითი შეფასება მომცა, როდესაც აუდიტორიიდან უნდა გამოვსულიყავი ნოდარ მამისაშვილმა დამიძახა და მითხრა: ქეთი გაბისიანო, შენ არა ხარ ნიჭიერი; ფეხები მომეკვეთა, – ქეთი, შენ ხარ უნიჭიერესი! ეს ბედნიერი წამები არასოდეს დამავიწყდება. ჩემთვის ბატონი ნოდარი ერთ-ერთი უსაყვარლესი პიროვნებაა.

ბატონი ნოდარის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის წევრს **მადონა გიგოლაშვილს:** სიცოცხლის მიზანი ეს არის იცოცხლო ისე, რომ სიკვდილის შემდეგაც არ მოკვდე.

ბატონ ნოდარ მამისაშვლი უდიდესი ქართველი კომპოზიტორია, მას შექმნილი აქვს მუსიკა, სპექტაკლებისა და კინოფილმებისათვის. მინდა ავღნიშნო რომ სამების ტაძრის ცხრა ზარის კომპოზიცია, მათი რეზონანსი და ტონთა სიხშირე კომპოზიტორ ნოდარ მამისაშვილის აკუსტიკური სისტემითაა გათვლილი. იგი ავტორია სამეცნიერო ნაშრომების, მიღებული აქვს უამრავი ჯილდო და პრიზები. ნათქვამია:

„ბევრი ცოცხალი არსებაა ფრიად ძლიერი, მაგრამ ყველაზე ძლიერია ადამიანი.“

„ყველაფერი ცვდება გარდა სიბრძნისა და სათნოებისა,“ ზუსტად ეს სიტყვები მიესადაგება ბატონ ნოდარ მამისაშვილს.

იგი არა მარტო კომპოზიტორია, არამედ დაჯილდოვებულია მრავალმხრივი ნიჭით. მას ბევრი კვლევები აქვს ჩატარებული, მათ შორის დაინტერესებული იყო კოსმიური ენერგიების კვლევით და ბუნებაში არსებული ქვების შესწავლით. ლაბორატორიულად იკვლევდა ადამიანის ტორსიულ ენერგეტიკულ და ინფორმაციულ ველს, ასევე თავის სხვადასხვა ინტერესებს იკვლევდა და ადასტურებდა ცდებით და ექსპერიმენტებით. მასზეა ზუსტად მორგებული ეს სიტყვები.

„ნამდვილად სწავლისაგან გამდიდრება სიმდიდრეზე უმდიდრესიაო.“

„მუდამ წყნარი და ხალისიანი, საყვარელი და თავაზიანი, ბუნებრივი და თანაც ჭკვიანი, ასეთი უნდა ადამიანი.“

მქონდა ბედნიერება, რომ ვყოფილიყავი ბატონ ნოდარ

მამისაშვილის მოსწავლე და დღემდე განვაგრძობ მასთან მეგობრულ ურთიერთობას, რისთვისაც მადლობას ვუხდი ჩემდამი დიდი გულისხმიერებისათვის და გაწეული შრომისათვის, ღირსეულ და მზრუნველ უბადლო ადამიანს ბატონ ნოდარ მამისაშვილს, რომელიც ცნობად სახეს წარმოადგენს მსოფლიოში.

„არ ვიცი რა ვთქვა რანაირი გითხრათ ლექსები, ჩემ შექებაზე თქვენ მეტი ხართ მაინც ღირსებით.“

დაე, მრავალი დაბადების დღე მოგველოცოს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, თქვენი უმცროსი მეგობარი მადონა.

დიდებულ კომპოზიტორს ჩვენც ვულოცავთ საიუბილეო 90 წელს. ვუსურვებთ დღეგრძელობას და შემოქმედებითი მუხტის უკვდავებას.

მარიჯა ჰოჰიაშვილი

გაზაფხული

დედაქალაქში „ერთი მხატვრის“ ნათელა იანქოშვილის მუზეუმში (რუსთაველის გამზირი – 26) გაიხსნა ტრადიციული საგაზაფხულო გამოფენა, მთელი აპრილის თვის განმავლობაში დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ თანამედროვე მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

მხატვართა ლიგის დირექტორმა – ნუგზარ მელაძემ, გახსნა გამოფენა და მონაწილე მხატვრებს საჩუქრად გადასცა კატალოგი – გაზაფხული 2021.

მხატვრების სახელით გოჩა ზირაქიშვილმა, ხათუნა სონღულაშვილმა, ჟურნალისტმა ნანა ჭიჭინაძემ დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს ეს ღირსშესანიშნავი დღე და მადლობა გადაუხადეს მუზეუმის დირექტორს – ბატონ თემურ დვალიშვილს (ნათელა იანქოშვილის შვილობილს), დამსახურებულ მხატვარს, ამ გამოფენის ორგანიზატორს, გია მარკოზაშვილს, იმ დიდი შრომისათვის, რომ მიუხედავად პანდემიისა ძალა და ენერგია არ დაიშურეს, არ უღალატეს ტრადიციას და უმაღლეს რანგის ნამუშევრები იქნა წარმოდგენილი სამ ეტაპად (2-8-14 აპრილი).

ნუგზარ მელაძე

სერიიდან : თბილისის ცის ქვეშ. სახლი ჩიტაიას ქუჩაზე. ზეთი, ტილო, 69/58

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲪᲘ
„ძველი თბილისი“. ტილო, ზეთი
77/107

გამოფენის შესახებ კომენტარი ვთხოვე ცნობილ ადამიანებს:

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲐᲚᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ – პოეტი: მხატვრობა უსიტყვო პოეზიაა, ნუგზარ მელაძე დიდი ოსტატია, მეტრი, რომელიც ახერხებს მდიდარი ფერებით ხატვას, მისი ნამუშევარი სერიიდან თბილისის ცის ქვეშ,– „სახლი ჩიტაიას ქუჩაზე“ შედევრია, მეც მაგ უბანში ვცხოვრობ – ილიას მუზეუმის გვერდით და ვცოცხლობ თერგდალეულების იდეებითა და პოეზიით. თითოეულ მხატვარს, ვინც მიიღო (ან ვერ მიიღო) მონაწილეობა ამ გამოფენაში, ვუსურვებ ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს

ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲪᲮᲕᲔᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ – პოეტი: დიდი ოსტატობით არის შესრულებული, როგორც ფერწერული ტილოები, ისე გობელინები; მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე არის გაკეთებული კატალოგი. ნახატებში სჭარბობს გზაფხულის ფერები, ამიტომაც ჰქვია თანამედროვე მხატვართა ნამუშევრების გამოფენას – „გზაფხული“.

ᲜᲐᲜᲐ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ – ჟურნალისტი, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე: გამოფენაზე პირადად მუზეუმის დირექტორმა თემურ დვალიშვილმა მომიწვია. უდიდესი სიამოვნება მომანიჭა თანამედროვე მხატვრების ნამუშევრებმა. თვალი ვერ მოვწყვიტე ნახატს „აჭარა“. აჭარის სილამაზე ისეა გადმოტანილი ტილოზე თითქოს მართლაც აჭარის ბუნებაში იმყოფებოდე. ამ თავისუფალ სივრცეში უბედნიერეს ადამიანად გრძნობ თავს. ბატონ თემურს ვთხოვე, რომ გაეცნო ჩემთვის ამ სურათის ავტორი. ეს გახლავთ ლუბოვ სეროგოვანცევა, თვითნასწავლი მხატვარი. ქალბატონმა ლუბოვმა მითხრა: მეც დედოფლისწყაროში (იმ დროს წითელწყაროში) დავიბადე, რუსთაველის ქუჩაზე, 83 ნომერში, ერთ პატარა სახლში, სადაც ჩემი დეიდა რაია კოზინა ცხოვრობდა და მუშაობდა სამხედრო ნაწილში. ახლაც დიდი რუდუნებით ვუვლი დეიდას მიერ დატოვებულ სახლს და ზაფხულობით მე და ჩემი მეუღლე ვლადიმერი ჩამოვდივართ ხოლმე. ქალბატონი ლუბოვი მწვრთნელია მხატვრულ ტანვარჯიშში, მას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ტიტული აქვს მინიჭებული.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲔᲜᲘᲐᲘᲫᲔ – ფერმერი, შპს „შირაქის“ დამფუძნებელი, საქართველოს მერძევეთა ასოციაციის თავმჯდომარე: გაზაფხულის ფერებით გაჯერებულ ნახატებში ჩემი ყურადრება მიიქცია ახალგაზრდა მხატვრის სალომე გეგეშიძის ფერწერულმა ტილომ „ზამთრის დილა“. ფაფუკ თოვლში ჩაფლული ნაძვები მთვარის შუქზე. ამ ულამაზესმა პეიზაჟმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში. პანდემიის გამო საგამოფენო დარბაზები თითქმის მთელი წელი დაკეტილი იყო; დიდი მოწიწებით გადავუხდი მადლობას ამ გამოფენის ორგანიზატორს, დამსახურებულ მხატვარს – გია მარკოზაშვილს, მხატვართა ლიგის დირექტორს, შესანიშნავ მხატვარს, ნუგზარ მელაძეს და მუზეუმის დირექტორს, ნათელა იანქოშვილის შვილობილს, თემურ დვალიშვილს ამ სიამოვნების მონიჭებისთვის.

ᲜᲣᲖᲖᲐᲠ ᲐᲚᲣᲦᲘᲨᲕᲘᲚᲘ – ფერმერი, სოფელ მირზაანის ყოფილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე: მე დიდი მხატვრის ფიროსმანის სოფლიდან ვარ. თუკი ვინმეს შეეფერება ტერმინი – უტეხი მხატვარი – ეს ნიკო ფიროსმანია 56 წელი იცოცხლა და მისი ყოველი დღე იყო შეუპოვარი ბრძოლა იმისათვის, რომ მხატვარი ყოფილიყო და ბუნებით ხელოვნად დაბადებული მკაცრ ცხოვრებას რიგით მოქალაქედ, ხელზე მოსამსახურედ, ვაჭრად ან მოქეიფე

ყარაჩოხელად, არ გადაექცია .. როგორც დაიწყო, ისე დაამთავრა კიდეც – უტეხად, თავისი შინაგანი „მე“-ს ერთგულებით, განმარტოებით, შეუცნობლად...

დაიბადა სოფელ მირზაანში 1862 წელს გლეხის ოჯახში იზრდებოდა... ყოველ ცისმარე დღეს ხედავდა, მუხლჩაუხრელად შრომობდნენ მისი მშობლები თეკლე ტოკლიკიშვილი და ასლან ფიროსმანაშვილი. ასლანმა და თეკლემ ჯვარი ზემო მაჩხაანის მთავარანგელოზის ეკლესიაში დაიწერეს... სამი შვილი ეყოლათ: მარიამი, ფეფე და ნიკო. პატარა ნიკო სოფელში ცხოვრობდა, ფუნჯი და ფანქარი არც ენახა, თვალით და ფიქრით ხატავდა. სიცოცხლეში დაუფასებელი მხატვარი სიკვდილის შემდეგ დაფასდა. ვათვალიერებ ამ გამოფენას და გული სიხარულით მევსება, ჩვენი მთავრობა ასე რომ ზრუნავს ხელოვნებზე, განახლებული სამხატვრო აკადემია გრიბოედოვის ქუჩაზე რესტავრაციის შემდეგ მსოფლიოს საოცრებაა; დღევანდელ გამოფენაზე ძალიან მომეწონა თენგიზ მიქოიანის ნამუშევარი – „ძველი თბილისი“, თვალწარმტაცი თბილისის ძველი უბანი, რიკულებიანი აივნები, ეს სახლები გადახურული საერთო აივნებით.

თამარ ივერი – ოპერი მომღერალი: მხატვარი ხათუნა ბაბუხაძე ოპერის მეგობარმა ნანა ჭიჭინაძემ გამაცნო. იგი წარმოჩენილია საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის და ამავე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წამყვანი სპეციალისტის ნინო რეხვიაშვილის მიერ გამოცემულ წიგნში „სამყაროს სამკაული“. მართალია გამოფენას ვერ ვესწრებოდი, მაგრამ ხათუნამ ფეისბუქზე გამომიგზავნა თავისი ნამუშევრები. იგი მართლაც თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მხატვარია.

ნანა ბროკელი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი: ხათუნა ბაბუხაძე დღეს დღეისობით უმაღლესი რანგის ახალგაზრდა მხატვარია. მე ყოველთვის ვესწრებოდი დედაქალაქში გამართულ გამოფენებს. მათ შორის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, ექსპო-ჯორჯიაში და სხვაგან. ხათუნას პერსონალურ გამოფენებს და უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს როგორც მხატვარი და როგორც ადამიანი.

ვინაიდან დამთვალიერებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდად მხატვრის ხათუნა ბაბუხაძის შემოქმედებამ, მას ვთხოვეთ უფრო ვრცლად მოეთხრო საკუთარი თავის შესახებ(აქვე შეგახსენებთ რომ ალმანახის უკანა ყდა მისი ნამუშევრებითაა გაფორმებული):

მე ხათუნა ბაბუხაძე ვარ გობელენის, ფარდაგის, ხალიჩის მხატვარ-დიზაინერი.

დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, გამოყენებითი ფაკულტეტი, მხატვრული და დეკორატიული ქსოვილების განხრით. 23 წელია ამ სფეროში ვმოღვაწეობ, თამამად შემიძლია ვთქვა ამ საქმის პროფესიონალი ვარ.

18 წლის ვიყავი პირველად რომ შევეხე დაზგას, შალის ძაფებს, რამაც ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია ჩემში, ყველაზე მეტად მხიბლავდა, რომ არაფრისგან იქმნებოდა ულამაზესი მხატვრული ქსოვილი ნატურალური მასალისგან, ჩემი თითების მეშვეობით. პირველი ნამუშევარი 18 წლისამ შევქმენი და მას შემდეგ დღემდე არ გავჩერებულვარ. ხელოვნება ჭაობს გავს, რაც მეტს ვმუშაობდი, მით მეტად ვეფლობოდი მასში. ყოველი დასრულებული ნამუ-

ლუბო სერგოვანცევა
„აჭარა“. ტილო, ზეთი 40/60

შევარი მუზაა ახალი ჯერ არ დაბადებული ნამუშევრისათვის. ძალიან ცოტა მხატვარია საქართველოში ამ დარგის მიმდევარი, თითქმის თითებზეა ჩამოსათვლელი. ეს არის პროფესია, რომელიც ფინანსებთან და ნიჭთან ერთად ძალიან დიდ ნებისყოფას მოითხოვს, როგორც მე ვიტყოდი რკინის ნერვებს... ძირითადად ნატურალური შალის ძაფით ვმუშაობ ძაფს მე ვამუშავებ, მე თვითონ ვღებავ, როგორც ბუნებრივი, ასევე ქიმიური საღებავებით .

2000 წლიდან აქტიურად ვარ ჩართული შემოქმედებით გამოფენებსა თუ ღონისძიებებში. როგორც საქართველოში ასევე საზღრებს გარეთ.

მაია ფელაური

1967 წლის 20 ნოემბერს სოფელ საკობიანოში დაიბადა. სწავლობდა ქალაქ დედოფლისწყაროს მე-2 საჯარო სკოლაში, ასევე მუსიკალურ სასწავლებელში. მაია სულით ხელოვანი ადამიანი იყო. ძალიან კარგად ხატავდა, მღეროდა, ხმის საოცარი ტემბრი ჰქონდა. ლექსებს ბავშვობიდან წერდა. ის 2007 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულია დედოფლისწყაროში. ჰყავს ქალ-ვაჟი და სამი შვილიშვილი. ამჯერად მაიას შემოქმედებას მისი რამოდენიმე ლექსით წარვუდგენთ საზოგადოებას.

* * *

სულში ეშვება ქარწაღებულ ფოთოლთა სევდა,
დიდი ალვები უმწეობით დახრიან თავთა,
გაზაფხულივით მენატრება ახალგაზრდობა,
დაკარგულ ფოთოლთ „ბარათებით“ მევსება კალთა.
თუ ასე მოკლე სარბიელი მარგუნე ღმერთო,
მაშ სულში რატომ ჩამისახლე ძალა გრიგალთა?!
რად დამანათლე სიყვარულის კელაპტრად ვენთო,
თუ ყველას ასე დავკარგავდი ვინც კი მიყვარდა?!
რად ვეღარ, ვეღარ უპოვია მდინარეს ფონი,
რად აღარ, აღარ გაიცრიცა წვიმების ფარდა?!
ვერსად ვერ ვპოვე ვერც სიცოცხლის დასალიერი,
მომწყინდა...
რაც გსურთ მომისაჯეთ სიცოცხლის გარდა.

ალაზანს

მე კარგად ვიცნობ მშფოთვარ მდინარეს,
შეურიგებელს ბედთან და ღმერთთან,
ბევრჯერ მიგვრძვნია ჩემს ბავშვობაში
ღამის წყვდიადში მისი ხმის ელდა.
მასთან დაიწყო ჩემი ცხოვრება,
ბევრი იქუხა, ბევრი იმღერა
და თან წაიღო ზღვის სილურჯეში
ბავშური შიში და გულისძგერა.
მთის მწვერვალიდან მოაქვს სიწმინდე
და უნაწილებს ცოდვილ ქვეყანას.
პირველად მასში ვიგრძენ სამშობლო,
ეს ლურჯი მთებიც მან შემაყვარა.
დღეს არ მაშინებს მისი ხმაური,
რაღაც საამო სევდასღა მომგვრის
და აქ მიგზავნის უხილავ ლექსებს
ხევში ტალღების ხმაურით მოღლილს.

მე მაინც თქვენთან მოვიდოდი

თამარ თამაზაშვილს

მაშინ ვერა და ახლა ვარჩევ ბოროტს და კეთილს,
მაშინ არა და ახლა ვნანობ დაკარგვას თქვენსას.
ბრიყვთა ქაოსში მიფარავდა თქვენი ღიმილი;
ახლა გულს მიკლავს კლავიშების „შიშველი სევდა“.
ხომ არ დაგღალათ ცხოვრებამ და ბოროტთან ბრძოლამ,
თქვენს აღსაზრდელებს ვეღარ ჰყავხართ იქნებ ნუგეშად?
გულგაციებულ ხალხის სიმრავლემ
ვაი, თუ სული გაგიუხეშათ...
ვაი, თუ აღარ გაქვთ სურვილი – ამავსოთ რწმენით,
ჯავრი, თქვენს გულს რომ შევატოვე, არა ნელდება,
მე მაინც თქვენთან მოვიდოდი ნოტებით ხელში,
ეს იქნებოდა ბედნიერება.

ნათია ჯიყაშვილი

ფსიქოლოგიური შეხვედრები.

გამარჯობა მეგობრებო. თქვენი სურვილით და ღმერთის დახმარებით მინდა გაგიზიაროთ ცოდნა და შესაძლებლობა, რომ ერთად დავამარცხოთ ჩვენს ქვეყანაში ეპიდემიის მსგავსად გავცელებული ფსიქოლოგიური პრობლემები და წინააღმდეგობები, ვიპოვოთ ჩვენი თავი, ღმერთი და შესაძლებლობები.. ამ ახალ, არანორმანულ სიტუაციაში ვიღაც სახლში, ოთახში ჩაიკეტება, დეპრესიაში ჩავარდება, შიში, უძლურება, იმედგაცრუება და პანიკა შეიპყრობს, თავის თავს და გარემო საზოგადოებას სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს. ვიღაც კი, იგივე სიტუაციაში მყოფი, თავს გაიმხნევებს, საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობას აიღებს, მისგან წარმატების ნაპერწკლებს, წარმატების მარგალიტებით გვირგვინს შექმნის და თავისი ცხოვრების ახალ რეალობას დაიწყებს. მჯერა ღმერთის, რომელიც ყველა ადამიანის შემოქმედია, ყველას აძლევს თავის წილ ტალანტს, ნიჭს, უნარს გაუმკლავდეს ცხოვრებას და შექმნას თავისი პიროვნების საინტერესო, ლამაზი და მნიშვნელოვანი ისტორია. მაგრამ, ზოგიერთი მათგანი წინააღმდეგობებისგან შეირყევა, დაეცემა და მიწაში დაფლავს თავისი ცხოვრების შესაძლებლობებს. ზოგიერთი მათგანი კი კვლავ აღემართება, მოცემულ ნიჭს გაზრდის, გაამრავლებს, და ყველასთვის სასარგებლოს და სამაგალითოს გახდის. თქვენი ვალდებულებაა ამ არანორმანულ სიტუაციაშიც იპოვოთ თქვენი თავი, ღმერთი და შესაძლებლობები. დაამარცხოთ წინააღმდეგობები და გამოხვიდეთ გამარჯვებულები. რადგან გადაივლის ეს ქარიშხალი და ცხოვრების ახალი რეალობა დაიწყება. მაგარამ ამ დროს ვინ იქნებით, სად და როგორი პიროვნებები გახდებით თქვენ? გამარჯვებულნი, გაძლიერებულნი, სიცოცხლის უნარიანი თუ მიწაზე გართხმულნი და საცოდავად მგმინავნი? ეს თქვენი არჩევანია, რადგან თქვენ და მხოლოდ თქვენ ხართ პასუხისმგებელნი თქვენს პირად ცხოვრებაზე.

ჩვენ ნიჭიერი ერი ვართ და ამავე დროს ღვთის რჩეულიც. ამას მოწმობს ჩვენი წინაპრების და ჩვენი ქვეყნის ისტორიაც, რომელმაც გაუძლო და მოგვიყვანა ამ დრომდე. ჩვენი მოვალეობაა გადავარჩინოთ და გავაგრძელოთ ჩვენი ოჯახების, ქართველი ხალხის და საქართველოს ისტორია.

დღეს, როგორც არასდროს გვჭირდება ღმერთი, მისი მცნებების სიყვარული და სიბრძნე. დღეს, როგორც არასდროს მთელი გულით ვითხოვოთ, რომ მოგვმადლოს ღმერთმა გონივრული განსჯა და ღირსეული ფიქრი მონიჭებულზე, რომ სიბრძნით განვაგოთ ჩვენი ცხოვრება. მოგვეცეს ცოდნა ღვთის საქმეთა შესახებ, რომ გავიგოთ როგორ გამოვიდეთ ამ მძიმე და დამთრგუნველი სიტუაციებიდან. მხოლოდ ასე გადავრჩებით ჩვენც და ჩვენი ქვეყანაც. რადგან მძიმე ცხოვრებისეული ეტაპები გვერგო წილად არ ჩავვარდეთ დეპრესიაში, არამედ „სიბძნით აღემართენით“. აი რას ამბობდა ძველი აღთქმის ებრაელთა დიდებული მეფე სოლომონი ღმერთზე, ცხოვრებასა და სიბრძნეზე. მეფე ყველაზე მდიდარი, ძლიერი, დიდებული, ლამაზი, ბრძენი სოლომონი. მეფე, რომელმაც განაახლა იერუსალომის დიდებული ტაძარი, სადაც ცხოვრობდა და დადიოდა დედა მარიამი ღვთისმშობელი და სადაც ქადაგებდა და ჯვარს ეცვა ჩვენი ტკბილი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, ჩვენი ცხოვრების მართლმადიდებლური სარწმუნოების დამფუძნებელი. (ვინც არ იცის ეს ის ადგილია, სადაც დღესაც ჩემულობენ და ლოცულობენ სხვადასხვა ქვეყნის, რელიგიის და მრწამსის წარმომადგენლები). მეფე სოლომონის დიდებული ნაწერებიდან ჩანს, რომ ღმერთის და მისი საქმეების მესაიდუმლეა ბრძენი ადამიანი, რომ „ღმერთია წინამძღვარი ბრძენთა და სიბრძნის წარმაართველი. რომ ღმერთის ხელში ვართ ჩვენც და ჩვენი სიტყვებიც, ყოველი საქმის ცოდნა, ოსტატობა და დახელოვნება საქმეში.“ ის ამბობდა, რომ: „თუ სიმდიდრე სასურველი მონაგებია ცხოვრებისა, რა უნდა იყოს სიბრძნეზე უმდიდრესი, რომელიც ყველაფერს ქმნის? თუ გონება ძალმოსილია, მასზე უკეთესი ხელოვანი ვინღაა ცოცხლებს შორის. თუ ვინმეს სამართლიანობა უყვარს, მისი შრომა სიქველეა, რადგან კეთილგონიერებას და ჭკუას ასწავლის, სამართლოიანობას და მხნეობას ასწავლის ხალხს, და ამაზე სასარგებლო კი ადამიანისათვის არაფერია ცხოვრებაში“. სოლომონ ბრძენი ამბობდა: უკვდავებაა სიბრძნეს-

თან წილნაყარობა, მასთან მოყვრობა კი ნეტარება, მასთან საუბარი გონიერება და სახელის მოხვეჭა. დავდიოდი და ვეძებდი გზას, როგორ შემეძინა ის. მთელი გულით მივმართე და შევევედრე ღმერთს: წარმოგზავნე შენი სიბრძნე, რომ შევიცნო რა არის შენი მოსაწონი და ასე გადავრჩეო აი, ასეთ მნიშვნელობას ანიჭებდა სიბრძნის მეტყველებას და აქებდა ღმერთს სოლომონ მეფე, რამელმაც უკვდავყო, ცნობილი და წარმატებული გახადა არა მარტო თავის ცხოვრებაში, არამედ ახლაც ოცდამეერთე საუკუნეში.ის არის ნიმუში დიდებული მეფის აზროვნებისა. ის პირდაპირ ითხოვდა ღმერთისგან ჩვენთვის, ყველასთვის რომ „ასე წარმართე მიწიერთა აზრები, რომ ადამიანები მიხვდნენ შენს მოსაწონს და სიბძნით გადარჩნენ“ და როცა ამას მიხვდებით თქვენც, ითხოვეთ ღმერთისაგან ეს სიბრძნე მისი ნების შეცნობისა, განახორციელეთ თქვენს ცხოვრებაში და გადარჩებით თქვენც და თქვენი ოჯახებიც. აიღეთ პასუხისმგებლობა საკუთარ ცხოვრებაზე. ნუ ჩაეფლობით ბოროტების მარწუხებსა და სასოწარკვეთილებაში. სარწმუნოებით გაძლიერდით და სიბრძნით დაამარცხეთ ეს წინააღმდეგობები.

დიდი ცვლილებები ხდება დღეს მსოფლიოში. რეალობამ აჩვენა, რომ ბევრი პროფესია გაუქმდება. ტექნიკისა და ინტერნეტ სივრცის გამოყენებით დისტანციურად მომსახურების სფეროს სამუშაოები აქტუალური გახდება. უნდა მოვემზადოთ ახალი რეალობისთვის. თქვენს ცხოვრებაში ცვლილებები თქვენი არჩევანიდან დაიწყება. ნებისმიერ დღეს, როცა მოისურვებთ შეძლებთ ახალი საქმიანობა დაიწყოთ. ნებისმიერ დღეს, როცა მოისურვებთ შეძლებთ თქვენი ცხოვრების შეცვლას. ეს შეგიძლიათ გააკეთოოთ დაუყონებლივ, ან შემდეგ კვირაში, თვეს, წელს. ან ასევე შეგიძლიათ არაფერი აკეთოთ, მუდმივად დაძაბული და დეპრესიული განწყობილება შეიქმნათ და ამის საკმარის მიზეზებსაც აუცილებლად მალევე იპოვნით. თუ ფიქრი აუცილებელ ცვლილებებზე დისკომფორტის გრძნობას მოგიტანთ, შეგიძლიათ ყველაფერი ისევე დატოვოთ, როგორიცაა. შეგიძლიათ დასვენება და გართობა აირჩიოთ, დაჟინებული შრომისა და განათლების მაგივრად, შიში და ეჭვიანობა კი, დამაჯერებლობის ნაცვლად. ეს თქვენი არჩევანია. მაგრამ, როცა არ მოგეწონებათ თქვენი ცხოვრება და შედეგები, ხელს ნუ დააფარებთ მიზეზებს. მას ვინც ეძებს უკეთეს ცხოვრებას მეტი პასუხები არ სჭირდება, მეტი დრო მოსაფიქრებლად როგორ მიაღწიოს უკეთეს შედეგებს. თქვენი მიზანია აუცილებლად გააკეთოთ ახალი, სწორი არჩევანი, რომელიც სასიცოცხლო ძალას, ბედნიერებას და სიხარულს მოგიტანთ თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწრაფად შეცვალეთ ის რაც არ მოგწონთ, იმ შესაძლებლობლებით რაც ხელთ გაქვთ!. თქვენ მცენარე არ ხართ, შეგიძლიათ მთლიანად გარდაქმნათ თქვენი ცხოვრების ნებისმიერი ნაწილი და ეს თქვენი არჩევანით იწყება.

მაგრამ, თუ რა სიძლიერით შეგიძლიათ შეცვლოთ თქვენი რეალობა და შედეგები დამოკიდებულია თქვენი წარმოსახვის უნარზე. ადამიანი შეუცნობლად ცვალებადია. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იმ ადგილიდან, სადაც არის მივიდის იქ, სადაც უნდა რომ იყოს. ყველა ჩვენთაგანისთვის ეს გამოწვევაა. ნებისმიერი ოცნება რეალობად იქცევა, თუ გვეყოფა ვაჟკაცობა დავიჯეროთ ის. შესაძლებელია დღევანდელი ჩაკეტილი, გაჩერებული, დაავადებული გარემო პირობების მიუხედავად ოჯახების და თვითეული ჩვენგანის ფეხზე დადგომა? რა თქმა უნდა შესაძლებელია. დაგეგმარებით, დიდი სურვილით, მონდომებით და დაჟინების უნიკალური შეთავსებით შესაძლებელია სასწაულაების მოხდენა. საკითხავი ის კი არ არის იმუშავებს თუ არა წარმატების ფორმულა, არამედ ის თუ აიძულებთ ამ ფორმულას იმუშაოს თქვენთვის. მაგალითისთვის, ჯერ კიდევ 1960 წელს ერთი ადამიანის ოცნებამ, ვის გონებაშიც პირველად გაიელვა ადამიანისათვის კოსმოსურ სივრცეში მოგზაურობა, ტექნიკურად შეუძლებელი რეალური გახადა და ადამიანმა მთვარის ზედაპირზე გაიარა. ოცნების რეალობად გარდაქმნის სასწაული მექანიზმი მოხდა. შეუძლებელი რეალობად აქცია და ის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან მიზნად გადაიქცა.

ბედნიერება ეს არ არის, რასაც მომავლისათვის გადადებთ. არამედ ის რასაც ამჟამად ქმნით. წარუმატებლობა ეს არ არის ერთჯერადი მოქმედების აქტი, არამედ ცდომილი რიგი აზრებისა და ქმედებებისა, რომელსაც ყოველდღიურად იმეორებთ. წარმატება შედგება 20% ოსტატობასა და 80% სტრატეგიისაგან. მაგალითისთვის, თქვენ გაქვთ კითხვის უნარი, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია თუ რის წაკითხვას აპირებთ თქვენი მიზნების და ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მნიშვნელოვანია როგორ სტრადეგიას აირჩევთ თქვენ.

იყავით პასუხისმგებელნი საკუთარ ცხოვრებაზე. არ ისარგებლოთ თავის მართლებით. გახდით წარმატებული ადამიანის ფილოსოფიის მატარებელნი. როდესაც გაგიჩნდებათ ახალი, საინტერესო და მნიშვნელოვანი იდეა, მაშინვე დაიწყეთ მისი განხორციელების გზების ძიება.სანამ ემოციები ძლიერია და იდეა დამაჯერებელი, ნათელი და აკვიატებული, შექმენით მოქმედებების შესასრულებელი გეგმა და თანმიმდევრულად მიყევით მას.

მინდა ვისაუბროთ დისციპლინის მნიშვნელობაზეც. დისციპლინა საშუალებას იძლევა ჯანსაღი აზრით მაღ-

ლა დადგეთ საკუთარ ემოციებზე, რათა განახორციელოთ თქვენი იდეა ცხოვრებაში. დისწიპლინით თქვენ დაიწყებთ ახალ ცხოვრებისეულ პროცესს. სასურველია რაც შეიძლება სწრაფად იმოქმედოთ, სანამ ემოციები ჩამქრალა და იდეა არ შესუსტებულა. თუ დროულად არ იმოქმედებთ თქვენივე ჩამქრალი განზრახვის კანონზომიერი მსხვერპლი გახდებით. ყველაზე დიდი ცდუნებაა საკუთარ თავს უფლება მისცეთ მოდუნდეთ, იმის ნაცვლად რომ შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთოთ და უფრო ნაკლები აკეთოთ ვიდრე ეს შეგიძლიათ. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ასეთ დროს ყველაზე მარტივ გზას დაადექით საკუთარი ღირსების დაქვეითებისაკენ. პრობლემა მცირე უყურადღებობისგან წარმოიქმნება, პრობლემები კი აჩლუნგებს საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობას. ყველაფერი, რაც თქვენ მოგეთხოვებათ, არის იმოქმედოთ გადაუდებლად. დაიწყეთ ყველაზე მარტივი მოქმედებისგან, რომელიც თქვენს საკუთარ ფილოსოფიას შეესაბამება. დააკავეთ საკუთარი თავი პასუხისმგებლობით, შთააგონეთ თქვენს თავს დისციპლინირებულად იმოქმედოთ ყველა თქვენი მიზნების მისაღწევად, რომ ახლო მომავალში საკუთარი წარმატებებით იზეიმოთ. თანამიმდევრული მოქმედება ეს არის კავშირი დასახულ მიზანსა და მის მიღწევას შორის. ჩვენ ყველანი ორიდან ერთი „ტკივილით“ ვიტანჯებით: ან დამარცხებული დისციპლინის ტკივილით, ან შემდგომი სიბრალულის, სინდისის ქენჯნით. სხვაობა მხოლოდ არის ის, რომ დისციპლინის ტკივილი გრამებს იწონის, ხოლო სინანულის ტკივილი კი ტონებს. არც ისე ბევრი რამის შეცვლა მოგიწევთ, რომელიც შედეგებში სხვაობას მოგიტანთ. რამოდენიმე მარტივი მოქმედებების დისციპლინირებულად განხორციელებით იმოქმედებთ იმ შედეგებზე, რასაც ცხოვრება მოგიტანთ ბოლო 90 დღის განმავლობაში, რომ არაფერი ვთქვათ მომავალ 12 თვეზე ან შემდგომ 3 წელიწადზე. დისციპლინა ეს ფუნდამენტია, რომელზეც წარმატება შენდება. ის თავისთავად ატარებს მომავალი სასწაულების მოხდენის პოტენციალს. თქვენი ნებისმიერი მიზანი დაყავით მარტივ სამოქმედო გეგმად და ზედმიწევნით, დაუყონებლივ შეუდექით მის შესარულებას.

ნებისმიერი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად, საჭიროა დრო. ზრდისა და განვითარებისათვისაც საჭიროა დრო. ცხოვრება რომ თქვენთვის საინტერესოდ ააწყოთ, საჭიროა დრო, თქვენი საკუთარი ოცნებების რეალიზებას დაუთმეთ საჭირო დრო, რამდენსაც იმსახურებს და რამდენსაც საჭიროებს. რამდენჯერ უნდა სცადოთ თქვენი მიზნების განხორციელება? მანამ, სანამ არ მიაღწევთ მას, მაგრამ მოუთმენლობა და დროის ხარჯვის სიძუნწე, ასე ძალიან, რომ გვიპყობს, მომაკვდინებელია წარმატების მიღწევაში, გაითვალისწინეთ, გისურვებთ ღმერთის მოსაწონი თქვენი მიზნების განხორციელებას და ბედნიერების განცდას თქვენი ცხოვრების ყველა ეტაპზე. ეს შესაძლებელია და თქვენ მიიღებთ მას.

ლალი ბასილაშვილი

დედოფლისწყაროს ისტორიული ნარსულის ნაკვალევზე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი მდებარეობს მაღლობზე, რომელიც ეკვრის ალაზნის ველს. მის ჩრდილოეთით გადაჭიმულია კავკასიონის მთავარი ქედი. ეს მაღლობი ძირითადად შედგება კირქვების ფენებისაგან. კირქვის ასეთ მარაგს ამიერკავკასიაში სხვაგან იშვიათად თუ ნახავთ.

დედოფლისწყაროს მაღლობი წარმოადგენს კავკასიონის მცირე ქედის გაგრძელებას. იგი წარმოქმნილია იურიული და ცარცული პერიოდების ზღვარზე. ხმელეთის წარმოშობისას კირქვის მასა, რომელიც წარმოიქმნა ამ ადგილებში ზღვის არსებობის დროს, იცვლიდა ფორმას, იღებდა კლდის, გორაკის და სხვა სახეს. ახლადწარმოქმნილი მაღლობის გარშემო შესაძლებელია დარჩა მტკნარი და მლაშე ჭაობები. ამის დადასტურებაა ალაზნის ველზე

და კახეთის მაღლობზე მლაშე ნიადაგები, აგრეთვე ვაშლოვანის დაბლობი და მდინარე იორის ველი.

მუნიციპალიტეტის ცენტრი დედოფლისწყარო მდებარეობს ისტორიული ქიზიყის ტერიტორიაზე. მისი საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 650 მეტრია. თუმცა თავად ქალაქი დედოფლისწყარო 836 მეტრზე მდებარეობს, ხოლო ელიის მთის სიმაღლე 1001 მეტრია. დოფლისწყაროს ჩრდილოეთით ესაზღვრება ყარაღაჯის მთა (931 მ), შირაქის ველის სამხრეთით მთა ყარადარა (916 მ), შირაქის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრებთან დელიჩა (954 მ).

ძველ საისტორიო წყაროებში „ქიზიყი“ კამბეჩოვანის სახელწოდებას ატარებს. პირველი საუკუნის ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის დახასიათებით „კამბისენ“ – უწყლო და უსწორო ტერიტორიაა, რომელიც მდებარეობს მდინარე ალაზანთან.“ ხოლო XVIII საუკუნის გამოჩენილი მეცნიერს ვახუშტი ბატონიშვილსშემდეგი ცნობა აქვს დაცული: „არამედ საქვაბე (საქობო) ასანურამდე არს ადგილი ქიზიყისა, რომელი მოხვევია მთასა, ცივის მთიდან ჩამოსულსა, ამას ეწოდა პირველ კამბეჩოვანი, კანბეჩთა სიმრავლისათვის“.

V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა ქალაქი ხორნაბუჯი სამემკვიდროდ გადასცა თავის შვილს დაჩის. აქვე დაარსდა საეპისკოპოსო კათედრა.

523 წელს ირანელებმა მეფობა გააუქმეს იბერიაში, ქვეყანა დაიყო ირანის იმპერიის სამხედრო ადმინისტრაციულ ერთეულებად, ე. წ. „კუსტაკებად“. ერთ-ერთი „კუსტაკის“ მმართველის რეზიდენცია გახდა ხორნაბუჯი. აქ იდგა მძლავრი ირანული გარნიზონი.

VII საუკუნეში სასანიანი ირანელები მაჰმადიანმა არაბებმა შეცვალეს. მათ დაიწყეს ისლამის გავრცელება, მაგრამ ახალმა რელიგიამ ფეხი ვერ მოიკიდა კამბეჩოვანში. ეს მხარე რელიგიური ბრძოლის ფორპოსტად იქცა.

XII საუკუნეში მეფეთ-მეფე თამარის ხანაში ხორნაბუჯში სხედან მახატლისძეები. ისინი იმდენად ძლიერი ყოფილან, რომ „ყრმა ვერ აუტირდებოდა დედასა მახატლისძეთა შიშითა.“

XII-XIII საუკუნეებში კამბეჩოვანში 70-80 ათასი კაცი ცხოვრობდა. თვით ხორნაბუჯში, სავარაუდოდ – 10-15 ათასი. ქალაქი წარმოადგენდა ვრცელ ანსამბლებს – ცალკე უბნების სახით – ჭოეთი, კოღოთო, ყარაღაჯი. XII-XIII საუკუნეებში ხორნაბუჯის საერისთავო დიდების ზენიტშია. არქეოლოგიური გათხრებით და შემთხვევით აღმოჩენილი მასალების მიხედვით ხორნაბუჯი ყარაღაჯთან ერთად ჩაბმული იყო საერთაშორისო ეკონომიკურ-სავაჭრო ურთიერთობაში. აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ ვაჭრები ირანიდან, არაბული სამყაროდან, შუა აზიიდან, ჩრდილო კავკასიიდან, რუსეთიდან. აქ აღწევდა საქონელი ინდოეთიდან და ჩინეთიდან.

სამწუხაროდ, XIII საუკუნის მეორე მეოთხედიდან უდიდესი საფრთხე დაემუქრა ხორნაბუჯის საერისთავოს. მონღოლთა შემოსევებმა გაანადგურა არა მარტო კამბეჩანის მწარმოებელი საზოგადოება, არამედ ფიზიკურად ამოწყდა და გადაშენდა თვით ხორნაბუჯელთა საქვეყნოდ სახელგანთქმული საგვარეულო. ამიერიდან აღარ არსებობს ხორნაბუჯის საერისთავო. გაუქმდა საეპისკოპოსო კათედრა. ქიზიყის ცენტრი ჯერ ბოდბის მონასტერი გახდა. 1441 წლიდან მაღარო, 1764 წლიდან ქალაქი სიღნაღი. ჩამოყალიბდა თავისუფალი ქიზიყი – სოციალური და პოლიტიკური თავისთავადობისათვის მუდამ შემართული გასამხედროებული თემი. დავიწყების წყვდიადში იძირებოდა დიდი ქალაქი ხორნაბუჯი. მას იშვიათად იხსენიებდნენ.

XIX საუკუნეში ხორნაბუჯ-ყარაღაჯის სტრატეგიულ ადგილზე მუდმივად დაბანაკდა რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილები. ჯერ ყარაბაღის, მოგვიანებით კი ნიჟეგოროდის 44-ე დრაგუნთა პოლკა. რუსი დრაგუნები განლაგდნენ ყარაღაჯში. ცალკეულმა რაზმებმა დაიკავეს პოზიციები ალაზნის გასწვრივ და ხორნაბუჯ-დედოფლისწყაროს სანახებში.

სამხედრო დასახლებამ კვლავ გააცოცხლა დაცარიელებული მხარე. 1826 წლიდან დედოფლისწყაროში მოხვდა ბევრი ცნობილი დეკაბრისტი. ერთი მათგანის გადამდგარი ოფიცრის გრიგოლ ნეჩვოლოდოვის სახლი (ამჟამად დედოფლისწყაროს ხალხთა მეგობრობის მუზეუმი) ლიტერატურულ-პოლიტიკური ცხოვრებით სუნთქავდა, აქ იმართებოდა სალონური შეხვედრები, თეატრალური დადგმები.

დედოფლისწყაროში ბევრმა უცხოელმა იმოგზაურა და ყოველ მათგანს სხვადასხვა ინტერესი ამოძრავებდა. მათ შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც წლების განმავლობაში ბრუნდებოდნენ არა მხოლოდ მეცნიერული ინტერესების, არამედ იმ მეგობრულ ურთიერთობათა გამო, რაც მათ ქართველებთან აკავშირებდათ.

გერმანელი მოგზაური და მეცნიერი ანტონ გიულდენშტედი, ფრანგი მოგზაური — ვაჭარი ჟაკ-ფრანსუა გამბა, ფრანგი არქეოლოგი და ეთნოგრაფი ჟოზეფ დე-ბაი, გრიგორ გაგარინი – თავადი, მხატვარი, ფოტოგრაფი (მის მიერ გადაღებული ერთ-ერთი ფოტო ასახავს ელიაობის ღელესასწაულს).

საინტერესო აღწერა დაგვიტოვეს იტალიელმა მისიონერებმა, ასევე ძმებმა სიმენსებმა, რომლებმაც ამიერკავკასიაში პირველი ნავთობის მომპოვებელი საწარმო და ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა დედოფლისწყაროში აამოქმედეს; აქ მუშაობდენ ასევე გერმანელი ეთნოგრაფი-მკვლევარი ჰენრიხ იულიუს კლაპროტი, ესპანელი სამხედრო პირი ვან-გალენი, გერმანელი ნატურალისტი – ვილჰელმ ეგერი, მეცნიერმა ედუარდ ივანეს ძე ეიხვალდმა გამოიკვლია დედოფლისწყაროს ტბის წყალი. დედოფლისწყარო მოინახულეს: ა. გრიბოედოვმა, ა. პუშკინმა, მ. ლერმონტოვმა, ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ და ეს არასრული ჩამონათვალია.

ისტორიკოსი, პოეტი, იაკუბოვიჩი თავის წიგნში „რუსეთის მმართველობის დამკვიდრება კავკასიაში“ წერს, რომ გადმოსახლებული განათლებული დეკაბრისტების ინიციატივით სამხედრო ნაწილებთან იხსნებოდა სკოლები. განსაკუთრებით კარგად იყო განვითარებული ყარაღაჯის დრაგუნთა სკოლა. ასეთ სკოლებში ზოგჯერ ადგილობრივ მცხოვრებთაც იღებდნენ. კერძოდ, ყარაღაჯიდან თუქურმიშაში (ასე ერქვა დედოფლისწყაროს მცირე პერიოდში მთიელი მებრძოლის, ბუქური მიშას, საპატივსაცემოდ, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ადგილობრივ მოსახლეობას ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში) გადატანილ დრგუნთა სკოლაში აღიზარდნენ: მწერალი და ხალხოსანი დიმიტრი მაჩხანელი (ნადირაძე), ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი მოსე ჯანაშვილი.

მოსახლეობა ძალზე ნელა იზრდებოდა, დედოფლისწყაროში რამოდენიმე ქართველი ცხოვრობდა (ეს კარგად ჩანს 1886 წლის აღწერიდან). შემდეგში თანდათანობით დაიწყეს გადმოსახლება მირზაანელებმა, ზემომაჩხაანელებმა, არბოშიკელებმა.

ჩვენი დაინტერესების საგანი გახდა დედოფლისწყაროში არსებული სახლი ბულვარის ქუჩაზე, ამჟამად რუსთაველის IV შესახვევში დგას სახლი, რომელიც არანაირ ყურადღებას არ იქცევს გარეგნული ეფექტებით. საერთო ფართობით იგი საკმაოდ დიდია. დღეს ამ სახლში რვა ოჯახი ცხოვრობს. ერთ-ერთ ოჯახში შემორჩენილია ამ სახლის ძველი დიდების ნაშთი: ბუხარი, რომელიც აშენებულია ძვირფასი მასალით გარეგნულად ხელოვნების უმშვენიერეს ნიმუშს წარმოადგენს. აღსანიშნავია მისი ნაკეთობა, ჩუქურთმები, მოხატულობა და შეხამებული ფერები; ასევე ძველი უზარმაზარი სარკე, მარმარილოს ფეხებიანი დასადგამით. ეს სარკე აქ მცხოვრებთა გადმოცემით პარიზში უნდა ყოფილიყო დამზადებული; ძვირფასი შანდალი დაგერმანელი მხატვრის მიერ შესრულებული ნახატი.

XIX საუკუნის ბოლოსთვის „ცარსკოე-კოლოდცში“ (დედოფლისწყაროში) იმყოფებოდა რუსეთის იმპერიის ნოვგოროდის და ტვერის პოლკების 28-ე დივიზიის 42-ე დრაგუნის ოფიცერთა კორპუსი. პოლკოვნიკის მეუღლეს ალექსანდრა ივანეს ასულ ციციანოვას(ციციშვილს) მიეცა მიწის ნაკვეთი 2710 კვადრატული საჟენი (საჟენი: 2 მ და 13 სმ). ამ ფაქტის შესახებ 1893 წელს გაცემულია მოწმობა „ცარსკოე-კოლოდცის“ გარნიზონის უფროსის მიერ. აღნიშნულ მიწის ნაკვეთში შედიოდა სხვადასხვა შენობები და ნაგებობანი. მათ შორის ზემოხსენებული სახლი, რომელიც გაკეთებული ყოფილა გერმანული პროექტით – მორებისაგან.

ზემოხსენებული მოწმობის თანახმად ეს მიწის ნაკვეთი ალექსანდრა ციციანოვას გადაეცა დროებით სარგებლობაში და აღნიშნული მიწის ნაკვეთი მაინც რჩებოდა ხაზინის განუყოფელ ნაწილად.

1919 წელს (როცა ხელისუფლება შეიცვალა) ალექსანდრა მამაცაშვილმა საკუთრების ნაწილი გაყიდა სოფელ მირზაანში მცხოვრებ წყალობა ივანეს ძე ლაპიაშვილზე, რომლის შთამომავალნიც დღეს ამ სახლში ცხოვრობენ. ამ აქტის შესახებ არსებობს პირობის ხელწერილი, რომლის თანახმად ალექსანდრა ციციანოვ-მამაცაშვილმა წყალობა ლაპიაშვილს გადასცა სახლი ეზოთი, ბაღჩით, აბანო თავისი გამართულობით (სააბაზანოთი მილებით), გასაშლელი მაგიდა, ერთი ჭაღი სამი პულპულით. პირობის თანახმად ალექსანდრა მამაცაშვილი აქ იცხოვრებდა 1919 წლის ღვინობისთვის (ოქტომბრის) გასვლამდის. მისგან სახლები

შეიძინეს აგრეთვე გიგო ივანეს ძე ლაპიაშვილმა და ბესო მიხაკოს ძე ალუღიშვილმა.

გადმოცემით ალექსანდრა ივანეს ასული უნდა ყოფილიყო ყვარლელი თავადების – ჭავჭავაძეების ახლო ნათესავი. მისი ქალიშვილობის გვარი ზუსტად არ არის ცნობილი, სავარაუდოდ – შალიკაშვილი. თავდაპირველად იგი გათხოვილა თავად ციციშვილზე, ხოლო მეორედ იქორწინა მეფის არმიის ოფიცერ მამაცაშვილზე. კნეინა უშვილო იყო. იგი დედასთან და დისშვილ კატუშასთან ერთად ცხოვრობდა. ალექსანდრა მეტად განათლებული ქალი იყო. იცოდა გერმანული, ფრანგული და რუსული ენები. კნეინა და მისი დისშვილი გაკვეთილებს ატარებდნენ უცხო ენებსა და მუსიკაში. მას ჰქონდა შესანიშნავი ფრანგული როიალი, რომელიც ბოლშევიკებმა ჩამოართვეს.

ამ დიდებულ სასახლეში იმართებოდა ბალები. კნეინა, როგორც აქ მცხოვრებნი ამბობდნენ, მაღალი გემოვნების ქალი ყოფილა. ტანსაცმელს საფრანგეთში აკერინებდა. მას დიდ პატივს სცემდნენ. ქალბატონის ძილის დროს აკრძალული ყოფილა ურმების გავლა-გამოვლა, რათა მათ ხმაურზე ქალბატონს არ გაღვიძებოდა. დღესასწაულებზე უძვირფასესად იმოსებოდა და ისე გამოდიოდა გარეთ თანმხლებითურთ.

მისი სასახლე შედგებოდა 14-15 ოთახისაგან. დიდი დარბაზი, საძინებელი, ჩაის დასალევი ოთახი, ჩასაცმელი ოთახი, კნეინას დედის მოსასვენებელი ოთახი, მოსამსახურეთა ოთახი და ა. შ. აღსანიშნავია, რომ საშზარეულო

და აბანო მარმარილოთი ყოფილა მოპირკეთებული. დღეს მათ ადგილას ჩვეულებრივი ოთახებია. ქალბატონს ჰქონია უძვირფასესი ავეჯი, ჭურჭლეული, ჭაღები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სახლი გაიყიდა 1919 წელს. დიდგვაროვანი ქალბატონი დედოფლისწყაროში დარჩა, რადგან ბოლშევიკების შემოსვლის მერე ემიგრაციაში წასვლა ვერ მოასწრო და სიღარიბეში გარდაიცვალა.

ასეთია ამ ოდესღაც ბრწყინვალე სასახლის და მისი უიღბლო, მაგრამ დიდებული ქალბატონის ისტორია, რომელიც ასახავს XX საუკუნის 30-იან წლებამდე დედოფლისწყაროს ისტორიულ წარსულს.

ნათელა ბაბუხაძე

მე ხათუნა ბაბუხაძე ვარ გობელენის, ფარდაგის, ხალიჩის მხატვარ-დიზაინერი. დავიბადე 1979 წლის 29 აპრილს გურჯაანის მუნიციპალიტეტში სოფელ მუკუზანში. დედა ანა ბაბუხაძე, ფორტეპიანოს მასწავლებელია, მამა, მალხაზ ბაბუხაძე – ელექტრო ინჟინერი. მყავს და და ორი უფროსი ძმა, უფროსი ძმა გარდაიცვალა 1993 წელს, 18 წლის ასაკში. მისმა გარდაცვალებამ ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. 1996 წელს დავამთავრე გურჯაანის მესამე საჯარო სკოლა. 1997 წელს სწავლა გავაგრძელე თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში, გამოყენებით ფაკულტეტზე, ტექსტილ დიზაინის განხრით (მხატვრული და დეკორატიული ქსოვილები). 2003 წლიდან ვიწყებ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას. სისტემატიურად ვიღებ მონაწილეობას საზღვარგარეთის, რესპუბლიკურ, ჯგუფურ და რეგიონალურ სამხატვრო გამოფენებსა და ფესტივალებზე. მნახველთა ყურადღებასა და დიდ ინტერეს იპყრობს ჩემს მიერ შექმნილი ხალიჩები, ტექსტილის, გობელენის ნამუშევრები. 2009 წელს საპატრიარქოს ტელევიზიამ გადაიღო დოკუმენტური ფილმი, სადაც ასახულია ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება. 2014 წელს გავხდი საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. როგორც მხატვარი აქტიურად ვმოღვაწეობ საქართველოს მხატვართა კავშირისა და მრავალი ორგანიზაციის მიერ მოწყობილ გამოფენებში, პლენარებში, სიმპოზიუმებში, არტ-გენებში და სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებში. 2015 წელს 24 ოქტომბერს საქართველოს მხატვართა კავშირმა გამოსცა ანთოლოგია–2014-15 წლის ქართველი მხატვრები, სადაც წილად მხვდა ბედნიერება შევსულიყავი.

23 წელია ამ სფეროში ვმოღვაწეობ, თამამად შემიძლია ვთქვა, ამ საქმის პროფესიონალი ვარ.

აქვე მინდა აღვნიშნო, ფეხი გურჯაანის სამუსიკე სკოლაში ავიდგი, სადაც დედა მუშაობდა ფორტეპიანოს მასწავლებლად, საათობით მიწევდა გაკვეთილებზე ჯდომა და მოსმენა, რაც ძალიან მსიამოვნებდა, ალბათ აქედან იღებს ჩემი უზომოდ დიდი სიყვარული ხელოვნებისადმი და განსაკუთრებით კლასიკური მუსიკისადმი. მამა ძალიან ნიჭიერია თავის პროფესიაში, მე მემკვიდრეობით მერგო ეს ნიჭი მამისგან. 18 წლის ასაკში შევეხე დიდი მოწიწებით ხელოვნების ამ ულამაზეს დარგს, რომელსაც დეკორატიული, მხატვრული ქსოვილები ეწოდება და დღემდე შეუჩერებლად ვმუშაობ. როგორც ყველა ხელოვანის ცხოვრებაში ჩემს ცხოვრებაში არის რთული დღეები, მაგრამ, ყველაფერს ვაკეთებ ამ სუსტი, სიფრიფანა თითებით, ვიბრძვი და არ ვჩერდები. ვარ დასაოჯახებელი, რატომღაც არ მაქვს პირადი ცხოვრება, შესაბამისად, არც შვილები მყავს, მაგრამ 5 ბავშვი მაინც გავზარდე, ორი დის და სამი ძმის. მომავალში მაქვს სურვილი, რომ მათ გადავცე ჩემი ცოდნა და დავასაქმო.

ფარდაგი

მწუხრი. გობელინი

სვანეთი. ბატიკა

ობობა. ხალიჩა

გახაფხული. გობელინი

მუზა. გობელინი

ზზა. ხალიჩა

მთვარის მოტაცება.
ხალიჩა

ISBN 2344-622X